



ಕರ್ನಾಟಕ ಸರ್ಕಾರ ಮತ್ತು ಕರ್ನಾಟಕ ಶಾಸಕ ವಿಭಾಗ, ಮೈಸೂರು

ಬ್ರಹ್ಮಗಂಗೆ

ಸಾಹಿತ್ಯ

F/1 12039

ತಪ್ಪಿತವಾಗಿ

ಕಾರ್ಯಾಲಯ

1928



ମତ୍ତାଗଲ୍ଲିଟିଲ୍ ଫ୍ରେଣ୍ ଗାନ୍ୟ. № 210.
ଚିଠିରୁ 1.800.



ଚିଠାଟିଲ୍
ଶାହୀ ପାତ୍ର
ମତ୍ତାଗଲ୍ଲିଟିଲ୍ ଫ୍ରେଣ୍ ଗାନ୍ୟ
୧୯୨୮





ორი ღიღი ღღმსახული

საბჭოთა კავშირის მშრომელნი, მთელ მსოფლიო მშრომელებთან ერთად, დღესასწაულობენ, ოქტომბრის რევოლუციის პირმშო შეიღის— მთელი მსოფლიო პროლეტარიატის შეიარაღებულ ძალის— მუშათა და გლეხთა წითელი არმიის 10 წლის თავს.

ამ დიად ზეიმთან ერთად, საქართველოს მშრომელი მასები ზეიმბენ საქართველოში მისი ხელისუფლების— საბჭოების არსებობის 7 წლის თავს.

ეს ორი დიდი დღესასწაული დაკავშირებულია ერთი-მეორესთან ისე, როგორც საქართველოს მუშები და გლეხები მტკიცედაა დაკავშირებული საბჭოთა კავშირის ძლევამოსილ პროლეტარიატთან.

შეიდი წლის წინად საქართველოს მშრომელებმა— რუსეთის პროლეტარიატის შეიარაღებული ძალის,— წითელი არმიის დახმარებით, საქართველოდან განდევნეს მსოფლიო ბურჟუაზიის ლაქიური მთავრობა და თვითონვე შეუძლენ თავისი საკუთარი ბედის კედვას, სოციალისტურ მშენებლობას.

საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავზე, — ერთხელ კიდევ მოვიგონით, თუ რა მისცა მენშევიკურმა მთავრობამ ქართველ მუშასა და გლეხს. ჯერ ჯერობით მოწმედ მოვიყვანოთ თვით მენშევიკური-ბანდიტური მთავრობის თავმჯდომარე— უორდანია

აი რას ამბობს ის მუშების მდგომარეობის შესახებ: „დღიური ხელფასით მას შეეძლო ეყიდა ერთ-ნახევარი გირვანქა თეთრი ფერილი, ან ორი გირვანქა შავი პური, ან ნახევარი გირვანქა შაქარი“ (გაზ. „სახალხო საქმე“ 1920 წ. 24 ნოემბერი). მუშა შიმშილში ატარებს თავის ცხოვრებას, ის ექანება უფსკრულისაკენ, ნაღვურდება ფიზიკურად— სწერდენ მუშები.

ამას დაუმატეთ კიდევ, რევოლუციონურ მუშების ციხეებში გამოწყვეტა, გადასახლება, მასიური დახვრეტა (ალექსანდროვის ბალი და სხვა).

მენშევიკური პარტიის ქურთმთ მუშების გულის ტუვით განგმირვა „მსუბუქ“ სასჯელად მიაჩნდათ და დაიწყეს გაუგონარი ტანჯვა მუშებისა — ნაეთსა და ბენზინს ასხამდენ მუშებს და შემდევ ცეცხლს უკიდებდნენ (ზარდალევიშვილის და ივანოვის დაწვა ქუთაისში).

რა მისცეს მენშევიკებმა გლეხებს, როგორ გადაჭრეს მათ მიწის საკითხი?

ყველას ახსოვს ალბათ ეგრე წოდებული მიწის საკითხის „ხომერი-კიზაცია“, რაც ნიშვავდა თავად-აზნაურებს და მემამულებს ტრიანის ნიოთ, ფლეხებსაც ნამცეცი გადაუყდოთ, რომ დავაქმაყოფილოთ.

მაგრამ შემთანხმელ — ოპორტუნისტებმა აქაც ვერ დაიჭირეს ორი კურდღელი. მათ არჩიეს ისევ არ ევნოთ მემამულებისათვის და აჭიანურებდნენ საკუთარი დეკრეტის ცხოვრებაში გატარებას.

ამის შესახებ აი რას მოგვითხოობს მენშვეიკური მთავრობის კომისია თავის ანგარიშში: — აგრარული რეფორმა გატარდა, კანონი მიღებულია თითქმის ორი წლის წინეთ და დღემდი მისი პირველი ნაწილიც კი არ არის გატარებული ცხოვრებაში. მიწები, ნორმის ზევით, მცირეოდენი გამოკლებით, არ არის ჩამორთმეული. მიწის სახელმწიფო ფონდი ფიქცია გახდა. ეს აღლელებს მასას, რომელიც ამბობს, რომ მიწებს კვლავ უტოვებენ, ან უბრუნებენ თავად-აზნაურებს” — .

გლეხებს აღლელებდა მიწის გადაჭრის საკითხი; ის იარაღით ხელში გამოვიდა და სამკედრო სასიცოცხლო ბრძოლა გამოაცხადა. მენშვეიკური რეაქციონური მთავრობა გლეხთა აჯანყებებს რეაქციონურ აჯანყებად ნათლავდა.

ვის არ ახსოვს დაქირავებული გვარდიელი ძმა მიჭების მხეცური ბრძოლა, იმპერიალისტური ჯარების დახმარებით, გლეხთა აჯანყებების წინააღმდეგ — ლეჩხუმში, რაჭაში, ქუთაისის მაზრაში, სამეგრელოში, დუშეთში, საჩხერეში და სხვაგან? რევოლუციონურად განწყობილი გლეხები — ფიზიკურად განადგურებულნი, სოფლების დარბევა, ცეცხლის წაკიდება და გაცარცვა — აი როგორ გადაჭრეს გლეხთა საკითხი მენშვეიკებმა.

როგორ გადაჭრეს მათ ნაციონალური საკითხი? აქ ხომ დიდი „გმირული“ საქმეები ჩაიდინეს. ვის არ ახსოვს პირველ სარისხოვანი ბანდიტის — ქართველი მუშათა და გლეხის სისხლში ამოსკრილი — გალიკო ჯულელის მხეცური მოქმედება სამხრეთ ოხეთში, ცარცვა გლეჯა, ხოფლების განადგურება, ბაგშებისა და ქალების სახლებში გამომწყვდევა და ცეცხლის წაკიდება; ვის არ ახსოვს აფხაზეთში ოფიცერთა რაზმების საძაგელი მოქმედება, რამაც გამოიწია აფხაზ — სოციალ-დემოკრატების გასვლაც კი მენშვეიკურ ორგანიზაციიან?

ვის არ ახსოვს ლოთ ბენი ჩხიკვიშვილის და მისი ბანდის პოგრომულ-კოლონიზაციონული მოქმედება აჭარისტანში, რაც საშინელ მღელვარებას და აღშუოთებას იწვევდა აჭარლებში და ამ აღშუოთებას მენშვეიკები არტილერიის ცეცხლით ამშვიდებდენ. ვის არ ახსოვს სომებს მურმელთა მასის დევნა, მათი დარბევა, გადასახლება და დამცირება?

ყველა ამას დავუმატოთ კიდევ მუდმივი ომები და სისხლის ლერა საქართველოს და სომხებს შორის, საქართველოს და ადერბეიჯანს შორის და ოქვენ მიიღებთ საშინელ სურათს. მეზობელ გლეხთა წაკიდება, ნაციონალური შულლის გაღიცევება, საქართველოს ტრიონრიაზე მცხოვრებ ნაციონალურ უმცირესობათა დარბევა-განადგურება — აი როგორ გადაჭრეს მენშვეიკებმა ნაციონალური საკითხი.

შავრამ მარტო აშით არ განისაზღვრება მენშევიკების „დამსახურება“⁷ შე
მათ საქართველო გადაქციეს—მსოფლიოში ერთად ერთ ახალგაზის+1918
და საპონთო რესპუბლიკის—წინააღმდეგ საბრძოლველ ასპარეზათ სა-
ქართველოს ტერიტორიაზე თავს იყრიდენ ანტანტის შავი ძალები პრო-
ლეტარული რევოლუციის შესახვედრათ, მენშევიკები აქტიურ დახმარე-
ბას უწევდენ ყველა ჯურის კონტრევოლუციონურ შავრაზმელებს მუ-
შათა მთავრობის წინააღმდეგ.

მენშევიკების „დამოუკიდებელი“ საქართველო ყველა ჯურის იმპე-
რიალისტური ჯარების სათარეშოთ გადაიქცა. ინგლისური ჯარი საქარ-
თველოს ბატონ-პატრონი გახდა. კაზხერისა და სულთანის ჯარები მენ-
შევიკების სამედო საფრად გაიხადეს ძლევამოსილი ოქონმბრის რე-
ვოლუციის ტალღების წინააღმდეგ.

ისინი, როგორც პატარა ფინია მოხუც ლომთან, ისე კუდის ქნევით
და ნაღვლიანი თვალებით თხოვდენ მფარველობას მუშებსა და გლეხე-
ბის რისხვისაგან ფონ-კრესებს, უორკერსს ან და სხვა შავრაზმელ გე-
ნერლებს. რამდენი დამცირება, შეურაცხყოფა ახსოვს ქართველ მუშებსა
და გლეხებს იმპერიალისტური ჯარებისგან, რომლებიც თავისუფლად
თარეშობდენ საქართველოს ტერიტორიაზე?

ასეთ საშინელ პირობებში მყოფმა მუშებმა და გლეხებმა, საქართვე-
ლოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და რუსეთის მუშებისა
და გლეხების დახმარებით, დაამხევს მენშევიკური მთავრობა, აღგაეს
საქართველოს ტერიტორიიდან და თვით უორდანისა „რჩევით“ („აღმოსავ-
ლეთის ფანატიკოსებს დასავლეთის იმპერიალისტები გვირჩევნია“-ო.) და-
სავლეთისაკენ განდევნეს.

საქართველოს მუშები და გლეხები შეუდგენ ახალი ცხოვრების მო-
წყობას სოციალიზმის მშენებლობის ნიშნის ქვეშ და წარმატებით აწარ-
მოებენ სოციალისტურ მშენებლობას მთელი საბჭოთა კავშირის მშრო-
მელებთან ერთად. მუშების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება,
საცხოვრებელი ბინების აგება, სოციალისტური მრეწველობის წინსვლა,
მიწის საკითხის საბოლოო გადაჭრა, სახოფლო მეურნეობის პროდუქციის
სწრაფი ზრდა, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ნიადაგზე მოწყობა,
კომპერაციის სწრაფი განვითარება, განათლების და საერთოდ კულტურუ-
ლი მუშაობის გაზრდა, სრული ეროვნული სიმშევიდე და სხვა,—აი რა
გვაქვს ჩვენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 7 წლის
თავზე.

ციფრების მოყვანა ზედმეტად მიგვაჩნია, ვინაიდან თვით ურწმუნო
თომებსაც ვერ ძალუბს ჩვენი სწრაფი ზრდის, მუშებისა და გლეხების სა-
ცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების უარყოფა.

გვიგანტიურ სოციალისტურ მშენებლობას ჩვენი პლანეტის ერთ მეე-
ქსედ ნაწილშედ ფხილათ გუშაგობს მუშათა და გლეხთა წითელი არ-
მია, რომლის არსებობის ათი წლის თავს დღეს გდლესასწაულობთ.

კომუნისტური პარტია თავიდანვე სერიოზულ ყურადღებას აქცევდა
პროლეტარიატის შეიარაღებას. ერთ მთავარ საშვალებათ მეფის მთავრო-

ბის და შემდეგ დროებითი მთავრობის დასამხობათ კომუნისტური პარტიას მიაჩინდა პროლეტარიატის შეიარაღება და იარაღით ხელში უფლების მოპოვება.

მიუხედავათ იმისა, რომ 1905 წლის რევოლუციონური მუშათა კლასი დამარცხდა, მან ამ დამარცხებით მიიღო დიდი გამოცდილება და დღითი დღე ემზადებოდა, ირაზმებოდა ორგანიზაციულად და სწავლობდა სამხედრო საქმეს, რომ ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოელო თავის კლასიური მტრებისათვის.

მუშაბის დარაჯმის გარდა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი მუშაობა სწარმოებდა მეფის არმიაში მისი (არმიის) გახრწის მიზნით, ეს პროპაგანდა იძლეოდა სათანადო ნაყოფს, როგორც ხმელეთის არმიაში, ისე ფლოოში („პატიომჟინ“-ზე შეზღვაურების აჯანყება, აჯანყება კრონშტადში, არა საიმედო პოლკების განიარაღება და სხვა.).

ოქტომბრის გადატრიალებამ სახისყდილო ლახვარი ჩასცა რუსეთის ბურუუზიას და ყველა ჯურის სოციალ-გამჭიდველებს, ამასთანავე მან ლახვარი ჩასცა მსოფლიო იმპერიალიზმს და მოელი მსოფლიოს შავი ძალები დაირაზმენ, რომ ძირშივე ჩაეხშოთ მუშაბისა და გლეხების ხელისუფლება.

ოქტომბრის რევოლუციას თავს დაეხსა 14 იმპერიალისტური სახელმწიფო. ამ მდგომარეობამ, მუშათა კლასის წინაშე დახვა საკითხი რეგულირულ შეიარაღებული ძალის ორგანიზაციისა და 23 თებერვალს, 1918 წელს მუშათა და გლეხთა ხელის უფლებამ დაადგინა, რომ მოწყობილიყო რეგულირები არმია „მუშათა და გლეხთა წითელი არმიის“ სახელწოდებით.

წითელი არმიის ამოცანას და მიზანს ხენენბული დადგენილების ერთი მუხლი ასე განმარტავს. „ძევლი არმია ბურუუზის ხელში მშრომელთა ჩაგრის იარაღია. მშრომელთა და გაუცლეცილ კლასების ხელში ძალა უფლების გადასცლასთან ერთად აუცილებელი გახდა ახალი არმიის შექმნა, რომელიც იქნება საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენი აწმუნში, მუდმივი არმიის, საყოველთაო სახალხო შეიარაღებით შეცვლის საძირკველი ახლო მომავალში, და დამხმარე ძალა მომავალ სოციალისტურ რევოლუციისათვის ევროპაში“.

აი ამ იდეოლოგიურ საფუძველზე ვითარდებოდა და მტკიცდებოდა წითელი არმია.

1919 წლის შემოდგომაზე წითელ არმიის საბრძოლო ფრონტის სიგრძე უდირდა 8.000 კილომეტრს. ასეთი დიდი მანძილი ფრონტისა არ ასხოვს არც ერთი ომების ისტორიას.

1921 წელში დაასრულა თავისი გმირული ბრძოლები სამოქალაქო ომის ფრონტებზე. წითელი არმიის გამარჯვება უზრუნველყოფილი იყო მით, რომ „წითელ არმიაში საუცხოვოდ იქნა განხორციელებული თანმიმდევრობა და სიმტკიცე პროლეტარული ხელმძღვანელობის მუშების და მშრომელი გლეხობის კავშირში, ყველა ექსპლოატატორებისა წინააღმდეგ“ (ლენინი).

1921 წლიდან იწყება მეორე პერიოდი წითელ არმიის განვითარების ბისა—გადასცლა ომიანობის პირობებიდან, მშვიდობიან პირობებში მიის რიცხოვბრივი შემცირება და მშვიდობიან პირობებთან შეგუებითი სწავლის დაწყება (ბუბნოვი).

ეს პერიოდი გრძელდება 1924 წლამდი. აქედან იწყება „პერიოდი არმიის ორგანიზაციის შეგუება მშვიდობიან მშენებლობის პირობებთან და სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შეიარაღებული ძალის სისტემის შექმნა“ (ბუბნოვი).

ამავე პერიოდს ეკუთვნის წითელი არმიის საგრძნობი ნაწილის გადაუვანა ტერიტორიალურ—მილიციურ სისტემაზე, რითაც საშვალება გვეძლება ერთი მხრივ უფრო მცირე დროით მოვწყვიტო მუშარი და გლეხური ახალგაზრდობა მრეწველობას და მეურნეობას, და მეორე მხრივ უფრო ფართო მასამ შეისწავლოს სამხედრო საქმე.

მთელ რიგ ორგანიზაციულ რეფორმის ჩატარებასთან ერთად, ხელი-სუფლება მთავარ ყურადღებას აქცევდა სამხედრო მრეწველობის განვითარებას, რომელიც—როგორც ყველა სხვა დარგი ჩვენი მრეწველობისა, დანგრეული და განადგურებული იყო.

ჩვენ შევსძელით საექთარი თვითმფრინავის მოტორების დამზადება საბჭოთა ქარხნებში, ჩვენ შევსძელით რომ ხელახლათ შეგვექნა საპატიო ფლოტი, რომელიც რეალურ საბრძოლველ ძალას წარმოადგენს (ვოროშილოვი), ჩვენ შევსძელით საზღვაო ფლოტის გამაგრება და მისი ტმისნიკური საუცდელის გაუმჯობესება.

განუზომელია ჩვენი მიღწევები კულტურულ პოლიტიკურ მუშაობის დაზღვი—წითელი არმია ეს მასიური სკოლაა სოციალიზმისა. ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის მთელ რიგ ადგილებში, ადგილობრივ აღმასკომების თავმჯდომარეთა საერთო რიცხვში ჩვენი ყოფილი წითელ-არმიელები შეადგენენ 50—55 %-ს საუცხოვოდ ამტკიცებს წითელ ყაზარმაში დიდი კულტურული პოლიტიკური მუშაობის ჩატარებას.

წითელ არმიის ათი წლის თავზე დიდი მიღწევები გვაქვს მეთაურთა შემადგენლობის მომზადების საქმეში. მეთაურთა დიდი უმრავლესობას გათავებული აქვს ჩვენი სამხედრო შეკოლები. მის რიგებს ყოველ წლობით ემატება ახალი კადრები უფროსთა შემადგენლობისა. მეთაურთა შემადგენლობის 49 % მუშებისა და გლეხებიდანაა, წითელ-არმიის უფროსთა შემედგენლობის 91, 60 % გავლილი აქვს შეკოლებისა მისისა.

ამ რიგად წითელი არმიის ახსებობის ათი წლის თავზე ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ თუ კი ვინმე შეეცდება თავისი სისხლიანი ხელები წამოილოს ჩვენს წინააღმდეგ, მუშათა გლეხთა წითელი არმია მზად არის, რომ მოჰკვეთოს ის.

მაშ, გაუმარჯოს მუშარუ-გლეხურ წითელ არმიას!

გაუმარჯოს მის ხელმძღვანელ და სულის ჩამდგმელ ლენინურ კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავს!

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას!

ს. ს. რ. ქ. ინდუსტრიალურებისა და კულტურული რეპოლიტიკის კარგაცვალები.

1

კულტურული რეპოლიტიკის ამოცანები ლენინიზმის სისცემაში.

შრომი, პირულ ყოფლისა, არის პროცესი ადგინდინდნენ და მუნიციპალიტეტის მოწყობით, მიცვილებს, მწერილებს და კონფრონტაციას უწევს რიცხოვებისათვის და ულას თავისა და მუნიციპალიტეტის მოწყობით, მუნიციპალიტეტის მიმდევარი თვით უძირისპირება, როგორც მუნიციპალიტეტის მასალა განსაზღვრულია დარტით, რაც სასახლეებულო მისი საკუთარი სიცოცხლის კანონის მიღების, საცხოვრის და ფუნქციის, თავის და თითოების. მთაწერების რა მასალა განსაზღვრულია და ცეკვის რაც გამოიყენება და ცეკვის საკუთარი მუნიციპალიტეტის მიღების, თავის და თითოების. მთაწერების რა მასალა განსაზღვრულია და ცეკვის რაც გამოიყენება და ცეკვის საკუთარი მუნიციპალიტეტის მიღების.

იგი ანიჭობენ უკანასკნელის ბოლოს ნიჭები და მაღლით თავის საკუთარი მუნიციპალიტეტის და ცეკვის რაც განსაზღვრულია და ცეკვის საკუთარი მუნიციპალიტეტის მიღების.

(კ. მარქსი. „კაპიტალი“ ტ. I. განკ. III თ. 5. „შრომის პროცესი“. 148 გვ.
სახელგამი 1923 წ.).

საერთაშორისო პროლეტარიატის უდიდესი ფილოსოფოსის ამ სიტყვებში მოცემულია „ფორმულა“ ადამიანის დამოკიდებულების გარემყარ ბუნებასთან — დამოკიდებულება, რაც ადამიანის კულტურის არსებით მხარეს შედგენს. ადამიანი — „იარაღის დამამზადებელი არსება“ — (ფრანკლინი) ებრძევს გარემყარ ბუნების ძალებს, იმორჩილებს მათ ბუნების კინონთა შეენების ნიადაგზე და თავის სასარგებლობო იყენებს ხოლმე. მაგრამ ამავე დროს, ბუნების დამორჩილების ხარისხის მიხედვით, ადამიანი თვით იცვლება, თავის საკუთარ ბუნებაში, იწვრონება მისი გონება, იზრდება მისი ინტელექტი, რაც სხვა და სხვა ფორმაში ჩნდება. მაგრამ ადამიანი მარტო იარაღის დამამზადებელი არსება კი არაა — არამედ იგი, იმავ დროს, საზოგადოებრივი არსებაცა. საზოგადოებრივი ურთიერთობანი პირდაპირ უკავშირდება იმ საშვალებებს, რომელსაც ადამიანი მიმართავს ბუნებასთან ბრძოლისას, ე. ი. წარმოების საშვალებებს და ყოველი ეპოქის კულტურული ღირებულებანი, როგორც ყველა საზოგადოებრივი დაწესებულება, საბოლოო ანგარიშით, ამ წარმოებითი საფუძვლებზე აღმოცენებული; როგორც სახელმწიფოებრივ-უფლებრივი, ისე კულტურული-იდეოლოგიური ზედაუშენი — მტკიცედ ფეხმოგრებულია ყოველი ეპოქის მატე-

რიალური საძირკვლით. „მაკრატლის“ პრობლემა, საწარმოო ძალთა უზრუნველყოფა განვითარებისა და მომველებულ სიციალურ-ეკონომიკური გარსის უშიურესი საერთო წესის თანახმად, რევოლუციით გადაწყდება ხოლმე.

10 წლის წინათ ოქტომბრის რევოლუციის, ჩევნი პლანეტის ერთ მე-ექსედზე, „მფლობელის უფლება“ დაუმტკიცა პროლეტარიატს. სოციალიზმის დროშით მიღიოდა პროლეტარიატი ბრძოლაში და ხელთ აღებულ უფლებას იგი იყენებს ხოლმე სოციალიზმის შესწებლობისათვის. მაგრამ არც იგი თვითონ, არც მისი მეგობრები, თუ მტრები არ ეჭვობენ, რომ პირველი სოციალისტური ქვეყანა პროლეტარიატის დიქტატურის — მრავალ მხრივა ჩამორჩინილი კაპიტალიზმის ქვეყნებთან შედარებით. საწარმოო ძალები, აქ არასაკმაოთაა განვითარებული, და ამასთან შეფარდებით, საერთო კულტურულობაც დაბალ საფეხურზეა. აქედან ბურჟუაზიის ღმული: რის სოციალიზმი, რა სოციალიზმი გაუნათლებელ, უკულტურო, დაღარიბებულ მხარეში! განსაკუთრებით დორბლს აყრევინებს პირიდან ეს თეზისი ყვითელ სახიან სოციალ-დემოკრატის აფთართ: სოციალიზმი ასეთს მხარეში?

ლენინი, რომელიც მარქსიზმის სულს არასდროს არ უმსხვერპლებდა ხოლმე მარქსიზმის გამოთქმა — ინანს — ყოველთვის ამხელდა ასეთი მსხვერპლ-შეწირვის ცნობილსა და უცნობ ქურუმთ, ნიღაბს ხთიდა პროლეტარული რევოლუციის რევოლუციითონარი თეორიის შემყვრნელთ. სწორედ ამიტომ იგი ნაცარტუტათ აქცევს წვრილ ბურჟუაზიული პედანტების კბილთა ღრუჯის თეორიას, როდესაც ეკამათება ნ. სუხანოვს.

„უსაზღვროთ შეაბლონებრია მათი მოსაზრება, რომელიც მათ ზეპირათ შეუსწავლით დას. ევროპის ს.-დემოკრატიის განვითარების დროს, და რომელიც იმაში მდგომარეობს, თითქმ ჩენ არ გავზრდილვართ სოციალიზმის დონემდი. რომ ჩენ არ გვაქვს, როგორც ზოგი მათგანის „სწავლილი“ ვაჟბაგრნი ამბობს, ოპიექტიური, ეკონომიკური წინამდებლობი პირობები სოციალიზმისათვის.

და არავინ ვალად არ სთვლის, შეეკითხოს თაქ:

განა არ შეეძლო ხალხს, რომელიც შეხვდა რევოლუციონურ სიტუაციას ისეთს, როგორიც იმპერიალისტური ომის დროს გამომუშავდა; განა არ შეეძლო მას, გამოუვალი მდგომარეობის ზეგავლენით გადაშეებულიყო ბრძოლაში, რომელიც მისცემდა მას ოდნავ მაინც იმის საწინდარს, რომ დაეცირო თავისთვის მაინც და ძარნც არა ჩეულებრივი პირობები ცივილიზაციის შემდეგი განვითარებისათვის?“¹⁾.

და შემდეგ:

„თუ კი სოციალიზმის დამყარებისათვის საჭიროა კულტურის განსაზღვრული დონე (თუმც არავის იმის თქმა არ შეუძლია, თუ როგორია განსასღვრული „დონე“ კულტურის) — რატომ არ შეგვიძლია ჩენ ვიბრძოლოთ რევოლუციონური გზით, რომ დავამყაროთ პირობები ამ განსაზღვრული დონესათვის

¹⁾ ლენინის თხ. ტ. მე-XVIII. ნ. II გვ. 118—119.

და შედეგ უკვე, მუშარ-გლეხური ხელისუფლებისა და საბჭოთა წყობილების მეშვეობით, გავეშუროთ სხვა ხალხთა დასაწევათ“.



„სოციალიზმის დასამყარებლათ—ამბობთ თქვენ—საჭიროა ცივილიზაცია. კეთილი და პატიოსანი! მაგრამ, ერთი გვითხროთ—რატომ თქვენ თვითონ ვერ შესძელოთ შეგვენათ პირველათ ცივილიზაციის პირობები თქვენსვე მხარეში, ისეთი, როგორც მემამულეთა განლევნა და სოციალიზმისაკენ სვლაა? რომელ წიგნებში ამოიკითხეთ თქვენ, რომ ჩევეულებრივი ისტორიული პერიოდ-თა ასეთი სახეცვლილებანი დაუშვებელი, ან შეუძლებელი იყოს?“¹⁾.

ჩვენს, „ომისა და რევოლუციის“ ხანაში, შაბლონური-მექანიური, მეშანური წარმოდგენა რევოლუციაზე მარტო სოციალ-დემოკრატიას, ბურჟუაზიის ამ მესამე პარტიას კი არ ახასიათებს; არა, ისეთი წარმოდგენით გვეპლინებიან ჩევნ ბევრი „უპარტიო სოციალისტებიც“; ესენი გვეჩვენებენ სახეს, თითქო არ არიან მტრულად განწყობილი ოქტომბრის „ცდისაღმი“. .

ლენინიზმი გადატრით ემიჯნება ამ პედანტებს, რომლებსაც კარგად ახ-სოეთ სქემა-ფორმულები, მაგრამ ივიწყებენ ასეთ „წვრილმანებს“, როგორიც საზოგადოებრივ-კლასიური ურთიერთობაა. ლენინის დიაგნოზმა დაადასტურა პროლეტარული გადატრიალების სიმწიფე ბურჟუაზიულ-მემამულეთა რუსეთის პირობებში, რომელიც ომის სისხლიან ჩიხში მოექცა, სიღარაც გამოსავალს მხოლოდ პროლეტარული რევოლუცია იძლეოდა. რა რიგ ჩამორჩენილი არ უნდა ყოფილიყნენ კულტურულად მასები, რა რიგ დაავადებული არ ყოფილიყო ომის რღვევით რუსეთის მრეწველობა—გამოსავალი მხოლოდ ერთი იყო, სახელდობრ—პროლეტარული რევოლუცია. წინააღმდეგ უემთხევაში მოსალოდნელი იყო სრული ვადაგვარება-გაველურება, წარმოების სრული ჩაქრობა, რაც თან მოყვებოდა ომს „რუსის უკანასკნელი ჯარისკაციმდი“. მომავალში კი, სისხლიდან დაცლილი მხარე გაძიფეოდა ნაომარი ეკროპის, ან ამერიკის გაუმაძლარი კაპიტალის კოლონიათ.

პროლეტარიატმა, თავისი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, რევოლუციის გზა ირჩია. თავისი ოქტომბრის გამარჯვებით მან უზრუნველყო შემდეგი ძლევამოსილი მსელელობის წინამძღვარი პირობები.

მემამულეთა და კაპიტალისაგან განთავისუფლებულ ქვეყანაში პროლეტარიატმა მარტო ბატონობა კი არ დაწყო, არამედ, თავისი უფლება მან სოციალიზმის მშენებლობისაკენცც მიმართა.

სანტრერესოა ვიცოდეთ, იყო თუ არა მომზადებული და რამდენათ—გამარჯვებული კლასი სოციალისტური მშენებლის როლის შესასრულებოათ?

ორგანიზაციულობა, გამძლეობა, რევოლუციონურ აღტუინება, კლასიური სოლიდარობა საერთაშორისო პროლეტარიატის ერთგულება და ა. შ.—აი პროლეტარული კულტურის ელემენტები—შეერთებული, იგულისხმება, ყოფა-ქვევის იმ წესებთან, რომელიც ახასიათებს მაღალ განვითარებულ წამოწყების მშრომელს.

საკავშირო (ჩუსი, უკრანელი, ბალტიის სანაპიროთა, ეკვივასიის და სხ.). პროლეტარიატი ჩამორჩენილია ამერიკისა და ევროპის პროლეტარიატს უფლებითა ნასწელ თვისებებში, მაგრამ იგი (საკავშირო) გაცილებით მაღლა დგას ამერიკისა და ევროპის პროლეტარიატზე ზემო აღნიშვნული (პირველი) რევოლუციონური თვისებებით. ჩვენი პროლეტარიის ეს უპირატესობა რევოლუციონურ კულტურის დარგში ხშირად იყო, მაგალითად კაუტსკისაგანაც კი ცნობილი და მისთვის კვლევის საგანს წარმოადგენდა მაშინ, როდესაც ის ჯერ კიდევ ორტოდოქსულური მარქისტი იყო. მოელ რიგ წერილებსა და ბროშიურებში („სლოვენები და რევოლუცია“, „ამერიკელი და რუსი მუშები“, „რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალები“ და სხვა) კაუტსკი დასტურებს რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციონურ უპირატესობას და აკუთნებს მას ავანგარდის როლს, როგორც რუსეთის, იგრეთვე ევროპის სოციალისტური გადახალისება — ფერისცალების საქმეში.

1917 წ. ოქტომბერში, ამ მხრივ, ჩვენი პროლეტარიატი არ გაცუდებული; პირიქით, ომის სისხლიანშა ყვავილებმა, რევოლუციონური ბრძოლის გამოცდილებამ ბოლშევკიური პარტიის თაოსნობით 1905 წ. და შემდეგაც, — გამობრძმიდეს იგი ყოველ მხრივ — და თეორეტიულადაც.

პროლეტარიატის, განდა რა იგი მბრძანებელ კლასათ, აუცილებლად უნდა გაემჟღავნებია თავისი დამოკიდებულება იმ ამოანებთან, რომლებიც გადაწყვეტი იყო ოქტომბრის რევოლუციისათვის.

ძალა-უფლების შენარჩუნება (პოლიტიკური და სამხედრო ბრძოლა გარეშე და შინაურ კონტრევოლუციასთან), ბრძოლა ჰურისათვის (სამეურნეო რლევესათან ბრძოლა) და, ბოლოს, ბრძოლა კულტურისათვის (მასების სწავლა-განათლება, მოზარდი თაობის აღზრდა ახალი პრინციპების მიხედვით) აი ასეთი თანამიმდევრობით დაწყიო ჩვენი უმნიშვნელოვნების ფრონტი. კულტურის ფრონტი — მესამე ფრონტათ გამოცხადდა. არა იმისთვის, თითქმ პროლეტარიატის, ან მის პარტიის, თუ ბელარუს, სათანადოთ არ ქონიდეს დაფასებული კულტურული ფრონტის მთელი მნიშვნელობა „საწყალომძღვი რუსეთისათვის“ და კიდევ უფრო მეტად საწყალომძღვი ნაც. უმცირესობისათვის, — არამედ იმიტომ, რომ თუ შენარჩუნებული არ იქნებოდა საბჭოთა ხელისუფლება პირველ ყოვლისა, თუ კი იგი მეურნეობის მხრივ წელ გმაგრებული არ იქნებოდა ოდნავათ მაინც, არავითარ კულტურაზე ლაპარაკი და ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. აუცილებელი „ხარჯები რევოლუციის“ დატყო მესამე ფრონტს იმ მხრივ, რომ მას არ ექცევთ ჯეროვანი ყურადღება. მაგრამ როგორც კი საბჭოთა მხარე განმტკიცდა შეგნით და ამოისუნთქა თავისუფლად ინტერვენციის დამარცხებით, — როგორც კი გალლვა შეურნეობის კერას პირს ყონული და პროლეტარიატის სახეს წაერეცხა სიმშილობის მიწის ფერი, — მასების კულტურულად ამაღლების საკითხები, სწავლა-განათლების საკითხები, მეცნიერების განვითარების, ხელოვნების, ლიტერატურის, თეატრის, კლუბის, კულტურული მშენებლობის საკითხები, საბჭოთა სკოლის გადახალისების და მისი მოწყობის შესახებ საკითხები საუკეთესო ნიმუშების მი-

ხედვით—გაქოველებული სჯა-ბაასის საგნათ გადიქტა კომისართა საბჭოსა და
ხელმძღვანელ პარტიულ ორგანიზაციებში.



ეს ხშირად „წყელი“ კითხვები—კონკრეტულ პასუხს ითხოვდა: როგორ
და რის გამო? რევოლუციონურ კლას ახსიათებს ჯანსაღი ზეიადობა; კერ-
ძოთ ბოლშევიკს, რომელიც აფეთქებს ზეცხაც კი, ბრძოლის პათის, ზოგ
შემთხვევაში (როგორც ზოგიერთ მოუციდა კიდეც), თავის საწინააღმდეგოთ
გამოადგება, რაც საზარილო გადახრას იწვევს სწორი ხაზიდან. „მემარტენე
კომუნიზმის“ გადახრა მაისა და საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში იყო
მიზეზი მათი ურაგადაფურთხოების დამკიდებულებისა როცე, კრიზის გამომ-
წვევ საკითხებისადმი ოქტომბრის შემდგომი რუსეთისათვის. მაგრამ ასეთივე
ურაგადაფურთხოების დამოკიდებულება ემჩერდა ზოგ მუშავს კულტურულ-
იდეოლოგიური, ფრიად ძნელი საკითხებისადმი.

ამასთან დაკავშირებით, მთელი სიგრძე სიგანის დაისვა საკითხი კულტუ-
რული „მემკიდრეობის“ შესახებ. შეუძლია თუ არ ახალ წყობილებას, წყო-
ბილება—გზას სოციალიზმისაკენ, შექმნას ახალი სოციალისტური კულტურა,
ისე, რომ არ ისარგებლოს ბურჟუა-მემამულეთა მთავრობის დროს დაგროვებულ
კულტურული ლირებულებით? შეუძლია, თუ არა ამ წყობილებას, გვერდი
აუაროს კულტურული ზრდის თანდათანობით ეტაპებს, ერთის დაკავრით
გადაახტეს გაუნათლებლობისა და სიბრძლის ზღვარს, რომელიც ემჩერდა ფარ-
თო მასებსა და უმთავრესად გლეხურ ფენებს—და „პროლეტარიული კულტუ-
რის“ სამფლობელოში ჩახტეს, რომელიც წარმოადგენს შესავალ კარგებს გა-
შლილი კომუნისტური კულტურისას უკალის საზოგადოებაში?

ლენინმა შეამჩნია ეს გარემოება;— შეამჩნია, რომ ისახებოდა ზერელე
დამოკიდებულება ამ პირდაპირ ციკლოპიური სიძნელის საკითხებისადმი. ამი-
ტომ მან პოლიტგანათლების ყრილობაზე (1921 წ.) გაილაშქრა კომუნისტური
კუდაბზიკობის წინააღმდეგ, რომლითაც დაჯილდოებულნი ვერ ხედავენ,
რომ კომუნიზმის მშენებლობისათვის აუკილებელია, პირველ ყოვლისა, წერა-
კითხვის უცოდინარობის ღრმოვნებრა და მოსპობა საერთო კულტურული ჩამორჩენი-
ლობის, რაც ასაზრდოებს ბიუროკრატიზმს, თაღლითობისა და მექრთმეობას.

„წერაკითხვის უცოდინარი იდამიანი პოლიტიკის გარეშე სდგას. მას ჯერ
წერაკითხვა უნდა ვასტივლოთ, უამისოთ არ იქნება პოლიტიკა. უამისოთ არის
მხოლოდ ხმები, ქორები, ზღაპარი, ცრუმორწმუნეობა, და არას დროს პოლი-
ტიკა“¹⁾.

ასეთნაირად ლენინმა ცივი წყალი გადაასხა იმ ფანტაზიორებს, ვინც ფიქ-
რობდა კომუნისტური კულტურის მწვერვალებზე მოქცევას, ისე, რომ ასევის
მძიმე გზა ძირიდანვე არ დაეწყო. ლენინი იმეორებდა, რომ გამარჯვება ამ
მხრივ არაა, ისე ადვილად მოსახვევი, როგორც მოიპოვება ეს ჩვენ კლასიურ,
პოლიტიკურ შებმაში. დიდი დრო უნდა ამ ამოცანის გადაწყვეტას. საჭიროა
სწავლა, საჭიროა წინააღმდეგ აღმოვეფხრათ უცოდინარობა, ვინაიდან წერა-კით-
ხვის ცოდნა ნამდვილ საბჭოთა კულტურის სამზადისია.

1) ტ. XVIII, ნაწ. I, გ. 385.

„წერა-კითხვის უცოდინარობის უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ მხოლოდ მარტინ წერა-კითხვის შესწავლიც არა საკმაო, არამედ საჭიროა იმ კულტურულის შეთვისება, რომელიც გვისწავლის ბრძოლის თაღლითობისა და მექანიზმებისათან. ეს ისეთი მუწუკია, რომელსაც ვერავითარი სამხედრო გამარჯვებათა და ვერავითარი პოლიტიკური რეფორმებით (გადახალისებით) ვერ მოკვეთ. არსებითად ამ მუწუკს ვერ მოაჩენ ვერავითარ სამხედრო გამარჯვებით, ვერავითარი პოლიტიკური რეფორმებით, მისი მორჩენა შესაძლოა მხოლოდ კულტურული ღონის ამაღლებით“¹⁾). მაგრამ როგორ და რა ვისწავლოთ? ვერწენის „ჩვენ, ოქტომბრის დიადი გადატრიალების მოწყობა“, ძველი ნიმუშების მიხედვით სწავლა, სწავლა ძველ სკოლებში და საერთოდ — „მემკვიდრეობის“ გამოყენება?

ლენინი ამ შეკითხვებს ფრიად გარკვეულ პასუხს აძლევს, განსაკუთრებით სიტყვაში „ახალგაზრდობის კავშირების ამოცანების“²⁾ შესახებ.

„ახალი თაობის სწავლა, აღზრდა და განვითარება, რომელიც შექმნიან კომუნისტურ საზოგადოებას, არ შეიძლება ძველი იყოს. სწავლა, აღზრდა და განვითარება ახალთაობის უნდა გამომდინარეობდეს იმ მასალებიდან, რომელიც დაგვიტოვა ჩვენ ძველმა საზოგადოებამ. ჩვენ შეგვიძლია გაშენოთ კომუნიზმი ცოდნათა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა იმ შეჯამებიდან, ადამიანის ძალთა და საშეაღებათა იმ მარაგიდან, რომელიც ჩვენ ძველი საზოგადოებისაგან დაგვრჩა“.

ჩვენ უარყოფთ ძველ სკოლას, მაგრამ ჩვენ უნდა ავიღოთ მისგან, „რაც ჩვენ გვინდა იმისათვის, რომ ვაშენოთ კომუნისტური საზოგადოება“³⁾. მაგრამ, ნამდევილით თუ ვიტყვით, განა კომუნისტური განვითარებისათვის საკმარისია ის კომუნისტური ბროშურა — წიგნები, რომელიც გვაქვს?

— არა — უპასუხებს ლენინი — ამ გზით ჩვენ აღვზრდით მხოლოდ კომუნისტურ უვიცებასა და ყბედებს, ამ გზით ჩვენ ვერ აღმოვფხრით ბურჟუაზიული წყობის იმ „საზიზლარ თვისებას“, რომელიც გამოიხატებოდა თეორიისა და პრაქტიკის განხეთქილებაში. ჩვენ გვინდა თეორია, რომელიც გაანაურებს პრაქტიკას, თვითონ კი ძალღონეს იკრებს მასათა ცხოვრების საჭიროებითან შეთანხმებაში.

„მუშაობისა და ბრძოლის გარეშე, კომუნიზმის ცოდნა კომუნისტური ბროშურებიდან არაფრად არ ღირს. და განა უნდა შევითვისოთ არა კომუნისტური ცოდნა?⁴⁾

თქვენ დაუშვებდით უდიდეს შეცდომას, თუ კი დაასკვნიდით, თითქმ შეიძლება კომუნისტობა, იმის შეუთვისებლათ, რაც ადამიანის ცოდნით დაგროვებულია“.

ასე უპასუხებს ლენინი ამ შეკითხვას და მიაქცევს მსმენელთა უურადებას მარქსისაკენ, რომელმაც გამოიმუშავა მილიონთა — მილიონიან პროლეტარების რევოლუციონური სწავლა, შეითვისა და კრიტიკულად გადამუ-

¹⁾ იქვე 183.

²⁾ ტ. XVII გვ. 313-329.

შავა რა კაცობრიობის ცოდნათა მარაგი, კაპიტალიზმის დროს დაგრუფირდებოდა და რომ არ დარჩენილიყო რაიმე საეჭვო ამ მხრივ—ლენინი კვლავ უწყებულის ნაეს თავის ახალგაზრდა აუდიტორიას თვით შეგნებაში: „კომუნისტუმა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც გაამდიდრებ შენს მეხსიერებას ყველა იმ მდიდარი ცოდნით, რომელიც კაცობრიობა მ გამოიძულვა“¹⁾

აქედან გამომდინარეობდა პროლეტკულტურის „განწირვა“ ლენინის დროს პროლეტკულტრის, რომელიც ცდილობდა მოფენილი გზით, ძველი ეპოქებიდან გაღმოყენებულ მეცნიერება—ხელოვნების სიაროსათვის კაწრო კავშირის დაუჭერლად „უნაკლო“ პროლეტარული კულტურის წამოზრდას. ლენინი უაუთვითად შეხვდა ამ ცდას; იგი ხდავდა მის უნიადგობას, უმიზნობას და, ისე გაზინჯეთ, პროლეტიკულ საფრთხეებაც კი. რამდენათაც პროლეტკულტურის სთბურში, წმინდა კულტურულ გაზარებათან ერთად, შეეძლო დაბრნავებულიყო პოლიტიკური „გადახრებიც“. (აյი „ბოგდანოვინა“ ედუა საფუძვლად პროლეტ-კულტრის იდეოლოგიას.)

ლენინი ხაზასმით ადასტურებდა „მემკვიდრეობის“ გამოყენების აუცილებლობას პროლეტკულტრის მშენებლობისათვის.

„უნდა გვესმოდეს ნათლად, რომ საჭიროა ზუსტი ცოდნა კულტურის, რომელიც შეუქნია კაცობრიობას თავის მთელი ისტორიის განმავლობაში; უნდა გვესმოდეს, რომ საჭიროა ამ კულტურის გადამუშავება; ამ გარემოების ნათელი წარმოდგენის გარეშე—ჩვენ ვერ გადავწვერთ ამ ამოცანას. პროლეტარული კულტურა არ გაღმოფერებილა ზეციდან, არც ადამიანთა გამოგონების ნაყოფია იგი, ადამიანთა, რომელიც თავს თვლიან სპეციალისტებათ პროლეტკულტრის დარგში. ეს სრული უაზრობაა. პროლეტარული კულტურა უნდა წარმოდგენდეს იმ ცოდნათა მარაგის კანონზომიერ განვითარებას, რომელიც გამომუშავებულია კაპიტალისტური საზოგადოების უდელ ქვეშ, და მოხელეთა საზოგადოებაში.

ყველა ამ გზასა და მისახვევს მიყვავდით, მიყვავართ და უთუოდ წაგვიყვანს პროლეტკულტურისაკენ ისე, როგორც მარქსის პოლიტიკურმა ეკონომიკმა გვიჩვენა, თუ საითქნ უნდა წარემართოს იდამიანთა საზოგადოება, ინიციატა კლასიური ბრძოლაზე გადასვლა და პროლეტარული რევოლუციის დასაწყისი“.

პროლეტარული რევოლუციის რეალური პოლიტიკის, და, მაში, ჯერ კიდევ დაუსრულებელი რევოლუციის მეურნეობის საუკეთესო „მებატრიონე ხელმძღვანელი“—ლენინი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს 1923 წ. წერილში „უმჯობესია ცოტა, მაგრამ უკეთესი“¹⁾. ჩვენ, უნდებლივთ თითქო მზად ვართ გავისტვებით ამ თვისებით (უნდობლობა და სკეპსისი მ. ა.) იმათ მიმართ, ვინც ძლიერ ბევრსა და ძლიერ ადვილათ მჭერმეტყველობს, მაგალითად „პროლეტარულ“ კულტურაზე ისე: ჩვენ ხომ დასაწყისისათვის უნდა ვიმოქმედოთ განსაკუთრებით დავველებული კულტურის ტიპებს გარეშე ე. ი. მოხელეთა, ან

1) ვ. 317—318.

ბატონიშვილი დროის კულტურის გარეშე და ა. შ. კულტურის საკითხებში მომავალი აჩქარება და მოუფიქრებლობა — ყველაზე უფრო მავნებლობა¹⁾. გვიპლიტი

და ლენინი სვამის საკითხს კულტურის შესახებ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი იყო საბჭოთა სახელმწიფო ბრივი აპარატი; მისი აზრით ამ აპარატში „მიღწევათ უნდა ჩაითვლოს მხოლოდ ის, რაც კულტურათ გადიქტა, საყოფაცხოვრება ჩვეულებათ გაძდა“. რა ელემენტები გვაქვს ჩვენ ჩვენთვის საჭირო სახ. აპარატის შესაქმნელად?

მხოლოდ ორი — უბასუხების ლენინი.

„პირველ ყოვლისა — სოციალიზმისთვის ბრძოლით გატაცებული მუშები. ეს ელემენტები საქმიანდ განათლებული არ არიან. მათ სურდათ მოეცათ ჩვენთვის უკეთესი აპარატი. მაგრამ მათ არ იცან, თუ როგორ უნდა შესრულდეს ეს. მათ არ შეუძლიათ ეს გააკეთონ. მათ არ გამოუმუშავებიათ თავის არსებაში აქამდი ისეთ განვითარება, ისეთი კულტურა, რომელიც აუცილებელია ამ მხრივ. აქ ვერავერს შეასრულებ მოუთმენლობა — აჩქარებით, ან ერთი დაკრით, სიცევიტითა და ენერგიით, ანდა იდამიანის რომელიც არ უნდა აიღოთ, თუნდა უკეთესი, თვისებით. მეორე კი — ცოდნის, განათლების, სწავლის ელემენტები, რომელიც იმდენათ მცირედ გვახსიათებს ჩვენ, სხვა სახელმწიფოებთან შეუარებით, რომ პირდაპირ სასაცილოა“²⁾.

ამ წერილით სრულდება ლენინის აზრები, რომლის თანახმად კომუნისტებმა უნდა შეიგნონ სოციალიზმის მშენებლობის ძრითადი ამოცანები (და სათანადო სახელმწიფო ბრივი თარგანიზაციებმა ცხოვრებაში განახორციელონ); გამოიყენონ მთელი მასალა (ადამიანისაც) და ყველა კულტურული ღირებულება, რომელიც ჩვენ ბრძოლით ჩამოვართვით ძეველ საზოგადოებას კულტურული განვითარების მიზნით, რაც აუცილებელია გადამვალი პერიოდის სახელმწიფოს მშენებლობისათვის.

მაგრამ არა პროლეტარიულ სახელმწიფოს მშენებლობისათვის.

უკანასკნელი წერილი, რომელიც ლენინის კალამს ეკუთვნის, მაისის 1923 წლითაა დათარიღებული. ამ წერილში განვითარებულია გეგმა თუ როგორ უნდა ეზიაროს გლობობის ღატაკი-საშეალო ფენების მეურნეობა სოციალიზმის მშენებლობას და ამ მხრივ აღნიშნულია, პირველ ყოვლისა, მასიური კოოპერატიულობა. კულტურის პრობლემა ამ წერილში წარმოდგენილია როგორც უმთავრესი და გადამწყვეტი მნიშვნელობისათვის.

პროლეტარიატის გმირული ნების ყოფით, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლებში, საბჭოთა სახელმწიფოს მეურნეობა თანადათან აღორძინდა. სკოლა სოციალიზმისაკენ უნდა ვაწარმოოთ ისე, რომ არ ჩამოვშორდეთ გლობურ მეურნეობას, მასთან ერთად — გავიყოლით რა იგიც თან. როგორი გზით? — კოოპერაციის გზით. მაგრამ კოოპერაციის გზაზე რომ გადავიყანოთ მრავალ მილიონიანი, ინდივიდუალურად მომქმედი გლეხთა მეურნეობანი

1) ტ. XVIII ნ. II გვ. 125.

2) ივნ გვ. 126.

საკიროა გლეხობის მაღალი, ძლიერ მიღალი კულტურულობა; საკიროა „აზ-
ლი ხალხი“ არა მარტო სოფლიდ, არამედ ქალაქშიც.

ლენინი არასდროს არ იდეალისტობდა პროლეტარის მიმართ—მით უმე-
ტე გლეხის შესახებ. მან იცოდა პირველის მთელი ჩამორჩენილობის ხარისხი
და ერთგვარი ბურჯუაზიული „სიწახხდრე-შერყენილობა“, და მეორესი (გლე-
ხობის) კი მთელი დამონება და უსაზღვრო გაუნათლებლობა.

„მუშა არასდროს არ იყო ჩინეთის კედლით ძველი საზოგადოებისაგან
გამოყოფილი. მას შერჩა ბეჭრი რამ კაბიტალისტური საზოგადოების პიქი-
ლოგიის. მუშები აშენებენ ახალ საზოგადოებას ისე, რომ ჯერ ახალ ხალხათ
არ გადაქმნილან, ძველი მოფლიოს ტალახისაგან არ გაშენდილან, არამედ,
მუხლამდე სდგანან კვლავ ამ ტალიბში“.

და კიდევ:

„ისინი (წვრილი ბურჯუები) გარს ეხევვიან პროლეტარიატს ყოველ მხრივ
წვრილ-ბურჯუაზიული სტიქით, ეღნოთენ ხოლმე მათ ამ უკანასკნელით, რყვნინ
ამით, მუდმივად იწვევენ პროლეტარიატის წიაღში წვრილ ბურჯუაზიული უხა-
სიათობის, ინდივიდუალიზმის, გზაბრძეულობის რეციდივებს—აღფრთოვანე-
ბიდან სასოწარკვეთილებისაკენ გადასვლით.“

პროლეტარიატის დიქტატურით ნაგულისხმევია ხანგრძლივი ბრძოლა, სისხ-
ლიანი და უსისხლო, ძალდარევითი და მშვიდობიანი, სამხედრო და სამეურ-
ნეო, ჰედაგროგიური და იღმინისტრატიული—ძველი საზოგადოების ძალთა და
ტრადიციების წინააღმდეგ. მილიონებისა და ათეულ მილიონთა აღადთა ძა-
ლა—ყველაზე უფრო საშინელია.“

რაღა უნდა ვსთქვათ გლეხობაზე. მისი მრავალ საუკუნიანი უმოძრაოს ყო-
ფით—ცრუმორწმუნობებისა და გაუნათლებლობის ყინულოვანი მწვერვალებით!.

ლენინის გამჭრიახობით გათვალისწინებულია კოოპერაციის გზა, რო-
გორც „მთავარი გზა“, რომ ინდივიდუალურმა სასოფლო მეურნეობამ მოახ-
თინოს „დიდი გადასახლება“ კოლექტიურ მეურნეობის წიაღში.

თუ ნამდვილით ვიტყვათ, ჩვენ დაგვრჩენი მხოლოდ (უკრისივი თვით დე-
დაშია 8. თ.) ერთი: ჩვენი მოსახლეობა იმდენათ „ცივილიზაციური“ გავხა-
უთ, რომ მან შეიგნოს მთელი სარგებლიანობა კოოპერაციაში მთლიანდ
მონაწილეობის და მოაკვაროს კიდევ ეს მონაწილეობა. „მხოლოდ“ ეს, არა-
ვითარი სხვა სიბრძნის მეტყველება ჩვენთვის საკირო. არაა სოციალიზმში გადა-
სცლისათვის. მაგრამ იმის შესასრულობლად, რასაც ეს „მხოლოდ“ გულისხ-
მობს, საკიროა მთელი გადატრიალება, ხალხის მასათა კულტურული განვითა-
რების მთელი ფენა...“

საკიროა მთელი ისტორიული ეპოქა იმისათვის, რომ, ნების საშვალე-
ბით, კოოპერაციის მონაწილეობით გავხადოთ მთელი მოსახლეობა უკლებლივ. უკე-
თეს შემთხვევაში, ამ ეპოქის გავიკლით ჩვენ ერთსა თუ ორ ათეულ წელში.
მაგრამ მაინც ეს იქნება განსაუზორებული ისტორიული ეპოქა, და ამ ისტო-
რიული ეპოქის გარეშე, საყოველთაო წერავითხევის ცოდნის, საყოველთაო
გარკვეული ცნობიერების ხარისხის, მოსახლეობის საქმიოდ იმის მიუჩვევლად,

რომ ისარგებლოს წიგნებით და მასთან ერთვარი ნივთიერი საძერებელი კულის, ერთვარი კმაყოფის გარეშე—მაგალითად მოუსავლობისა, „შეშიღლებული თუ სხვა—უყველივე ამის გარეშე ჩვენგან მიზნის მიღწევა შეუძლებელია¹⁾.

„კომპერატულობის პრინციპით“ ხელთ მომარჯვებული ლენინი იძლევა მშენებლობის პროცესში მყოფ სოციალიზმის ახალ ფორმულას.

„ხოლო ცივილიზაციურ, განვითარებული კომპერატივთა წესწყობა წარმოების საშეაღებათა განსაზოგადოების პირობებში, პროლეტარიატის კლასიური გამარჯვებისას ბურჟუაზიათან ბრძოლაში—ია სოციალისტური წესწყობა“ (იქვე გვ. 142).

პროლეტარიატის გამარჯვებით, ბრძოლისა და მშენებლობით შეიქნა ახალი პირობები. ლენინი აკვირდება, ანალიზს უკეთებს ამ უკანასკნელთ, ააშეკრუებს სოციალიზმის შესახებ ახალ თვალსაზრისს და პირველხარისხოვან მნიშვნელობას აკუთნებს— მშვიდობიან, ორგანიზაციულსა და კულტურულ მუშაობას, განსაკუთრებით გლეხობაში“.

„გლეხთა შორის ეს კულტურული მუშაობა კი, როგორც კუონომიური ამოკანა, მიზნად ისახეს კომპერატიულობას. სახებითი კომპერატიულობის პირობებში, ჩვენ უკვე დავდგებოდით ორივე ფეხით სოციალისტურ ნიადაგზე. მაგრამ საესტილი კომპერატიულობის პირობები უკვე შეიცავს გლეხობის ისეთ კულტურულობას (სწორედ გლეხობის, როგორც მთავარი მასის), რომ ეს სავსებითი კომპერატიულობა შეუძლებელია მთელი კულტურული რევოლუციის გარეშე. (იქვე გვ. 145).

და ერთხელ კიდევ ხაზგაშით აღნიშნავს რა ფაქტებით შემოწმებულ „მხილებთა“ სიბრივეეს— მცდარობა-სიყადობეს, თითქოჩვენ დაგვეწყოს მოუფერებელი საქმე ერთ ნაკლებ კულტურობასან ქვეყანაში სოციალიზმის შენების, — ლენინი ამთავრებს:

„ჩვენთვის საკმარის ამ უამად ეს კულტურული რევოლუცია, რომ სავსებით სოციალისტური ქვეყანა გვქონდეს, მაგრამ ჩვენთვის ეს კულტურული რევოლუცია წარმოადგენს უდიდეს სიძნელეს. ეს სიძნელე არის კულტურული თვისების (ვინაიდნ ჩვენ წერაკითვის უცოდინარი ვართ) და მატერიალურიც (რადგან იმისთვის, რომ ვიყოთ განათლებულნი, საჭიროა ერთგვარი მატერიალური საშავლება განვითარება წარმოებისათვის, საჭიროა ერთგვარი მატერიალური საფუძველი“) (იქვე).

წერილი „კომპერაციაზე“ ლენინის უკანასკნელი წერილი იყო, მასში თითქო ოქტომბრის რევოლუციის ხუთწლეულის ბალანსია მოცემული. ამ ბალანსის საფუძველზე მოცემულია სტრატეგიული თანწყობა პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების და მრავალ მილიონიან მასათა შემდეგი მუშაობის. კულტურული რევოლუცია, როგორც აუცილებელი დამატება სოციალურ-პოლიტიკური გადატრადების, რომელიც აღმოჩნდა არა თუ მიზანშეწონილი, არა მედ ძლევამოსილიც ყოველ მხრივ, კულტურული რევოლუცია საწარმოო ძალთა მძლავრი განვითარების საფუძვლებზე.

ლენინს არ დასცალდა თვით შეესრულებია ეს, ან ეხელმძღვანელობა არ გვიჩვენია, კომპეტენტული-კულტურული გეგმის განხორციელებულის მიზანი ულენინოთ, ლენინის პარტია ლრმად ჩაება ხანგრძლივ ბრძოლაში ამ გეგმის შეესრულების მიზნით.

ინდუსტრიალიზაცია, როგორც სამუშაოს მინაბრძანება.

„პარტფიას და სამჭიდველების ყოველი ბრუ-ლონი უნდა იცოს შინაგანი დარჩეული ყოველი ადგითვები, რომ უბრუნველყოფით მიწოდები კავშირის ისეთი კადარი როგორიც რომელი მისამართის შემთხვევაში გარდა მარტინის ლაპარაკის და გრიგორის სამუშაოს მიზანისათვის.

თუ დალულია უნდა გენერაციული, რომ შედაბეჭით შცირებული სისამაგრებელი და გამოიყენოთ, მაგრამ კანის გარუსებრით შრმინარე კაპიციალისცემით სასაქონი მიუღიოთ ინდუსტრიალის განვითარების. ამის წარმატებით შემოტევის დამთავრებულია მარტინის, თუ როგორის ცენტრით იწარმოებს დაგროვების სასახლეთ შეუწინებელი, და როგორ საკუთრებულია გამოიყენოს შემაღებს იგი (ს. გ. გ. მ.) ინდუსტრიალისადამ ამონიათ გადასახვაცედ.

(ს. კ. პ. (გ) მე-XV პარტკონფერენციის 4-ებულიუციიდან 26/X—3/XI 1926წ.).

ჩვენმა პარტიამ გაიარა ისტორიული აუცილებლობით თავს მოხვეული სამხედრო კომუნიზმის პერიოდი და შემდეგ ძლიერ ახლოს მიუდგა მეურნეობის ოლორძინების ძირეულ საკითხებს.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, უწინარეს ყოვლისა, მიმართული იყო იქეთკენ, რომ სასოფლო მეურნეობა სასიცოცხლო მსვლელობისათვის აემოძრავებია. მან (ი. ეკ. პ.) გაანაყოფიერა მეურნეობის აღორძინების პროცესი. მე-XII ყრილობაზე, 1923 წ. პარტიამ უკვე დასვა მრეწველობის საკითხები—არა გამაგრებისა, თუ ცალკეულად აღორძინებისათვის რომელიმე დარგისა, არამედ და სახელმომართო როგორც მთლიანი პრობლემა სოციალიზმისათვის ეკონომიკური ბაზის შესაქმნელად.

„გამარჯვებულიად ჩაითვლება მხოლოდ ის მრეწველობა, რომელიც იძლევა უფრო მეტს, ვინემ ნთვავს“ (ყრილობის რეზოლუციიდან „მრეწველობაზე“ (ი. აქმები გვ. 624)—ასეთი იყო ჩვენი მორიგი და მთავარი ამოცანა იმ დროს.

მე-XIV ყრილობამ, $2\frac{1}{2}$ წლის შემდეგ, ჯამი გაუკეთა აღორძინების პერიოდს. მანვე დასახა გენერალური ხაზი პროლეტარ. დიქტატურის ქვეყნის განვითარებისათვეს.

ინდუსტრიალიზაცია — როგორც მთავარი გზა სოციალისტური ზრდის, ეკონომიკური კაპიტალიზმის ეკონომიკური დამოკიდებულების განვითარებისა და ქალაქის მრჩეველობისაგან სოფლის მეურნეობისათვის კილოს მიმცემის — ლენინის ბარტიის მეორე პრაგრამად შეიქნა.

ინდუსტრიალიზაციის პროგრამა შეიქნა პროგრამად ძლევამოსილი მშენებლობისა და სოციალიზმის აღმშენებლობისათვის საბჭოთა ხელისუფლების მარეში; ამ აღმშენებლობის შესაძლებლობა და წარმატება უკვე გულისხმობს საეთო პროგრამის არსებობას. აյი ეს გეგმა ითვალისწინებს მომავალ, მთელ რიგ წელთა მანძილზე სამეურნეო პროცესებს, ლაგმაეს მათ და უმორჩილებს მშენებლობისა და მოძრაობის მთავარ მიზანს.

ამ ახლო ხანში ჩატარებული მე-XV ყრილობა იყო სწორედ ის ყრილობა, რომელმაც შეამოწმა ინდუსტრიალიზაციის განვითარების პირველი ხელი (typ) და დახახა ს. ს. რ. კ. სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა.

წინამდლოლ პირობებში, ბრძოლით აღეცულმა ათი წლის წინათ, უკვე დიოურნენები საკუშირო ეკონომიკის განვითარება პრინციპიალურად ახალ, სოციალისტურ საფუძვლებზე.

ეკონომიკურ, მმართველ მაღლობთა სოციალურ-კლასიური შინაარსი, ნაციონალიზაცია ქმნილი მრეწველობა, ტრანსპორტი, საგარეო ვაჭრობის მონაბეჭდი, კრედიტი, მიწის ნაციონალიზაცია და ა. შ. აგრეთვე ურთიერთობა სოფლისა და ქალაქის შორის, სახალხო მეურნეობის ორგანიზაციული ფურმა, ეკრეწოდებული ნაც.-შემოსავლის განაწილება — სრულიად სხვა შეიქნა, ვიდრე პროლეტარიატის დიქტატურამდი. საკუშირო მეურნეობის ამ განსხვავებულმა ნიშნებმა შესაძლო გახდეს გაცილებით უფრო ჩქარი ტემპი აღორძინების პროცესის, კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით, და კიდევ უფრო მეტად დაქარდა მეურნეობის ზრდის პროცესები საზოგადოთ.

მოხდა რაღიალური გადაჯვეულება მეურნეობის განსაზოგადოებულ ფორმითა, უძრავო საქონლის (უმთავრესად გლეხური ხასიათის) მეურნეობისა და კაპიტალისტურ მეურნეობის შორის.

ხელმძღვანელი როლი მტკიცედაა მიმაგრებული სოციალისტურ ინდუსტრიასთან, მისი ზრდის ტემპი გაცილებით უსწრებს წინ სასოფლო მეურნეობის ზრდას, კაპიტალისტური სექტორი თანისთან ვიწროვდება, ჰერგავს რა, დიდი პროგრესით, თავის ზეგავლენას ქვეყნის მეურნეობის ამინდზე.

ამრიგად განვითარების ცველა მთავარსა და გადამწყვეტ მჩვენებლების რიხედვით ჩვენ გვაქვს დაფებითი ბალანსი, და მოძრაობის მთავარი ამოცანა, ლენინის მიერ მოკლედ ასე თქმული — «გინ-გინ? — ჩვენს სასარგებლოდ სწყდება. ინდუსტრიალიზაციის გატარება შემდეგში, წარმართული და ნახელმძღვანელები გეგმით, მიგვაახლოებს ჩვენ საბოლოო გამარჯვებას.

როგორია ძირითადი ელემენტები იმ გეგმის, რომელც ინდუსტრიალიზაციის მშენებლობას უდევს საფუძვლად და როგორი უნდა იყოს ამ ელემენტთა უმცერესად საკეთილდღეო შეჯვალებანი?

1. გაფართოებული მომხმარებლობა მუშებისა და გლეხთა მისების.

2. ვაფართოებული წარმოება (დაგროება) სახელმწიფოებრივი წესრიგის შესახებ
ში-საერთოდ სახალხო მეურნეობაში გაფართოებული წარმოების საფუძვლები.

3. უფრო მეტად ჩქარი, ვინემ კაპიტალისტურ ქვეყნებში, ტემპი სა-
ხალხო მეურნეობის განვითარების.

4. სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონის თანისთანი, სისტემა-
ტიური უთურ ამაღლება.

არაფრს ვამბობთ ამ შეკავშირებაში საერთაშორისო ფაქტორზე; მაგრამ
ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ გადაშეწყვეტი მნიშვნელობა სოფლისა და ქალაქის
ურთიერთობის საკითხის. ამ ურთიერთობაში ჩამარხულია ძირითადი სიძნეებია
პროლეტარიატის სამურნეო პოლიტიკის, ვინითადნ ძირითადი დისპროპორ-
ციები, ჩევნი მეურნეობის დამახასიათებელი, სწორედ რომ მიმოლავდება შემ-
დეგი ხაზით: სოციალისტური ქალაქის ინდუსტრიალიზაცია — სასოფლო
(გლეხთა) მეურნეობა.

ეს დისპროპორციები შემდეგია:

1. მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის შორის.

2. ფასებს შორის მრეწველობისა და სის. მეურნეობის პროდუქტებზე.

3. მიწოდება და მოთხოვნა სოფლის მეურნეობის ნედლეულ ნაწარმის,
რომელიც საჭიროა მრეწველობისათვის (ბაბა, მატყლი და სხვა).

4. მუშათა ხელის რიცხვი სოფლიდ და მისი სასოფლო მეურნეობაში
გამოყენების რეალურ შესაძლებლობის შორის. („აგრძარული მიმოსახლება“).

თანზიციონერი დემაგოგები აქედან გამომდინარე ამოკანებს უბრალოთ
„სწყვეტდენ“. სახელდობრ, მათი აზრით: — უნდა დავაქმიყოფილოთ მშრო-
მელთა ყველა მოთხოვნილება, რისთვისაც უნდა ავსწიოთ-ავამაღლოთ წარ-
მოება; მაგრამ ამისათვის უნდა გამოვნახოთ ახალი მილიარდები, ინდუსტრია-
უნდა ვაშენოთ სასოფლო მეურნეობის ხაჯზე, იმ მხრივ, რომ უკანასკნელი-
დან გადაშეზიდოთ საშვალებანი მრეწველობის პროდუქტთა გაძვირების გზით,
გადასახადების გაზრდით, უნდა ვაშენოთ და განვვითარდეთ ძაქსიალურის.
ტემპით და სხვა.

პარტიამ უკუაგდო თავაშვებულ „ეკონომისტებისა“ და უპასუხისმგებლო
პოლიტიკოსების ეს ბოლოვა. დაეყრდნო რა რეალურ შესაძლებლობას, პარტია
ადასტურებს გეგმაში საუკეთესოს და უმეტესად ხელსაყრელ ურთიერთობას
საჭიროსა და შესაძლებლობის მომენტთ შორის.

ლენინური რეალიზმის დაცით, პარტიამ აღნიშნა გადაშეწყვეტილებანი სა-
მეურნეო რევოლუციის საკითხებზე,—რევოლუციისა, რომელიც იტენ-
ტოგრატუ ქალაქს, აგრეთვე სოფელს, როგორც ნაცონალიზაცია ქნილ სო-
ციალ. მრეწველობას, აგრეთვე სოც. მეურნეობას, და საბჭოთა კავშირის უშო-
რესი რაიონების წვრილ, კუსტარულ მრეწველობას.

ამ სამეურნეო რაიონებიდან ერთ-ერთი ამიერ კავკ. ს. ფ. რესპუბლიკა—
გარე თვისებათა მიხედვით ა/კავკასია უნდა მივაუზონოთ კავშირის იმ რაიო-
ნებს, რომელიც ხსიათდება ინდუსტრიალიზაციით.

საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიის „საკონტროლო ციფრებში“ 1927 წლის 23 მარტი — 1928 წ.წ. ცეითხულობა (გვ. 438): „საინტერესოა, რომ სახალხო მეურნეობის 1927 წლის პროდუქციათა საერთო ჯამში, სამრეწველო წარმოების წილადი აქ (ომის წინა დროის ფასებში), 1926—1927 წ.წ. შეადგენს 65%, ხოლო სასოფლო მეურნეობის — მხოლოდ 35%, ე. ი. ჩვენ გვიძეს აქ ინდუსტრიალიზაციის მაქსიმალური მაჩვენებლები კავშირის კუველა დანარჩენ რაიონებთან შედარებით. ეს მაჩვენებლები აღმატება ლენინგრადის რაიონის, ცენტრ. — სამრეწველო ლენინგრადის, უკრაინისა და ურალის მაჩვენებლებსაც“.

ამიერ კავკასიის ეს „ზენდუსტრიალიზაციის“ სურათი არის ბაქოს ნავთის მრეწველობის გამოხატულება. ნაწილობრივ — კიათურის შავი ქვის მრეწველობისა. ამ მაჩვენებელთა გარეშე, ე/კავკასიის კუნძომიერს დაახასიათებდა ჩამორჩენილობა, უმთავრესად სასოფლო მეურნეობისა, მოდუნებული განვითარების ნიშნებით („უფრო მეტად გლეხური“ მხარე, ლენინის გამოთქმით, ვიღრე რუსეთი, ან უკრაინა).

აქ, შედარებით მცირე უბანში, მოცემულია მთლიანად და საქსებით ხუთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური თანწყობა: კიშლიგ-სილაგის მეურნეობა, შავი ქვის კონკრეტისა, ბაქოს სოკიალისტური მრეწველობა, გლეხთა მეურნეობის მთლიანი ფონისაერთო და მცირედი, კერძო მეურნეობითი კაპიტალიში, უმთავრესად სავაჭრო ხასიათის — ის საბჭოთა ე/კავკასიის კუნძომიური სახეობა.

ჩვენი სამეურნეო პოლიტიკა უნდა ისახავდეს მიზნად საწარმოო ძალთა განვითარების დაბალ დონის დაძლევას; ჩვენი მეურნეობის ხუთმა წელმა მოგვცა დადგებითი შედეგები. საწარმოო ძალთა ზრდა შეიძლება გამოვხართ ძირითადი კაპიტალის ზრდით. ეს ძირითადი კაპიტალი კი ამიერ კავკასიის ცენტრიანი მრეწველობის (თუ არ ჩავთვლით ნავთის აღორძინებულსა და რაციონალურ მრეწველობას, შავი ქვის მრეწველობასა და ტრანსპორტს) საბჭოთა პერიოდის განმავლობაში გაორკეცებულია. უკეთესისაც იცვლება, ამ კაპიტალის შენებაც. უფრო მეტის მიზან-შეწონილობით ხდება მრეწველობის აღილობრივ გადანაწილება — ახლო ნედლეულ წარმოების რაიონებთან. საძირკველი ესკენება ახალ წარმოებათ, ჩნდება მრეწველობის ახალ-ახალი დარგები — (ქამიური), მიზან-შეწონილად მიმდინარეობს სასოფლო (გლეხური) ნედლეულის პირველი სახით გადამტავება, როგორიც არის: ბაბა, მატული, აბრეშუმი, სპირტის ხდა, ჩია და სხვა. მელიორაცია და რწყვის სამუშაოები მიმდინარეობს ჩქარის ტექნიკით, რაც მიმართულია ნედლეულ ტეხნიკური კულტურის გაფართოებისაკენ.

ენერგიის წარმოებაზ გადადგა დიდი ნაბიჯი წინ. ელექტროფიკაცია მიმდინარე მომენტის ფაქტიდ ხდება.

ნედლეულისა და იაფი ენერგიის პრობლემა, ამრიგად, არა თუ დასმულია უკვე, არამედ სწყდება კიდეც პრაქტიკულად.

ბუნებრივი სიმდიდრეთა მხრივ (მაღნეული, ტყე) ჩვენ დანაკლისი არ გვაქვს და არც გვექნება, — და ამიერ კავკასიის სახალხო მეურნეობის ხუთ-წლიანი საპრესცენტო გეგმა, რომელიც მიიღო ამიერ კავკასიის კომუნისტურ

ორგანიზაციათა მე-V ყრილობაში, არის ამიერ კავკასიის, როგორც როგორნის
ინდუსტრიალიზაციის პროგრამის ნაწილი. ამავე დროს იგივე არის საკუთრივი
სამეცნიერო განვითარების გეგმის ნაწილი, — განვითარების (რომელიც გულისხ-
მობს როგორც ქალაქს, აგრეთვე ტეხნიკურად შეიარაღებულ სოფელს) ინდუ-
სტრიალიზაციის გზით, რომელიც იერთებს ხოლმე კომპეტენტულ შეკვეთი-
რებულ გლეხობის „სოფლის შუა“ გზასაც ფართოდ გაშლილ სოციალიზმის
მიმართულებით.

3.

კულტურული რეცოლიუცია, როგორც სოციალისტური პშემატლობრივი მოთხოვ-
ილება.

სუთ-ჩლანდი გეგმით, სოციალისტური პშემა-
ტლობრის აშოგებულების დაკავშირებით, ყერძილურის
საკრია უნდა გაძლიერდოს, გადატარით და აუცილებელათ,
ძალადისა და სოფელის კულტურულ ღონის აშოგ-
ლება, და კავშირის ერთი ნაგითობური კულტუ-
რის განვითარება; კულტურული პშემატლობრის გუდინ
უნდა გაუკავშირდეს ქვეყნის ინტერნაციალიზაციას,
როგორც კავშირის სოციალისტური აღმნიშვლობის
საფრთხო გეგმის გარეყოფას რამილი. კულტურუ-
ლი პშემატლობრის გეგმის საფუძვლად უნდა დაეცის,
სასაუკრავ განვითარების ის აშოგებული, რომელიც
უძრავი აუდის შემთხველას დართო სასერიას
კულტურულ ჭრის (საციფროლო სტრატეგია, წერტი-
ვითხების უცოდინარობის ლავაზდებით), შესრუბი პრო-
ცენტრიზაციის განსაზღვრა და ა. შ.); აგრძელება შინაგანი
უნდა იწნება დაბასული კალიფერური — სპეციალის-
ტურისა და ზექციურების შემცვია მომზადება.

(ს. კ. პ. (3) მე-XV პარტურიოლობის
რეზოლუციიდან „დირექტორები სახალ-
ხო მეურნეობის ხუთ-წლიანი გეგმის შე-
დგენისათვის“; განაცოლი II, § 12).

სამეცნიერო რევოლუციის, თავის ძირითადი კონტურებით, უკვე ასა-
ხულს და ნაწილობრივ ხუთ წლიანი გეგმის ფარგლებში აღებულს, საბჭოთა სის-
ტემა მიყავს ერთ მნიშვნელოვან ამოცანასთან. ესაა სამეცნიერო რევოლუციის
თანმდევნი კულტურული რევოლუციის ამოცანა. ეს ამოცანა უნდა გვა-
გოთ როგორც ყოველმხრივი პროცესი, რომელიც გარსევლება წარმოებას,
სახელმწიფო მომენტის მომენტისას, სოფელსა და მშრომელთა მთელ მასას.
კულტურული ზრდა არაა შედეგი საბჭოთა კავშირის მხოლოდ პოლიტიკური
სიძლიერისა და სამეცნიერო განვითარების; არამედ იგი, ამავე დროს, შემდეგი
განვითარებისა და ზრდის დამაუკიდებელი მომენტია. ჩვენი პარტია და სა-
ბჭოთა მთავრობა, ყოველთვის, უძნელეს ხანაშიაც კი, იყენებს ახლო „ნათე-

 შეაჯირითა ჭალა მძინარე
 და მშენამლერი ფაზისი მორთო.

ანლა, ეს გული შენს წინ დაეშვა,
 გადაიშალა, როგორც ფოთოლი;
 ჩამოდგა სუნი: ჭალრების ნეშოს,—
 ფეხქვეზ მემლება გამდნარა თოვლი.

აინთო მთები უქმერიონის,—
 სანთლების ცეცხლად გადასკდა მთა ის,—
 ამიერიდან მშე ხარ რიონ:

მინდა ჩაგეკრა: შენ და ქუთაისს.

2.

მოვედი ასე და მოგიტანე
 აქ ლექსის კონ: მაღალი ძნებად;
 საკუთარ სისხლით გამობარი ტანი,
 ზეირთებო: მინდა გავშალო გრძნობად.

მოვედი შენთან, შენს საღიღმბლათ;
 წარმართულ ჯიშის სინაზე მმოსავს;
 მინდა სალაში მოგართვა დაბლად
 და დავითენთო, ნათელი შეოსანს...

მშე, ელექტრონით ეწვია ტრაქტორს.
 მოვარე ჩამოდგა იმედით ბატონი.
 ცამ, ღრუბლებს მეზის დაარტყა ტორი
 და ვარსკვლავებიც მოვიდნენ აღრე.

შევე, დაიწყო დღესასწაული:
 სიწითლის შუქით მოგირთავს მყრდი.
 ამიერიდან ვერსად წაუვალთ
 ბრწყინავ პატრუქებს შენს ოქრომყრდის.

მტრედებს გუნდიც ეთმაშება
 ფერად ვარდების დასტების ალამს;
 მგოსნებთან ერთად გადმოვეშები:
 ანთებულ ელმნათა: ვუდაფნავ სალამს.

ბედნიერება, როგორ ავარდა
 კიფილით გვივლის: ზეიში ფაზისს!
 რომ ელექტრონი: აა და ვარდად
 ცინცხალ ჭრალებით სხეულზედ აზის.

უხსოვარ დღებს ხევ დედის საშოთ...
 ბრძოლებს გადახთილს ოქროს ჩარდახთან
 და სამკაულებს ბარაკონს ნაშოვნს
 ორპირის ფშანში დაპხრი ელნათით.

იყავ მაღალი! სისხლად იწეოდი;
 ალმაშენებლის გამღვრევდა რაში;
 პეშვად გაგქონდა მშობელი მიწა,—
 მწიუე ნაყოფი ჩამტკბარი რქაში.

გახსოვს ბაგრატის ტაძრის კედლებთან
 გუდებ დაკრული ისმალოს სწრაფეა;
 ეხლა მის ნაცვლად ჩამოგდის ნედლი:
 ელნათის სხივი, მკიცან მცხრაფად.

დაგმე წარსული: როცა ჭალებზე
 გიტორტმნებდა ტორზე ალლუმი;
 ახლა გიმღვრის გადაჭენებით:
 შუქურ—თვალები რწყინავ ლალუმით.

მობდავი ლალი, დავლურით ოხრავ
 გაღმოვარინილი, როგორც ნადირი;
 სანთლის ხორუმით კლდებს გამოხრავ
 და პატრუქებით ჩამქრალ დირეებს.

მოგძახით ხალხი:—ფაზისო კარგო!
 ელნათის თვალი გადმოვგაფარე,—
 და თლილ ტივებზე, რომ გადავკარგოთ
 მაღალ სიცოცხლის ულევი ფერი.

ძვირფასო ფაზის! სიცოცხლე მინდა
 ელექტრო შუქში გამოგიხვიო;
 ახლო ვარ შენთან და ჩამომდინდა:—
 მოგვალერსო: ამბორი. ხვევნა.

ხევი ჩამოდგა, როგორც ცისკარა,
 დასნა შუალედს სამოსი ლბილი,
 ელნათურები მოგედა ქარად,—
 მოსტარა შუქი—ელექტროს: თბილი.

ჰართალი არის: ჩირალდებს გვზი
 ჭიმის ბორცვებზე აუტანიათ;
 ცეცხლებს თავანს ვსცემთ ჩვენ რიონპესის!
 სადაც ჩამდნარა ელექტროს ტანი.

დიდება ნათელს.—კაშაშა ნათელს!
 ფაზისთან ერთად, სინათლე გწამდეთ.
 ელნათის ფერით კლდენი მოვთელეთ. ॥
 დავსდგით საღვრულ ელექტროს, ცაძე.

მოქმინება ასე: მდევის ფაფარავ;
 სინათლის მძივებს კრევ კრიალოსნად;
 ისტურებ სხეულს: გედის. კაფარის.
 მშრომელთ რიგების ჩაგოვალონ მგოსნად.

სადაც მოღლილებს ჩაუთვლემიათ,
 საუკუნეთა შემაგ რაინდებით,—
 ელექტრო ჰყოვის: ეხლა ჩემია:
 ფაზისის ლანჩად, ეხლა მინდებით.

სადაც ფაზისი ქომას ჩაკვრია,
 იქ ერთდროს თითქოს ესვენა ფარი,—
 ახლა მის ადგილს სხივები რეკვენ
 და ელექტრონის ღვიგის ლამპარი.

გადამეშალა გულში ყვავილი,
 თქვენ ამას მგონებ, თვალი მოჰკარით;
 რა სიხარულით მწევანეყვავილას
 ეალერსება მძლე ამბოკარი.

გურგენ რაინდთან წარსული მოდგმა
 როცა რიონის იყო დამცელი,—
 ეხლა ფუხარას ძარღვში ჩამოდგა
 სისხლით ნაქცევი სინათლე მწველი.

მოებს შემოგარსულს მწევანე ნაბდებით
 ზეცის სილურჯე აძევს ფენებად,—
 გახარებულნი სინათლით ვდეგბით
 რიონპეს: გიმდერ! მომეცი ნება.

გახარებული დაგეწაფები
 სადაც სათავეს ღელე გითრთიდა,—
 ელექტროს შუქი: ნაყოფი მწიფე,
 რომ დააფრენიო საირმეს მთილან.

ცეკვხლიან ტანის ხილვა თვალებით
მე შოშაირეს იცოდეთ მმართებს:
როცა მკერძებზე ტბა ხარისთვალას
და ნაქერალას გადანათებ.

მოქრიხარ ასე: მდევის ფაფარავ;
სინათლის მძიებებს ჰქონეთ კრიალოსნად;
იხურებ სხეულს: გვდის. ჭავარის.
შშრომელთ რიგების ჩაგოვალონ მგოსნად.

მართალი არის: ჩირალდნებს გეზი,
ჭომის ბორცვებზე აუტანიათ;
ყაცლებს ჰატიის ესუემო, ჩვენ რიონპესის:
საღაც ჩამდნარა ელექტროს ტანი.

გათავდა მიწავ: მწვავე ბორიო.
ზეირთთა სიმღერა: სინათლით გესმის.
დავემხოთ ყველამ, მოვვაქვს ამბორი:
ლილეო ფაზის და რიონპესის.

2

Ճ Կ Պ Վ ճ.

საღო ბიბლიოთეკი.

ს უ რ ე ბ ლ ე ბ ი.

1.

1921 წელი დადგა...

რესერვის გამარჯვებული პროლეტარიატი საქართველოში აჯანყებულ მუშების დასახმარებელად ტფილისისაკენ მოიწევს...

საქართველოს მუშებსა და გლეხებს უნდა დახმარონ, მოეხმარონ ძალაუფლების მოპოვებაში.

მცხოვრებნი მეტად შეშინებულნი არიან...

მენტევიკური ხელისუფლება ხალხს ანუგეშებს...

მათი პრესა ყოველდღე გაიძახის:

„რაფერისაც არ უნდა იყოს მტერი, ჩენი დამოუკიდებლობის მოსახლობლად მოვლენილი, წითელი, თეთრი, თუ შავი,—ღირსეულ პასუხს მიიღებს იგი ჩენ მეომართაგან; თვით ჯოჯოსეთის ძალებიც რომ აღდგენ ჩენს წინააღმდეგ, შეუბრალებლად „გაითელება“. ასეთი სიტყვებით ტრაბაზობს და ყურებს გვიჭედავს მენტევიკურის ყოველდღიური ორგანო...“

მდგომარეობა თანდათან „უარესდება“...

თებერვალი ილევა...

„სასახელო გვარდია“ უკან იხევს.

დავთარი დაგბნა...

გარუცდება...

ჯარისაცები ბრძოლის ველიდან მიიპარებიან, გამორბიან სახლში, რომ თავს უშეველონ... ძლევამოსილი წითელი არმია შემოვიდა საქართველოს დედაქალაქ—ტფილისში...

გაწითლდა ტფილისი...

მენტევიკურის მთავრობაშ აღრიანათ უშეველა თავს:

მოპურუცხლა ბათომისაკენ და თან გაიტაცა, რაც მოახერხა...

2.

დასავლეთ საქართველოს დედა ქალაქ—ქუთაისში არევ-დარევაა...

ზოგს სახე ჩამოსტირის...

რა მოხდა ტფილისში და რა ამბავია არ იციან...

მშობლები იქ მომწყველეულ შვილებს, მოსწავლე ახალგაზრდობას, სტირიას, ამბავს კითხულობენ, ვერაფერს გებულობენ...

აღვილობრივი მთავრობა სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, დაყარა ფარხმალი...

არსაილნ ხსნა, არსაილან იმედი მისი...

მატარებლების მიმოსვლა შეჩერებულია...

სადგურზეც არავის უშევებენ...

შეშინებული მცხოვრებნი უზაროდ სტირიან ..
 უბედურებას ელიან...

გავრცელებულია ხმები, რომ კომუნისტები „კაცი-ჭამია“ ხალხია... არავის
 დაზოგვენ... მამაკაცებს ღახვრეტენ... ბავშებს ყელებს გამოსჭრიან, დედა-
 კაცებს ნამუსს ახდიან, სახლის ნივთებსა და ავეჯეულობას ყველას წაართმევენ
 და სხვა...

ბურჯუაზია და მდიდარი კლასი გარბის...
 იხიზნება...

შეილებს შავი ზღვისაკენ აფხავნიან, ნივთებსა და სხვა ქონებას მალავენ...
 აი, საღაც არის ქუთაისი ცეცხლის აღში გაეხვევა...
 თვალკრემლიანი ერთმანეთს ეთხოვებიან...

3.

მარტის თვეის ხუთი-ექვსი დღე გავიდა ..

ქუთაისი დაცრიველდა...

ლარიბი მოსახლეობა ფეხს არ იცვლის...

ბევრი არაფრად იგდებს ასეთ ამბავს...

სავაჭროები დაკეტილია სანახევროდ...

შეშინებული მცხოვრებნი ნაკლებათ გამოდიან...

სიცოცხლე შენელდა...

განძლენ ლამის „რანდლები“... სარგებლობენ შემთხვევით. სავაჭროებსა და
 ბინებს სტეხნ, ქურდობენ...

მილიცია შიშმა შეიპყრო, იარაღი დაყარა... ვეღარ მოქმედობს...

მუშები და მშრომელი ინტელიგენცია შეიარილდა...

იკისრეს ქალაქის დაცვა; რიგ-რიგობით გამოდიან საღამოს შვიდი საათი-
 დან და დილის შვიდ საათამდი წესიერებას ამყარებენ.

ქალაქს იცავენ...

4.

ათი მარტია...

სუსხინი დილაა...

ცა მოწმენდილია...

მზემ ამოყო თავი...

ქალაქში სიჩუმეა...

მცხოვრებნი აღარ სჩანან...

გამოჩენდებიან თითო თრ-თრი ცხენოსანი კომუნისტები... შემოდიან ზო-
 გი ხონის გზით, ზოგი სამხედრო ოსეონის გზით, ზოგი ბალდათ-ზეკარის გზით...
 თოფები მომარჯვებულ-მომიზნებული აქვთ...
 იმათაც ეშინიათ...

გაიარეს ქუჩები და დარწმუნდენ, რომ ხმას არავინ სცემს... პირის გადასახადის ხალხი ხალისით ეგებება „ვაშა“-ს შესძახის, ზოგი პურმარილზე იწვევს... მათ სახეზე მხიარულება დაეტყოთ....

შეხვედრილებს ხელს ართმევენ, კოცნიან, სალაშს უძღვნიან...

ხალხი თანდათან წყნარდება, მშვიდდება...

ცუდი არაფერი ხდება...

მოსულნი „კაცი-ჭამიები“ აღარ შეიქნენ... აღარავის სჭრიან ყელს, არავის სჭრიენ...

რასაც ავრცელებდენ ბოროტი ენები და ან გაქცეული მთავრობის წარმომადგენელნი—ყველა სიცრუე შეიქნა...

5.

გავიდა ათიოდე დღე...

ქუთაისში მშვიდობაა... ტფილისიდანაც ცნობები მოდის სასიამოვნო...

მშობლები დაწყნარდენ...

შვილებისაგან წერილი მოსდით...

ქუთაისიდან განიზული მცხოვრებლებიც ნელ-ნელა ჩამოდიან...

ოჯახს უბრუნდებიან... მშვიდობიან ცხოვრებას იწყებენ...

სავაჭროები გაიღო...

დაწესებულებანი ამუშავდენ...

სკოლებში მასწავლებლები და მოსწავლეები დაბრუნდენ...

მუშაობა გაიაღდა...

თევთრი პური გაჩნდა...

ცხოვრება თანდათან ნორმალურ კალაპოტში ჩადგა...

შესდგა ახალი მთავრობა—საბჭოთა ხელისუფლება...

მუშურ-გლებურმა მთავრობამ დამყარა მშვიდობიანობა... მოისპო მეზობელ ერთა შორის სისხლის ღვრა და დამყარდა ძმური კავშირი. ქალებსაც ყოველგარი უფლება მიეცათ. შეიდი წელიწადი შესრულდა, რაც ხალხი მოსვენებულია და ეწევა სოციალისტურულ-კულტურულ აღმშენებლობას.

ქ. პორტუკა.

გ ე რ ღ ე ს მ ე ხ ე ს.

სოფელ № სახერხი და საფქვავი ქარხნის პატრონს—ივანე შელაძეს, ში-შისაგან სახე გაფიტრებოდა, თვალები გაფართოებოდა და გრძელი ცხვირი უფრო დაწვრილებოდა.

ასთი გარევნობა ჰქონდა მას, როდესაც 21 წ. იანვრის ბოლო რიცხვებში, თავის ქარხანაში შემოვარდა, მემანქანეს ბეჭედზე ხელი დაირტყა, განითვისმო და უთხრა:

— ჩემი მალაქია, საქართველოში აჯანყება დაიწყო... ძელი წესწყობილება ირღვება—მენ შევიკების ჯარი გარბის, მათ ბოლშევიკები მისდევენ... მეც უნდა გავიქცე... როგორც შეძლებულ მემამულეს ვიცი ხეირს არ დამაყრინ... შეიძლება თსმალეთში გადავიდე... მაგრამ დიდ ხანს არ დაერჩიბი, მალე დაებრუნდები... შენ ეს მანქანა მოშალე, თორემ ისინი მას ან გააპარტახდენ, ან სადმე წაიღებენ...

ივანე შელაძე მალაქიას გამოეთხოვა, ეტლში ჩახტა და გაქრა.

2.

სიცივე იყო. აწყალებული ქარი ჰქონდა. ცას შავი ღრუბელი მოსწოლოდა.

დალვრემილი მალაქია, გადაჭრილ ხეზე მძიმელ ჩამოჯდა. თუთხმეტ წელი წადა მსახურობდა ის ამ ქარხანაში. ხუთ წელს მხოლოდ წყალს ეზიდებოდა მანქანისათვის, შემდეგ მანქანის აღნაგობას გაეცნა და, როდესაც ტფილისიდან ჩამოყავანილმა მემანქანემ ივანეს ქარხანაში მუშაობას თავი დაანება, მალაქიამ ღაიშუო მანქანაზე მუშაობა.

ამას შემდეგ, ათი წლის განმავლობაში, ის დაუღალვად უვლიდა რკინის განქანას, თითქოს გრძნობდა რკინის ამხანაგის ტკივილებს. ასუფთავებდა, დროზე წყოლსა და მაზუთს აწვდიდა...

თუმცა ივანე მას ჯამაგირს დროზე არ ძლევდა, მაგრამ მალაქიას მაინც უნდოდა შეჩერებული საჭმისათვის თავი დაენებებია.

ახლა ბოლშევიკების მოახლოების გაგონებაზე, მალაქია შიშის ზარმა სიტრანა...

მას გაგონილი ჰქონდა, თითქოს ბოლშევიკები ყველაფერს ანადგურებენ, აოხრებდენ.

მალაქიას გულზე მძიმე დარდი მოაწვა.

თავის მანქანას მოწყენილად მიაპყრო თვალები და ცრემლი მოადგა, როცა წარმოიდგინა, რომ მას მალე იქედან გააძვევებდენ...

დალამდა.

მალაქია მანქანას მიუახლოვდა, ათრთოლებული ხელებით რამდენიმე ნაწილი დააძრო, ყუთში მოათვასა და მიწაში ჩამარხა, ქარხნის კარგი ღია დასტოვა და შინისკენ მოკურუცხლა.

3.

გავიდა რამდენიმე დღე... მთელ სოფელს აჯანყება მოედო.

მალაქია შიშით გარეთ გამოხედვას ვერ ბედავდა...

ბოლოს, როგორც იქნა. სოფლის დუქნისაკენ გაემართა. მის წინ საოცარი სურათი გადაიშალა.

აუარებელი ხალხი ტალღისავით დელივდა... აფრიალდა წითელი დროშები... მიტინგი დაიწყო... ორატორები ამეტყველდენ...

უსმერნ მალაქია და ყურს არ უჯერის.

— ამხანაგებო, დღეიდან ქვეყანა მშრომელს ეკუთვნის... მემამულე-ბურუუბის დრო სამუდამოდ მოისპო, გაქრა... ყველა გაორკეცებით დაწაფეთ შეშაობას”...

დაუგდო ყური მეორე, მესამე თარატორის და მალაქია თანდათან აწმუნდება, რომ ბოლშევიკები მუშა ხალხის მეგობრები არიან...

მალაქიას გარკვეულად ესმის მოქადაგის უკანასკნელი სიტყვები: მშრომელს უნდა გადაეცეს მიწა ქარხნები, სახლები”...

— მაშ რასაც ივანე მელაპარაკებოდა ყველაფერი ტყუილი ყოფილა—ფიქრობდა მალაქია.

შინ ნალვლიანი გამობრუნდა. მეორე დღეს მოულოდნელად რევკოში დაიბარეს.

— ქარხანა რაღ არ მუშაობს? — ჰკითხა მას რევკოშის თავმჯდომარემ.

მალაქია დელავს.

არ იცის რა უბასუხოს. ბოლოს ძალის მოიკრეცს: — მანქანის ნაწილები პატრონმა გადამალა — მიუფო მან.

— ნუთუ ძნელია მისი ამუშავება?

— დიდი დრო და ფული დასჭირდება — ძლივს უბასუხებს მალაქია.

რევკომის თავმჯდომარეს არ სცალია... უძილო ღამეებით მოქანცულა... ხმა ჩახლებილი აქვს...

— ამხანაგო, მანქანა კარგად დათვალიერე და ხვალ მაცნობე, თუ რა ნაწილი იყლია... რამე უნდა მოვახერხოთ, ხალხს ხომ ვერ დავამშევთ?... — მეს-მის — უბასუხებს მალაქია.

გამობრუნდა. საღამოს კიდევ ერთხელ დაესწრო კრებას და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ახალი მთავრობა მისი მეგობარია.

მხოლოდ ახლა მიხედა, თუ ივანე როგორ ატყუებდა, ყვლეფავდა მას. საშინელი სინაცული იგრძნო.

ძარღვები აეშალა.

მოუთმენლად მოელოდა ლამეს და, როდესაც სანატორელი წუთი დადგა, ქურდივით ქარხანას მიეპარა, ყუთი ამოილო და ოთახში შეარბენია...

4.

მეორე დღეს მალაქია რევკოში გამოცხადდა...

— რამე შესძელით? — ჰკითხა რევკომის თავმჯდომარემ.



— კი. ძველი ნაწილები გამოვნახე — მიუგო მალაქიაშ.

— ამგვარად ქარხანა მაღვ ამუშავდება? — დღესვე... — მაშ, მის გამგედ ჟენ დაინიშნები... თანაზრომლებს მოგცემთ... საქმეს მოუარე... ანგარიში იქნიე — უთხრა რევულმის თავმჯდომარებ და ბრძანება ჩააბარა.

გახარებული მალაქია ქარხანაში შემოვიდა.

გაციებული, გაყინული მანქანა მოწყენილად გამოიყურებოდა, თითქოს ობლობას გრძნობდა... მალაქია იმ წამსვე საქმეს შეუდგა: მანქანა გასწმინდა, გაასუფთავა და აპრიალებული რკინები რომ დაინახა, სიხარულით ვერ მოითმინა და ერთ მათგანს აღტაცებით ხელი გადახვია და გამბორა...

შემდეგ ზონარი ჩამოსწია და მანქანის საყვირმა სოფელს ტკბილად ამცნო, რომ მალაქია და ის ხალხის სამსახურისათვის მზად იყვნენ.

დია ჩიახელი.

ბიზ ღერძნა.

ნაშეცეტები რომანის მესამე ნაწილიდან

შაილ-ილაშ-ილაშ შაილ.

სვანეთი.

დაკუმშული კუნთები. მაგარი, რკინის წვივები და ფოლადის მკლავები... როსტომის ხმი და ბრინჯაოს ხერხემალი ..

თეთნული და უშბა, მყივრალა ხარ-ჯიხვებით დახეთქილი კლდეები მყივარა არწივებით... ქაფიანი ჩანჩქერებითა და ასწლოვანი ხებით:

თითოული სოჭი სვანსა გაეს ჩამოფხოტილი ნაბდის ქულით...

მიღის გონქ და სხეული მისი იცინის.

მიღის გონქ და სხეული მისი ორთის:

სისხლი სჩქეფს ენგუროვით და გული დაგდაგებს უშბას სილრმეში მომ- წყვდეულ ვულკანივით.

— ბაილ-ილაშ-ილაშ-ბაილ!!

სადღაც ნაპარალებიდან მოესმის...

— ბაი, ბაი.. ბათქუნებს მისი გული..

სვანეთი.! ლეგენდებით და ზღაპრებით სავსეა მისი კლდეები; ამირანი დაიარებოდა აქ და გულით დაქონდა დევების მტრობა..

„ბაილ.. ბეთქილ დალი შეიყვარა, ამირანის შობელი, რომ იყო ერთ დროს, მაშინ მოკვდა დალი, მაგრამ, მთებმა და ჩანჩქერებისა კვლავ გააცილებელებს იგი და აქრო თმა და ლურჯ-თვალება არ გაუშვეს, გულს ჩაიკრეს და სიცოცხლე დაიმშევნეს“.

რამდენი მონაცირის სიცოცხლე გადამტყდარა პიტალო კლდეებში, რომელიც გულით დალის ტრფიალს ატარებდა და ძარღვებში ჯიხის შურით ცეცხლი უტრიალებდა..

რამდენი მონაცირე გადაჩენილა, რომ ვერც დალი უხილავს და ვერც ხარ-ჯიხები; მაგრამ დღესაც სვანი მონაცირე ამავე ტრფიალებითა და შურის-ძიებით ექებს დალის—ლურჯ-თვალებას და რძისუერ ლოყებიანს; ექებს ხარ-ჯიხეს მოსაკლავად და თხილამურებით ყინულებზე დაცოცავს, სუნთქვას ყლა- პავს და მიღის, მიღის..

განა გამბედაობა არ არის ციცაბო კლდეებზე იარო წრიაპით და თეთნულდისა და უშბას თხემებს: სიკედილით რომ არის სავსე, თავზე გადააჯდე და სიკედილის თვალებში უყურო და სასაცილოთ აილო?!..

უნდა რკინის ნერვები ქონდეს კაცს, ცეცხლის თვალები, ბრინჯაოს გუ- ლი, რომ სიკედილს გრძნობდე და არ გრძნობდე...

ჯიხის ტყავებით შემოსილი, წელზე „ხანჯარ“, გულში თუჭი და თავი საესე გამბედაობით და სიცოცხლით..

— ბაილ-ილაშ-ილაშ-ბაილ!

გაშტერდა გიონი, როცა ლატფარზე შედგა ფეხი...
 გაეყინა ძარღვში სისხლი..

აუთამაშდა ნერვები...

ძალა მოიქრიბა. მდინარის მოთქმას მიუგდო ყური და გამაგრდა..
 ეს სიმაგრე უნდა მას, ეს გამშედაობა.

მიაშტერდა მდინარეს:

იგი იმღეროდა: ველური სიმღერით, მოზღვავებული სიმძაფრით...
 ბაილ-ილბა-ილბა-ბაილ.

სვანეთ! ფოლადი, რკინა, ოქრო, ენერგია და სიცოცხლე გაქვს შენ..

გაკლია ერთი: ქარხნები უნდა ავუგუნდეს შენს გულში, ჯიხვები უნდა
 დაფრთხები.. არწივები უნდა გადაშენდენ.. უნდა მოკვდეს ლეგანდა ბეთქილ-
 ზე და დალი ლურჯ-თვალება და ოქროს თმიანი ველარ დაიბანს ენგურის
 ჩანჩქრებში რძისფერა ტანს..

ენგური უნდა სადავეებში ჩაიჭედოს და მისმა ძალადობამ—შეს ელექ-
 ტო მზე, ელექტრო ცეცხლი!

მოკვდება ფერხული, დაინგრევიან, გულ-გამოლადრული მთები, აშენდე-
 ბა გუგუნა ქარხნები და მაშინ...

ბაილ-ილბა-ილბა-ბაილ მოკვდება და სხვა სიმღერას გიმღერთ:

შრომის სიმღერას: ტკბილსა და ძარღვიანს მჩქეფარეს და ფოლადიანს,
 ისეთს, როგორც შენ ხარ სვანეთო ტკბილო და იმედიანო!

ენგურის პირად.

დაბინავდა.

საექიმო პუნკტი შეა სოფელში იყო— ენგურის პირად.

ბინა პუნკტში მისცეს..

ახლოს გორაკი იყო ტყით დაფენილი..

ტყე.. მდინარე . რომელი ერთით დასტკბეს გიონი.

ტყე: სოჭებით, ნაძევებით წამოტხორილან.. შემოდგომა იწყებოდა იქ
 რომ ავიდა.. შემოდგომა კვითელი მზით, გაყვითლებული აღა წარმოაუდე-
 ბოდა თვალწინ, მაგრამ ისე დაიტვირთა საქმეებით, რომ მალე გაჯანსაღდა,
 გაჟაჟდა..

დილით ადრე დგებოდა. ცივი ენგურის წყლით ტანს იგრილებდა.

როგორ ხარბად დაწაფუბოდა მის შეფეხს, გაწითლდებოდა, ბოლი აღი-
 და ტანზე, —უხაროდა, პეშვებით ხერებდა, თვრებოდა..

პუნკტზე ყოველდღე ირეოდა ხალხი.. გიონის სახელი მალე გავარდა
 მთელს კუთხეში და იგიც მოუსვენრად მუშაობდა.. მუშაობდა... ხალხს შეელოდა.

დილანს მუშაობდა, არავის არ გაუშევებდა ნუებში არ მიეცა, დახმარება
 არ აღმოიჩინა, ლმობიერი სიტყვა არ ეთქვა..

როცა მუშაობას მოჩინებოდა გადიკიდებდა თოფს და ტყეს შეუკვებოდა..
 თოფი მისი განუყრელი შეგობარი შეიქმნა.. წამოჯდებოდა საღმე ბებერი სო-



ჭის ძირას, დაიკავებდა ხელში წიგნს და კითხულობდა, ან ამოიღებდა ბლუტერულუ ნოტს და სწერდა, სწერდა..

შორს ისმოდა ენგურის ხმაური, კვნესა.. ტყეში კი სიჩუმე, სიჩუმე.. და მას გიონის სიჩუმე უერთდებოდა.

დიდ ხანს იყო ხოლო ტყეში, ერთი ადგილიდან გადადიოდა მეორეში; ყოველი ნაძვის ძირი გაიცნო, ყოველი ხის მოხაზულობა შეისწავლა.. ასე იკრძა: დიღხანს, დიღხანს კითხვა რომ მოწყინდებოდა, ხეტიალებდა იგი.. ფქრობდა და ხეტიალებდა..

ზევით კი გაბარტლინი ბურქელიანი შტოები.. საყმეველისა და ფისის სუნი — ათრობდა, სწერნდდა მის ფილტვებს, ატოკებდა სისხლს და ამუშავებდა ტვინს..

მიადგებოდა ენგურს: გადახედავდა, უფსკრულში იყარგებოდა იგი, ებრძოდა ლოდებს, ხრიალებდა დევოით, თვრებოდა ბრძოლით და მირბოდა ქვევით, სულ ქვევით. აუბრკუვალდებოდა თვალები, ენგური მოიტაცებდა მის ფიქრებს, ჩააკერავდა მძივივით წყლის ძაფს, წამოაცმევდა ზედ და თავისკენ ეწიდებოდა....

თვალებით სჭამდა ამ ძაფს, ტვინით სჭამდა, მთელი ოვისი არსებით სჭამდა და მანიც ვერ ძღვებოდა. უნდოდა სულ გადაეყლაპა, ტანს დაეხვია, ყოველ ძარღვეზე დაეხვია, ყოველ სოზე შემოეეგრავნა, რომ ენგურის სიძლიერე ეპოვა, ეშვევა...

მიაშტერდებოდა, რომელიმე ლოდს, ამოიღებდა ნიშანში და იგრიალებდა თოფი...

გაისმოდა გამოძახილი მთებში და იზუვლებდა ენგური, გულში ჩაიკრავდა მის ხმას და კიდევ დაიზუვლებდა.

გიონი კი ისევ—მიაყოლებდა ტყვიას, ხელში შეათავაშებდა თოფს და შეატყობდა, რომ ენგურს ვერა დააკლო, —ნიშანში ამოიღებდა, რომელიმე ხეს — და შეაზე გახვრეტდა.

მნიშვნელოდა, გამწვარი იყო ზე, გადმოდიოდა ლორწო.. და მეორე დღეს: მნიშვნელოდა ეკიდა თეთრი გამსკვირვლე ლორწო—ფისი, ეს ცრემლები იყო სოჭის, რომელიც, თითქოს, სტიროდა. ხშირად სოფელში გაიკრებოდა, თავისი საექიმო ბოლჩით სახლიდან—სახლში გადაღიოდა..

ექცებდა ავადმყოფს, ექცებდა შეპყრობილს..

ხვდებოდა მოხუცი, ახალგაზრდა, რეგებას კითხავდენ, დარიგებას...

ხშირად მოხუცებში ჩაჯდებოდა იგი და ისმენდა ასწლოვან ადამიანების სიბრძნეს, მათ კვეთილ სიტყვას, ცხოვრების დაკვირვებას..

ხედავდა მოხუცებს წყლიან-სიტყვიანს, ენერგიით საესეს.. ხშირად ნახულობდა ავადმყოფთ: და უკვირდა: პირწავარდნილ ბუნებაში, სიწმინდეში: თითქოს ეს იყო კაფე-შანტანი პარიზის, ბოგემა ლათინური კვარტალის.

ლეველი... სად.. რა უნდა ეშაქს—სამოთხეში?.. ილბათ შემოიტანეს: — ბინძურმა ჩინონეკივებმა, ან სეანმა ჩასულმა ბარად ამოიტანა... პირველმა შეყარა—არ გაამხილა... მეორემაც შეყარა არა იკოდა.. ან ვინ მოარჩენდა—და გაფრკულდა.. გადავიდა ერთიდან მეორეზე—და ამნარიად იწყო სეირნობა..

სვანეთში კი ამ ავაღმყოფობას ულოცავდენ, თხას კლავდენ, ცხვირს სწორავდენ ჭმ. კვირიკეს; ორაყითა და ლუდით ლრეობდენ, მაგრამ უსასურისა ვრცელდებოდა, ხრავდა ბავშებს, აბრმავებდა მოხუცებულთ და ხარხარით და-დიოდა მთებში, სახლებში, კაშვებსა და გზებში...

და ძალობი სოჭი ცას, რომ ესალებოდა დილით, მეორე დღეს გადალე-წილი ეგდო ძირს.

ამაყი ნაძევ შტოებ დამტკრეული, ატირებული..

ფოლადის ხერხემალი ტყდებოდა მალებათ, ბრინჯაოს ტანი იზნიქებოდა და მძაფრი სიცოცხლე ცხვირ-მოჭული სტირიდა..

ხედავდა ამას გიონი და გაუმკლავდა მას, შეება გოლიათი ამირანი მყრალ ბაყბაყ დექს-ლეუეს.. ბევრი გადამარჩინა მის კლანჭებს, სიცოცხლე აჩუქა, წა-მოაყენა, გააცოცხლა..

და მთელი ლამები იჯდა გოლიათი—და ფიქრობდა როგორ გამოეტაცა სიკვდილისთვის ადამიანი, რომელიც ჭმიდა, როგორც უშბას კალოები...

დიღო ადამიან, მშვენიერო სიცოცხლე! გამარჯვება შენ! შევო სიკვდი-ლო, ადამიანი დაგამარტებს შენ... და დაგანარტებს ძირს, დაიღმიჭები, დაი-გრიხები, მაგრამ მაინც დაგამარტებს..

და ამ სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაზე ლამები ფიქრობდა გიონი..

ლამები ატყდებოდენ თავზე, სწმენდენ მის შემოქმედებას, აფერადებ-დენ მის ფანტაზიას და სიცოცხლეს მატებდენ..

ჯ ი ხ ვ ე ბ ე ბ ე ბ ე ბ ე ბ ე

ჯიხვების სეზონი იყო.

როცა ცა მოწმენდილია და გაყინულია ჟველაფერი...

ძნელია ამ დროს ნადირობა.

გიონს უნდოდა გამოეცად ძალა მუხლების, გამჭრიალობა თვალების. მთები უნდოდა დაეპყრო იმ დროს, როცა იგი ამაყია და ზვიადი თავის თეთრი ყინუ-ლებითა და პიტალო კლდეებით.

ძნელია ზამთარში ჯიხვზე ნადირობა. საფრებში ასელა და იქ დარავი.

მაგრამ სცადა გიონზა.

სცადა სტიქონთან შეჯახება, სცადა მისი დაპყრობა..

სამი ამხანაგი იშოვა.. მოემზადენ და გზას გაუდგენ. ორი—დაბლი დარჩა, ორმა საღმოს მიაწია საფარის:

იქით ელოდენ ჯიხვებს—ლილით, როცა სილავით მოგეყრება ციფი ჰეირი პირისახეზე და ამ ჰეირს ყლაპავ მთელი სხეულით, როცა მოგესმება თოფის ხმა და ამით დამფრთხალი ჯიხვები, ზევით წამოვლენ—შენ უნდა ნიშანში ამოილო ჯიხვი და არ დააცილო.

თუ დაცილებ წახდა მთელი ნადირობა.

მეორე დილამდი უნდა იცალო... იცალო, იცალო... და ლამე ნაბადში გა-ევეულმა უნდა გაათიო თოვლთან და ყინულთან ერთად. ძირს ყინული გიგია ლეიბად და ზევით ცის ვარსკვლავებით მოქარგული საბანი გახურავს.

შენს წინ აზიდულია მთები, გვერდით მთები, წინ მთები, უკან მთები უკან მთები უფსკრულებით, დადუმებული და გაყინული წყაროებით, ცხეირ-ტექტურული ლოდებით და შენც ამ ლოდებსა და უფსკრულებში ლოდათ უნდა გადაიქცე, უნდა გაცივდე და ცივი გულით უყურო ცას, ცივი ოვალებით სჭამო სიკრცე...

სიცივე მოგაწვება ფეხებში, მოგწვავს ცხვირს, მაგრამ შეეწვევი, ჩაჯდები თოვლში და მაშტერდები ცას, იქ ვარსკვლავები რომ იმანჭებან, იცინან. ისინი აღნად თბილად გრძნობენ თავს ჩიტებივით თავის პულეში და შენ კი იყინები, გცივა და არ ებრალები ვარსკვლავების საბანს თავს რომ გახურავს.

ჩასთვლემ... მირბი ოცნებით იქ, იქ—ცის სიცრცეში, უახლოვდები გაბრდიალებულ ვარსკვლავს, აღიხირ,— ვიღაც ნაცნობი სახე გილიმის, გილიმის...

და გიონი გაიწაცა თვლემამ—ის, მართლაც, სიზმარში: ვარსკვლავშეა, წალყოტი, ბაღები, მდინარე.. აი ხანის წყალი, დიდი ლოდი და მის ძირის ვიღაც თეთრებში გამოწყობილი ქალი, ილიმის შავთვალება და ვაშლოყყება.. ილიმის, დედა, როგორ ილიმის..

— ადა, ამოხდება გიონს...

— გიონ, ჩემო გიონ.

ქალი ახლოს მიღის..

კიდევ უღიმის..

გიონი ხელს მოკიდებს.. მიღიან, მიღიან..

მაგრამ ეს ხომ ვარსკვლავია, გითვიქრებს გიონი.. აი მის ნაპირს არიან.. ძირს კი მოსხანს ქვეყანა, დედა-მიწა..

— წავიდეთ იქ გიონ..

— წავიდეთ..

და ერთმანეთს ჩაეკვრებიან.. ტუჩებს შეაწებებენ და ჩაეკვრებიან.

მოწყდებიან და მიღრინავენ ძირს, ძირს..

რა ტკბილია, ახეთი გიონს არაოდეს არ განუცდია..

აი ჩაუარეს ვარსკვლავებს, კიდევ ჩაუარეს....

და ბოლოს დაეცე მიწაზე..

გიონმა სიცივე იგრძნო:

მეორე ამხანგს დასძინებოდა და ფეხები საყზე მიებჯინა.

გამოეღვიძა...

აიხედა ცაში ვარსკვლავები კიანთობდენ..

გიონი წიმოჯდა და პაპიროსი მოსწია..

ამხანგი ხერინავდა...

ბულქვათ ყლაპავდა პაპიროსის ბოლს..

ყლაპავდა და არაფერს აღარ ფიქრობდა.

ცაზე ვარსკვლავებმა იწყეს ბეუტა. სიცივე ყინავდა ყველაფერს. სინათლემ შორს ამოკრა წვერი ცის კიდეს და ხადა სიბერელის ფარდა. მტრედის-ფრათ იწყო დამოსავლეთმა სინათლის ბულქვების სროლა..

მონალინები მოემზადენ.. რიერაზე ცის საფრიდან ჯიხემა გამოსვლა.

გავირდა ქვევით თოფი, ნიშანი რომ ჯიხვები ზევით მოდიან. გულმა დაიწყო ბათქუნი. გული ამღრდა..

სული მინაბა და სუნთქვა შეწყდა..

ხარ-ჯიხვი ნელა გამოვიდა ნაპრალიდან და ამაყად გაჩერდა პიტალოზე..

გაიხედ-გამოიხედა. იხტუნა და მერე პიტალოზე რქებით დადგა..

მას მიყენ სხვები და მწკრივი გაკეთდა..

იგრიალა ორმა თოფმა..

და ორი ჯიხვი მოწყდა კლდეს და უფსკრულს დაეშვა.

სხვები დაფრთხენ და საფრის მიაშურეს...

ორი საათის შემდევ გიონი ხევში თავის ამხანაგებთან ჯიხვს რქებს უსინჯავდა..

შუბლში გაერტყმია ტყვია..

ამაყად დაბრუნდა შინ..

ხორციან ერთად ტყავი და რქები გამოითხოვა..

ტყავი გააჭიმია, დაშაბა და ცხვენზე გაადებია გასახმობად.

ფიქრობდა: ჩასაცელ ტყავის შეკერვას..

უხაროდა: ჯიხვი მოკლა.

უხაროდა: ზამთრის ღამე ყინულით დაამარცა.

უხაროდა: ღონე თავისი და გამბედაობა.

უკვირდა, რომ ამოდენი აიტანა.

ფიქრობდა: ნერვებს ჯიხვის თასმად გადაძევდა

დაწნიდა და ფოლადივით გამდლეს გახდიდა..

იცოდა: დაშნის ხმარება, როგორც დოსტაქარმა, იცის კალმის ხმარება,

როგორც მწერალმა, იცის თოფის ხმარება, ნიშანს არ ააცდენს ჯიხვი მოკლა

ღამი და აწი იგი ყველაფერს შესძლებს..

ახლა უნდა ებრძოლოს სიკვდილს, სიკვდილს, ჩუმად, რომ ეპარება ადა-
მიანს, შემპარავ ძალიიფით; იმუშავებს აქც და თუ სულ არა, მის მოსვლას
მაინც აცნობებს ადამიანებს, რომ განდევნონ, თავი დაიფარონ...

და მუშაობდა გიონ..

აღგზნებული მუშაობდა..

ერთხელ იგი გლეხთან მიიწვიეს. იმ ღროს მივიდა, როცა გლეხს
ვიდაც უპარებდა ხელის მოქრას; მოლესილი ნაჯახი გამოეტანა, გაეგონა და-
ჩირქებულ, გასივებულ ხელს აქიმები სჭრიანო და ისიც ურჩევდა, რომ მოე-
ჭრათ და თვით დოსტაქის როლში გამოდიოდა.. მიუსწრო და კაცი გადა-
არჩინა, უაქიმა, მოარჩინა..

ბევრი მშობიარე გადაარჩინა სიკვდილს; ბევრი დაჭრილი მოარჩინა..

და უმაღლოდა ხალხი, ლოცავდა..

— დავდ აჯმაზრე¹⁾ გიონ!

— დავდ აჯმაზრე!!

1) დემა დაგლოცას.

სამონგებო მუზეუმი წილი და მუზეუმი.

გიონი არც საზოგადოებრივ საქმეებს ერიდებოდა..

იგი წევრი იყო სამაზრო აღმასკომის.

ბევრი მტერი მოარიგა სისხლის აღების ნიადაგზე..

ახალი ყოფა მისი განვერეტის ოდრიკალში სწვდებოდა სვანეთისაც. ახალი ყოფა იწვევდა ბევრ გაუგებრობას. აქ გიონი იყო საუკეთესო დამხმარე და მეგობარი ყველასი.

ერთხელ მასთან მივიდა წარმოსადეგი ვაჟკაცი. ლამაზი და ბრგე ყოფა-ლიყო ერთ დროს, ახლა მხოლოდ ლანდი იყო ძველის. გამხდარი, თვალებ-ჩაცვენილი:

გაიგო: სისხლი მართებია და სამი წელიშადია ექებს მტერს, ისიც ექებს მას და მთა-ლრეში უხდებოდა მალვა, ჩასაფრება. ხეტიალში გაცივდა, ავად გახდა ანთებით და მას აქეთ ავად არის. გასინჯა, ფილტვები ქონდა დაზიანებული, მაგრამ წელშე რევოლუცირი ქონდა, ხანჯალს ეთამაშებოდა და კირაბინა ცხენზე კვიდა..

შეეციდა გიონს, მოიწოდა მოწინააღმდეგე და ორი მოსისხლე მტერი შეარიგა, შეასისხლხარცა...

ამაზე დიდი წვეულობა გამოართა: გუშინდელი მტრები დღეს ერთმანეთს კოცნიდენ, ძმობას ეფიცებოდენ..

გიონს უხაროდა. სიხარული ეფინებოდა მთელს სხეულს და უცხო მუსიკას ქმნიდა.

გიონმა მთელი სვანეთი მოიარა, შეისწავლა იგი.

უხაროდა, იღიმოდა..

გონებით გახედავდა ცხოვრებას, ტვინით შეაფასებდა, მკლავით გაზომავდა, მკერდით წინ დაუდებოდა და იღიმოდა..

მრავალ საკითხს გადაალაგებდა გონებით..

ცხოვრების პრობლემებს წინ დაიყენებდა, ჩაუკირდებოდა გადასჭრიდა და მხიარული გახდებოდა..

იტაცებდა მქუხარე ენგური, ზეიადი უშება და ამაყი თეთნულდი.. ხიბ-ლავდა მქუხარე ტალღები ენგურის, რომელიც იყო მუდამ ახალგაზდა და მჩქეფარე..

ურთისელ ბათუმულბა..

ნაძვნარში..

ზაფხული:

ყვავილობდა მიღამო...

სიცოცხლე ზეიმობდა.

გიონი ენგურის პირად ქვაზე იჯდა.

შორს შაშვი ჭაბჭაბოდა...

ზაფხული ენგურის პირად გამთბარი სიყვარულით საესე გულია ტრაქია
შეხვედრით თრთოსა და ცახახებს.



ზაფხულის დღე ნაძვარ ტყეში მიბნედილი გულის თრთოლვაა, რომა
კვდებიან ცველა ზრახვები და სიხარულით აღსაესე იბნიდები..

ჩხრიალებს მდინარე, ეშვება ქვება და ლოდებზე ქაფდება, ნაპირზე
ბრწყინავს და დუღუნებს.

ზის გიონი და იტაცებს ბუნება, უნდა ადგეს, ბუნების გულში ჩაეკრას,
დაკოცნოს ყოველივე ხე, გულში ჩაიკრას ნაძვები, ან თვით ჩაეკრას, კოც-
ნოს, კოცნოს ქვები, ბალახები, ცვავილები, კოცნოს და ეალერსოს. წარმტა-
ცია ბუნება: სიცოცხლე ამ ბუნებაში და გაბედული ალერსი.

ადამიანები დაივიწყა, მაგრამ გიონი მაინც ადამიანებთან არის, ადამიანე-
ბი უფრო უყარს, უფრო მასზე ფიქრობს, მათი სიცოცხლე უნდა, მათი ბედ-
ნიერება. უნდა ადამიანი მეფე კი არ იყვეს, არამედ ძმა და მეგობარი. ბუნე-
ბის, მეგობარი მთების, ძმა მდინარეების, შეილი დედამიწის..

გიონს უნდა ბუნებამ მისცეს ყოველივე ადამიანს, მისცეს, ასწავლოს, მას
კი ცველავერი შეუძლია, მას შეუძლია ასწავლოს ადამიანს უკვდავება, სიცოც-
ხლე, გამდლეობა..

სწავლობდა გიონ ბუნების სიბრძნეს.

უკვირდებოდა მთას, უკვირდებოდა მდინარეს, ხეს, ქვას, ბალახს, ცვა-
ვილს, სწავლობდა გიონ ბუნებიდან გამოტაცებულ საიდუმლოს, რომელიც მას
ხელთ ეპყრა, მაგრამ მალავდა.

სწავლობდა, ხსნიდა, უკვირდებოდა და გმირობდა.

განა გიონისთვის ცველავერი არ შეადგნდა კვლევის საგანს? რომელიმე
გაշონილი სიტყვა, სიტყვა ლამაზი და ძარღვიანი, გაշონილი ლექსი, ლეგენდა,
საფალობელი, შელოცვა, წყევა, ცველა ძვირდასი იყო მასთვის, ძვირდასი იყო
ხალხური აქმობა, ისე, როგორც ძვირდასი იყო „ბეთქილ“—პოეზიაში. ცვე-
ლავერს აბამდა ერთი დიდი ცოდნისა და დაკვირვების ძაფზე, ქმნიდა ძვირ-
დას მძიეს, რომელისაც შემდეგ შეაბამდა ცელზე ადამიანის სულიერ განძს და
დაამშვენებდა, სიცოცხლეს მისცემდა, უკვდავებას მიანიჭებდა..

და ასე მუშაობდა გიონ!

მუშაობდა, ექებდა, ცველევდა..

ერთხელ გიონს მასწავლებლის ოჯახში დაუძახეს. შეა ხნის მასწავლებე-
ლი ძლიერ აფად იყო; იგი მეგრელი იყო, მაგრამ სვანეთს შეთვისებოდა,
დედასავით შეეცვარებია, მისი ძარღვები თვისაში ჩაეჭრო.

ნაა, გასინჯა, უწმოლი მოარჩინა...

გიონი გართული იყო აქმობაში, როცა კარებიდან შეამჩნია, ორი ლურ-
ჯი თვალები, თეთრსა და წითლად შეუვაებულ ლოყებს უხდებოდა, ხატავდა.
ხუჭუჭა თებები ამჟამდა.. 16-17 წლის იქნებოდა ვაგონა, ხელში წიგნი ეჭი-
რა.. თვალები უთრობდა... შეხედა გიონმა—მოეწონა ეს სახე, მაგრამ, რო-
გორც შეხედა, ისე დაავიწყდა.

დაავიწყდა და მერე იმ ასულს დიდი ხანია არსად შეხვედრია..



არც უფიქრია..

მხოლოდ ასლა, როცა ენგურის პირას გაბარდლნილ მწვანეში იჯდეთ უკავშირობა..
ლაც თითქოს მოელონდა, მისი სახე დაინახა მიკრული ნაძვის ძირას..

მიაშტერდა.. დაინახა და ისევ სადღაც გაქრა..

ძალაუნებურად შეკრთა ვაჟი, რაღაც უხილავი ძაფები შემოეხვია ტანს,
ზეზე ადგა და ტყეში ხეტიალი იწყო..

ჭიკჭიკებდენ ჩიტები, ყვაოდა ცაცხვი და ბზუოდენ ფუტკრები..

იყო უშუალი და ჩიტა ფრთიალი. მივიდა ერთ ცაცხვის ძირას.. და
მასზე ამოქრილი ინიციალები: გ. დ.

იქვე: ციმი.

წაიკითხა გიონმა..

ჩაფიქრდა: რომანტიკა...

არა, არ არის მისი საქმე. ბევრი მსხვერპლი შესწირა მას. ბევრი მისცა,
შესწირა თვისი ნერვები, გული, ჯანმრთელობა.. მან კი რა მისცა? არაფერი..

ჩაფიქრდა.. მოიმსახულა თოფა და დაუმიზნა სახელს, რომელიც ეწერა
ცაცხვები..

წამი და ასოები შუაზე იქნა გახვრეტილი.. კიდევ რამდენიმე ტყვია და
მთელი სახელი მოსპო ცაცხვები..

ციმი.. ციმი.. ტყვიებმა შთანთქეს იგრ.. ცაცხვი სტიროდა, მხოლოდ
„ც“ ნაირებით, რომელიც კიდევ დარჩენილიყო, სტიროდა..

ზევით კი ფუტკრები ბზუოდენ და ჩიტები კვისინობდენ..

მიეფარა გიონ ლოდებს.. ის ენგურს დასხერის..

ცაცხვთან გაჩნდა ახალგაზრდა გოგონა..

მივიდა.. დაუკვირდა.. ლოყაზე ხელი შემოირტყა და აიტუზა ხის ძირას..
მერე ჩიეკრა ხეს—თავი მიადო: და ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოდიოდა, რწყავ-
და ხეს, ძირს..

გოგო სტიროდა, ქვითინებდა და ძვირფას ხეს ათფობდა სიყვარულით,
ისე, როგორც შეუძლია გაათფოს 16 წლის უკადეველმა მკერდმა ვაჟის მკერდი...

ციმი, არაოდეს არ უტირია; იგი ლაღი იყო სვანეთის მთების არჩევით;
იგი ამაყი იყო ენგურივით; იგი ლამაზი იყო—კაშაშა ვარსკვლავივით, მისი
თვალები ცის ნატეს გავდა; მისი ტანი—ახალგაზრდა სოჭის ხეს და ის სტი-
როდა პირველად..: სტიროდა..

ციმი—ოდიშის მწველი, მზის შთამომავალი, რომელიც მკერდს ქვეშ მის
ცხელ გულს ატარებდა—მშ ცივ ქვეყანაში აამლერა ეს გული, აქ შუაზე გაუ-
ხვრიტეს, ვის ენალვლებოდა, ვინ ჯაერობდა?

არავინ...

გიონ გაუგებდა, მაგრამ მისი გული ამ მხრით დაფლეთილი იყო, ნაწა-
მები; იხლი იქ სხვა ყვავილები ყვაოდა და იგი ახალ ყვავილის სურნელებას,
რომელიც დაათრობდა, ერიდებოდა..

სტიროდა ციმი, რომელსაც ხელში გიონის ნოველათა წიგნი ეყავა; რა
თბილად იყო ეს წიგნი დაწერილი; რამდენი გრძნობაა შიგ და ასე ციფად რად
მოეპყრა... რად?



კიდევ გაისმა თოფის ხმა...

შეკრთა გოგონაა.. წიგნი ხელთ გაუვარდა და ცაცხვის ძირშეჭრული რომ ეტირა თავის სიზმარი, სიცოცხლე და დამსხვრეული ოცნება...

თუთონულის კალთებზე.

სვანეთს სამეცნიერო ექსპედიცია ეწვია.

მიზანი: თეონულიცე ასვლა.. უშპას მწვერვალის მოვლა. შესწავლია სვანეთის მდგბარეობის. შესწავლა მისი ზეგ-ჩევულებათა, ხალხური შემოქმედების.

გიონის კარგი ნაცნობი იყო ექსპედიციის ხელმძღვანელი; თან იცნობდენ მას, როგორც კარგ მეცნიერს, რომლის გამოკვლევები სვანეთის შესახებ იძებელი და მეცნიერულ უზრუნალებში. ექიმი, რომელიც ექსპედიციას ახლდა და სიარული არ შეეძლო, მის ადგილის დასტოვეს და გიონი თან წარიტანეს.

უხაროდა გიონს.

ზაფხულის დღეებში, როცა მზე ისვრის ყვავილებივით სურნელოვან სხივებს, როცა ადამიანის ტანი თრთის სიგრილითა და ზაფხულის არომატით, როცა გიონს უნდა სულ იაროს იმ ბილიკებში, უცქიროს თვალუწვდებელ უფაკრულებს: შიგ რომ უღურტულებს და ტყვევებული მშეთუნახავი გიფი მდინარე— გინდა მიხვიდე, დაჯდე იმ უფსკრულის პირის, იცქირო, იცქირო. შიგ და უყრი მიუგდო მის საიდუმლოებას, მაგრამ ამაყად იდგე და სუნთქმ მთის თოვლივით ტებილი ჰაერი..

მიღოდა ექსპედიცია.. მათი სელი იყო გაზიმილი, მიზანშეწონილი..

ექსპედიციის ახლდენ წინამძღვრები და ტვირთის მზიდველნი. ადგილობრივი ბევრი იყო... მათ შორის გამოიჩინდა მოხუცი მურზა ქალდანი— 60 წლის: არწივისებური ცხვირით, გამჭრიახი თვალებით, მოკლე წვერით, ბრე ხმითა და ჩამოსხმული, როგორც ბრინჯაოს ქანდაკება ტანით... ის უსმენდა და უცქერდა არემარეს. უსმენდა ნიავს, უსმენდა მზის სხივებს, უცქერდა ნისლის თამაშს მწვერვალზე, რუს ჩხრიალს.. ხშირად შეჩერდებოდა, ამოისუნთქვდა, ღრმათ ჩაყლაბაედა და რაღაცას სვანურად ყორყით იტყოდა. იტყოდა და გაიღიმებოდა.. ლაპარაკი ცოტა იცოდა..

მთელი ექსპედიცია მას სასოებით მისჩერებოდა, გრძნობდენ, რომ ამ კატა იცის ყოველივე მთიულეთის, გრძნობდენ, რომ იგი იცნობს ყოველივე კენჭს, რომ მას დაბაზული აქვს ყველა მწვერვალები და თხემები..

და მურზაც სიამაყით გაიშვერდა, რომელიმე პლატისკენ ხელს, მიაშტერდებოდა და იტყოდა: — იქ ბევრი ქვილა იცის. სახე გაუღმიებდა, სიყვარულით შეხედავდა გაღმოსწერები ქედს და ულვაშები თამაშს უწყებდა..

გიონ მურზას თვალს არ აშორებდა, უნდოდა სულ მის გვერდით ყოფილიყო... მურზას უწინაც იცნობდა, ბევრჯერ უნახავს და სწყუროდა მასთან საყბარი..

ტვირთის მზიდავები ხშირად ისვენებდენ; გიონმა უურადღება მიაქცია ერთ ტვირთის მზიდავს, რომელიც მეტად ახალგაზრდა ეჩვენა.. მას გიონის მედიკმენტები მიქონდა— შედარებით მსუბუქი ტვირთი...

ახალგაზრდა სვანი მეტად საამო შეხედულებისა იყო.. მაგრამ მდიდრულებული
მთელი ორი დღის განშავლობაში იმ სუთქვების; რომელ გამოიწვია
სიტუაცია ესროლა, მან გაიღიმა და პასუხი არ გაუცია; მხოლოდ ხშირად გა-
დომხედავდა, მის თვალებს იკერდა..

ლურჯი თვალები, ისე ლურჯი, როგორც მაშინ იყო ცის ნაფლეჯი,
როგორც შორიდან წმიდა მღინარის მორევი; საიდუმლო გრძნობით იყო იგი
სავსე და რაღაც დარღი იჯდა შეგ.. საღლაც ენახა გიონს ეს თვალები; საღლაც
იჯონებდა, მაგრამ გონება ვერ სწვდებოდა მის მოვონებას და ფართხალებდა..

საღამო იყო.. მშე კიდევ მწვერვალებს აოქროებდა.. საამო სიგრილე
და ზმორება იდგა გარშემო.. დაღლილებმა ერთს მყუდრო აღგილას დაისვე-
ნეს.. გადასწყიოტეს, რომ ეს საფარად გაეკეთებიათ, აქ დაეტოვათ ტვირთის
მზიდველები და მეორე დღეს კი თეთნულდის მწვერვალი მოევლოთ...

გამართეს კარვები... იგანშეეს.. ბეჭრმა ძილს მისუა თავი.. გიონის კა-
რავში მისი ტვირთის მზიდველი დიდ ხანს იჯდა კარავში, გიონს მისჩერებო-
და, მერე საღლაც გაქრა.. გიონს ყურადღება არ მიუქცევია..

დიდხანს საუბრობდენ ის და მურზა.. ღამე იყო ცივი, მთვარიანი.. მთვა-
რე ისეთი გულგახსნილი დაჰურებდა ქვეყანას, ისე ისვრიდა სინათლის შუქს,
რომ თითქმის დღე იყო.. თეთრი პიტალო კლდეები—ზღაპრულ ციხეებივით
იცქირებოდენ.. მისჩერებოდა ამ უხმო ბუნებას გიონ—ტებებოდა და იქ შორს,
მაღლა წამოჯდარ ციხის მწვერვალზე იხვლას ოცნებოდა..

თეთნულდის ამავ და ლამაზ მწვერვალზე. იქ იგი დაღვება ფეხებით, მა-
გრად დააბიჯებს, დააბიჯებს დიდ გაწოლილ ვეშაპს და შესძახებს: რომ იგი
მის ფეხთ ქვეშ არის!

ადამიანი სდგას მის გულზე და დასცეკრის ქვეყანას...

დიდხანს იფექრა... ათასი გეგმები დაწყო... სიხარული, ისე უთამაშებ-
და გულში, რომ სითბოს გრძნობდა, თითქოს ვიღაც საყვარელი ასულის
შეკრდი-მეტრდს ეწებებოდეს...

გაახსენდა ადა... ადა შევთვალება და პერანგის ამარა ხანისწყლის პირას,
მოიჩინა სევდის ნაკადმა... და გიონი ზეზე ადგა—კარგისკენ წავიდა...

შედის კარავში, მისი ტვირთის მზიდავი ჯიხვის ტყავზე მიკუნტულა, ქვა
დაუდევს თეთრ და სინიას.. გიონმა წუმშუმა გაერა: შეკრთა; ჩაბალახი რო-
მელიც თავზე ეხსრა—მოსძრობოდა და შევი ხუჭუჭა თმა გადმოშლილიყო...
მიაშრებოდა: კომი...

ისევ გარედ გამოვიდა და გული ჩიტივით უცემდა...

მიხვდა გიონი ცველაფერს...

მიხვდა... ამოიოხრა...

კომი. კომი.

იმ ღამით ბევრი იფიქრა... კიმის ახლოს ჩამოგდა როცა კარავში შებ-
რუნდა და ჩაიძინა... ისე გათენდა, რომ არაფერი გაუგია. დილით მისმა ტვირ-
თის მზიდველმა გამოაღვიძა.

აიშალენ...

ტვირთის მზიდველები დასტოვეს...

— მე საჭირო ვარ... მე ისეთი ტვირთი მაქვს...

ვინ იცის უბედურება რამე შეგვმთხვეო?

დაეთონხმენ. წაიყვანეს...

გაუდეგნ გზას.

ფიქრით მიღოდა გიონ. მის გულს შამოეკვრენ ფიქრები, როგორც მთას ნისლი შავი და გაუვალი.

აღარ უხარის გიონს მწერვალზე ასელა, აღარ იტაცებს ლალი, მხე და სალი თეთრი ჰაერი, ხრაშახრუში რომ გაქონდა...

იგი ფიქრებით მოიღორიყა...

რაღ? თვითონაც ვერ გრძნობდა.

ვერ ატყობდა. გამოუტობი იყო ეს სევდა... უცნობი და ამიტომ დაუნალველი გული... მიღის მაგრამ უქებდი არ ემორჩილებიან... უკან რჩება.

ციმი შორის ახლოსაა.. თვილს არ აშორებს, გონს ატყობს — რაღაც მოღლის, ფიქრობს: ალბად დაიღალა...

— ექიმი, ფრთხილი სიარულია საჭირო, ესვრის,

როცა ექიმს ფეხი დაუცდება და ციმი შემაგრებს. გიონი იხდება, უფსკრული თვალუწვდენი, რომ ციმი არ ყოფილიყო, გადაიჩეხებოდა, დაიმსხვეოდა. ერუანტელი უვლის.. ცივი ოფლი შუბლს მოადგება.

— გმაღლობთ, თქვენ გადამარჩინეთ..

— ასეთ დროს ფიქრი არ ვარგა, უნდა ფხსზღლობდე...

გიონმა თავი ჩააქნია..

რამოდენიმე საათის შემდეგ მწვერვალზე იყვენ..

მწვერვალი..

სდგახარ და ცა, ლურჯი ცა გაქვს ქუდათ.

ქვევით იყურები და შენს თვალს არაფელი უდგება წინ: სქრის ველებს, მთებს, სოფლებს, სახლებს, სქრის და კეტავს სივრცეს და თვალის წინ იყენებს, სინჯავს, ელემენტება..

შორს მიღის ამ დროს ადამიანის თვალი: იგი სწრაფია და მალი; შორს მიღის ადამიანის ტვინიც: ადამიანის ფიქრები ათასფერად ირთვებიან, ათას სურვილებს თავს იხვევს, ათას ამოცანას სწყვეტს; უხარის ტანს, გული ფართხალებს, სისხლი ნაკადულივით ჩანჩქერებს, უხარის ნერვებს, უხარის მთელ სხეულს, რომ იგი სხლოს არის ცასთან, იგი მაღლა სდგას — სულ მაღლა, მაღლია თვით მწვერვალზედაც..

და ასეთ სიხარულს გრძნობდა ყველა..

პირველი ყიუინა შეიცვალა სიჩუმით; ვერავინ ვერ ხედავდა ერთმანეთს, ისინი შორს მიფრინავდენ თვალით, ტანით, ოცნებით...

გიონიც შორს იყო.. მაგრამ როცა ბევრი იფქრა გონებით, როცა ბევრი იცირა თვალებით... თვალები დაასვენა: წინ ციმი იდგა და ლურჯი დიდი თვალებით მას მისჩერებოდა.. როცა გიონის თველები იგრძნო, ძირს დახარა იგი და გაშემდა...

զաՇեմլա զոռնուր...

զաՇեմլա:

Կաս Շեքեց, լոյրջ պաս; մերց կուզա պամուս..

կուզա մոհս ջածարա տշալցի դա սովու:

— ոյ չխօնի, տոյ ցնցուրտան?

— ոյ.. ոյս ձալսես...

Շըշմուշի և սամականուազ.

յիշեցուր ոյյան ճածինան...

չվարու սամեցրելուսկան թազուրա.

զոռնես գուրու մալունուու ցամուցտեռցըն..

յուզուս ոյյանուր, հոմ սցենցտშո համ հայելա յև յալու.

առ ոյյանուր յև ամեցու մեռլուու զոռնես. առ ոյյանուր, հագան յև սայուր ոյս մետցուս, սայուրու ոյս եալնեստցուս.

ճղուս սեղուլի պառնաս, մոտ ումբրէս սցանցտშո առ յաժրուլուն ոն բյուլուցնուր; գուրու եցինա, սկը-ցանայցուցի սայուրու, հոմ ոյս Յանցունցուն շու ցանցուր, ունուց մուզուն մժարունո, ույ, հոգուրու թինցտ հուսցուուն հցիննու մուցուուր մժարու մուելցուցի.. մացրամ առուցուս առ Շեյցնուս ու սուրտուլց, հոմ Եցրուցուուցի մժարու մուելցուցի.. ունուց մուելցուցի.. մացրամ առուցուս առ Շեյցնուս ու սուրտուլց, հոգուրու պանցուն մարտալուս մտացրուն մաս շրմուն, პարտուլու եանու սայցուցտցուս ոյ օցիացնուս, մացրամ սեցա եանու յարցու առացն մուզուս, ոյ մուզուս ուշցուուցի..

զոռնու ցրմունուր ամաս, ցրմունուր, ցրմունուր...

և ոյնեա, հոմ Շեյրտու յրտու սցանու յալու, մուշունու ոչչան, դա սամուդամու այ ճարիս ցայցոյքրեցի.. ոյ.

սցանու յալու! ան հոմելումի չանսանու յալու! լոմու.. յասեսնցցունուր...

մացրամ ույց համուցուուր ցոյշիրտա յարուր դա թին թարմուցցունուր տացուս մելունոյրուլու ցամուցուցանու: հոյցուս Շեստեծ; սարչածուրուս; սապարչուլուս; յարուցութենուս.. տան ամուս թինաալմուց Շենացցունուր Յանցարաւուս ալմուինա դա ցամուունցի.. այ հոմ հայելա քմացու մելունոյրեցի ստցուս, եալնեստցուս դա ոյց ոյիշունուր ու ոյիշունուր...

մուցու գուցի մուշանուր, մուշանուր.. սաւ առ ճապացատ, ուս առ յմսանուր մուցունուր; յանցարու ոյս մուս սամանուրու; մուս ճամեարցի..

յանուս յուզուլցար սայմես յեթարցունուր ոյց; նոցոյրտու այմուցու տացուս ծուլցի առ ոյս համշանուրու; ոյց յարցու կուլութուրուլու մուշաւու ոյս. յուզուլցար թամունցի յեցրուցունուր ճամեարց; սածուու ելուսնուցունուր նոյցոյրու ագուրաթուրու; ճարութու դա Շըուրտմեմուցտա ճամեարց դա սայրտու ու աճամուն ոյս, հոմելու ոյս ալպուրուլու անալու ճրուու մարցու, անալու ճրուու ցացցիու; ու սածուու մտացրուն ցընուս սայցուցտցուս մուլցն ոյս; ոյց աճամուն ոյս դա մոյշայց, հոմելու ոյս տցուս յենունամուտ, յարուցու, սոյցարուլուտ յուզուսացուս ցամուսացցի...



აგვისტოს ბოლო რიცხვები იყო.

გიონი თავის აიღნის შინ იჯდა ხის ძირის და ჩრდილში ისვენეტჭულების მოსული საქმიდან ბიჭუნამ წერილი მისცა..

იგი რვეულის ქალალზე იყო ნაწერი..

ბიჭუნამ გაიღიმ ეშმაკურად და სახლისკენ გაიქცა..

გიონი დაშტერდა. წერილი სამკუთხედათ იყო შეკეცილი, გახსნა, წაიკოთხა..

ძვირფასო გიონ!

ძვირფასო და კიდევ ძვირფასო...

მე ვიცი, რომ თქვენ გეზარებით...

მაგრამ მე ქალი გაეხდები, ნაძვილი ქალი და

მერე არ შეგვარებით...

ბაეში გარ გიონ, მაგრამ რამდენი გრძნობა

მაქვს... რამდენი... მრტვენია მეტის დაწერა,

შენ უსამართლოთ მომეცირ...

ჩემი სახელი ტყვიით გახერიტე;

ასე გულიც დამიჭერ სიყვარულის ტყვიით, მაგრამ მაინც მიყვარხართ.

ციმი.

წაიკითხა. ჩაფიქრდა... შინ შევიდა, თოფს მოკიდა ხელი და ტყისკენ წავიდა...

ავიდა თავის საყვარელ ნაძვთან... დაჯდა ქვაზე და ჩაფიქრდა...

ზევით ჩიტები ფრთხიალობდენ. ციყვი დაფხაწურობდა შტოებში...

კოდალა კაუნებდა გრძელი ნისკარტით, ან კაბჭახებდა... ბზუოდენ ბუ-
ზები, კრაზანები, ფუტკრები.

გიონმა თოფი გვერდზე მიდავა... გახედა ერთ ნაძვს... მივიდა... ახალ-
გაზრდა იყო ნაძვი; ორი დღეა ტყვია გაარტყა გულში... ყვითლად გამსვი-
რვალე მძიეს მზგავსი ფისის ლორწო ერთად შეკუმშულიყო. ნატყვიები ამო-
სებულიყო ლორწოთი და ერთი მძიე, ცრემლის მზგავსი შეჩერებულიყო კი-
დებე, თითქოს პირებდა გაღმოვარდნას... მიაშტერდა გიონი, როგორი წმი-
და იყო იგი, როგორი ლამაზი, ისეთი როგორც ცრემლი გოგონას, ლამაზი
გოგონას თვალზე; გული ეტკინა... მიიხედა, დაინახა... ციმი... მიყრდნობო-
და ცოტა მოშორებით ხეს და მის თვალებზე ასეთივე გამსვირვალე ცრემლი
შეამნია... ლურჯი, დიდი ლურჯი თვალები სავსე იყო სევდით და ზედ გად-
მოკიდებულიყო წმინდა, წმინდა მარგალიტისებური ცრემლი: ცრემლი, გამს-
პვირვალე და მთქმელი ყველაფრის...

მიაშტერდა გიონ... უნდოდა დაეძახა: ალერსის სიტყვა ეთქვა. მიაშტერ-
და... ქალი შეკრთა... თავი დახარი, ხეს მიეფარა და შველივით გაქრა... და-
დონდა გიონ... ხელი ჩიქნია იგრძნო ქალის დიდი სიყვარული; სიყვარული
პირველყოფილი და წმინდა... წმინდა, როგორც პირველი კოცა... იგრძნო
და შინისკენ წამოვიდა... ფიქრები მისი ციმის დასტრიალებდა...

შინ რომ მოვიდა ბარათი მისცეს. ოფიციალური ბარათი იყო —: გენერალი შავენაშვილი შავენაშვილია: ატყობინებდენ, რომ ის მიწვეულია უნივერსიტეტის კლინიკის მთავარ გამგეთ... ჩაფიქრდა გიონ... ასრულდა მისი ოცნება... იწი დიად სახელოსნოში იმუშავებს, სადაც მზადდება შეთქმულება სიკვდილის წინააღმდეგ, სადაც ეწყობა „უჯრედი“, რომელიც შეებრძოლება ავყია, ზვიად ადამიანის მტერს: სიკვდილს...

იგრძნო ისეთი სიხარული, ისეთი სიცოცხლის სიყვარული, რომ ხბოსავით კვინტრიში იწყო... მაშინვე შევიდა შინ და ნივთებს ლაგება დაუწყო. ვადას-წყვარა ორი დღის შემდეგ გამგზავრებულიყო...

ალაგებდა და ფიქრობდა: სამი წელიწადი გაატარა ექ, ვაკაუდა სხეულით გაკაუდა გონებით. იმუშავა, იშრომა... უყვარდა კუთხე, უყვარდა ხალხი, ბეჭრი ისწავლა... ენანება დატოვება... ხალხი, ბუნება, ცველა ეს მისი ძარღვების სიმებია, რომელიც მას გულთან აქვს შეერთებული; ძნელი იქნება ამ სიმების კაწყვეტა... მაგრამ არივის დაივიწყებს... არავის...

ცომი... საბრალო გოგონა...

არა ამისთვის უნდა მოშორდეს სვანეთს, რომ ეგებ გადაივიწყოს გოგონაშ თეთრი გიუჟრი სიყვარული... ასე იმუშავა ამ ფიქრებით დიდ ხანს, დიდხანს...

და ერთი კვირის შემდეგ გიონი ტფილისში იყო...

ექ კი ენგურის პირას, ლურჯ ნაძვებოან სტიროლდა ქალი... ქილი ლურჯ-თვალება და ხუჭუჭე თმიანი... ვეღარ ნახა იგი ნაძვის ძირის, მიეყრდნობოდა ასწლოვან ნაძვს, კონციდა მის ბებერ ქერქს, რწყავდა ცრემლით მის ხავს, ლურჯი თვალებით გასტეროდა ენგურს და ეძახდა: ეძახდა იმას, ვინც წაიღო მისი გული.

სტიროლდა ქალი ლურჯ თვალება და ხუჭუჭე თმიანი.

შორს კი ტყეში ისმოდა სევდიანი მოძახილი: ბაილ-ილბა-ილბა-ბაილ...

3

წითელარგის პირ წლის თავი.

მ. ფრუნზე.

ლენინი და ჭითალი პრინციპი.

წითელი არმია წარმოადგენს საუკეთესო მემკვიდრეს, რომელიც დაგვი-
ტოვა ამხ. ლენინმა.

ის წარმოადგენს იმ ძირითად ძალას, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს
შვილდინამ კომუნისტურ აღმშენებლობას და ერთსადამივე დროს მსოფლიო
ოქტომბრის გზებზე უჭირავს მოწინავე პოზიციები.

1918 წ. 23 თებერვალს სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით ფორმა-
ლურად გამოცხადებული იქნა მისი არსებობა.

მაგრამ ეს დეკრეტი წარმოადგენს მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკის შეია-
რალებულ ძალას ზრდისა და მისი მშენებლობის ორგანიზაციულ პრინციპე-
ბის საბოლოოდ ჩამოყალიბების მაჩვენებელს, რომლის წინაშე წამოიკრა უფ-
რო ფართო სამხედრო ამოცანები.

მართლაც და ოქტომბრის აჯანყებას არ შეეძლო წარმარტებით დამთავ-
რება, თუ ის წინასწარ არ ყოფილიყო თრგანიზაციულად მომზადებული კომუ-
ნისტური პარტიის მიერ.

სოველიდა რა აჯანყებას ხელოვნებათ და რევოლუციის გამარჯვების ერ-
თად ერთ საშუალებად, რომლისათვისაც საჭიროა მომზადება, ამ ლენინი
ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციის დროის კომინისტური პარტიის ამოცანად
სახავდა საკუთარი არმიის მომზადებას.

ის არამც თუ აყენებს ამოცანას, როგორიცაა: — მეფის ჯარისათვის ბრძო-
ლა ავიტაციისა და მის შიგნით რევოლუციონური რაზმების ორგანიზაციის
გზით, არამედ ხაზს უსვამდა ბრძოლის წარმოების თუკილებლობას, როგორც
მეფის, ისე უცხო ქვეყნების ჯარებთან.

რევოლუცია, ამხ. ლენინის სწავლებით, სამოქალაქო ომია. აჯანყება
პირველ რიგში იხალ რევოლუციონურ ხელისუფლებასთან ერთად მოითხოვს
ახალ რევოლუციონურ არმიის შექმნას. რომელსაც აღვილად შეეძლება იარა-
ღის და ტეხნიკის უკანასკნელი გამოვიწებათა გამოყენება. დეკრეტის აჯანყე-
ბის შედეგ ამხ. ლენინი სწორს:

„უნდა შევასწავლოთ მუშებს უუბდარების კეთება, დახმარება უნდა გაუ-
წიოთ ჩვენს რაზმებს ასაფეთქებელ ნივთიერებათა და ავტომატიური თოფების
მომარიგებაში“.

ამხ. ლენინს ხშირად უყვარდა ომისა და რევოლუციის შედარება, რა
დროსაც ხაზს უსვამდა უკანასკნელში ორგანიზაციული მომენტის მნიშვნელობას.

მაგრამ, რასაკვირველია, რევოლუციის არმიის ორგანიზაცია დამოკიდე-
ბულია იმ გაცხოველებულ კონკრეტიულ გარემოცუიდან, რომელშიაც ხდე-
ბა აჯანყება. უყვარ თრგანიზაციული პრინციპების და ფორმების წინასწარ გა-
თვალისწინება ძნელია. რევოლუციია არის კონკრეტიული მოვლენა და მო-
ცუმულ მომენტში ის საკვებლობს ყოველგვარი ძალითა და საშუალებით,

რომელიც გამოდგება გამარჯვებისათვის. მაგრამ, ის ხაზს უსვამს ქრისტიანული მათ კლასისა და მის პარტიის მოვალეობაა დაიკიროს მტკიცე კაფეში ჰუმურა ხელისათან მეფის რეემზე გერთიანებული ძალით შეტევისათვის. მხოლოდ მა პირობას შეუძლია უზრუნველყოს გამარჯვება.

იმპერიალისტური ომის, როგორც კაპიტალიზმის კრიზისის მომენტიდან, მომავალი რევოლუციის გარემოცვა ნათელი ხდება.

ის აუნებს ლოზუნებს იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქ- ცვეისას. აქ მთავარი ყურადღება ნათლად გადადის იმ მომენტზე, რომელიც გვლისხმობს შებრძოლ არმიელების ხიშტების მიმართვის ყაჩალურ, იმპერია- ლისტური მთავრობათა წინააღმდეგ. და ოქტომბრის მომზადებაც მიმდინარე- ობდა ორი მიმართულებით: მეფის არმიაზე დაუფლებისათვის და მუშაო კლა- სის შეიარაღებისათვის ბრძოლის მიმართულებით. ობერულის რევოლუციაშ მოსპო მეფის რეემზი, მაგრამ არ მოუსპია მემამულისა და კაპიტალის ბატ- ნობა არმიაზე. საჭირო იყო ძალაუფლების მათი ხელიდან გამოგლეჯა და პირ- ველ რიგში მემამულებისა და გენერლებისაგან. ლოზუნგებმა — „ზევი და პური“, „მიწა გლეხობას“, „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ — თავისი ქნეს.

ომისაგან დაქანცულ არმიას უკვე აღარ უნდოდა დალევარა სისხლი კაპი- ტალისტების ინტერესებისათვის და გაყავა იმ პარტიას, რომელიც შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა მუშებისა და გლეხების ინტერესებისათვის.

მეფის ყოფილმა ლეგიონებმა, ლენინგრადის, მოსკოვის და სხვა ქალაქე- ბის წითელ მუშურ გვარდიის რაზმებთან ერთად, კომუნისტური პარტიის სამ- ხედრო ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, დაამხს ბურჟუაზიული მთავრო- ბა, მათ რიკებში სოციალ-გამყიდველებიც, რომლებიც აშეარიდ დადგენ კაპი- ტალისტების მხარეზე.

ოქტომბრის რევოლუციის უშუალო ხელმძღვანელმა ლენინგრადისათვის წმოაყენა აჯანყების შემდეგი ვეგბა:

ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამ გარემოებას იმ წამსკე მიაქცია ყურადღება. აღძრა შეუძლებოლობა ცენტრალურ მთავრობის წინაშე, რასაც შედეგათ მოყვა, იმავე 1921 წლის, 2 ოქტომბრიდან სასწავლებლის ინდუსტრია-

ლურ-მექანიკურ ტეხნიკუმად, (ესე იგი საშუალო ტიპის სპეციალურ სასწავლებლის უმაღლესი უმაღლესი) გადაკეთება, რითაც დაკმაყოფილებულ იქნა მოსახლეობის უფლის ენის სურვილი.

ამავე წელს გაიხსნა ტეხნიკუმის პირველი კურსი და ხოლო სახელოსნო სასწავლებლის კლასები დარჩა.

სახელოსნო სასწავლებლის მოწაფეობის იწყო მზადება ტეხნიკუმში შესასვლელის, რასაც შედეგათ მოყვა მეორე სასწავლო წლიდან სახელოსნო კლასების დახურვა. მოწაფეთა უმეტესი ნაწილი კი, გამოცდების ჩაბარების შემდეგ, მიღებული იქნა ტეხნიკუმში, ტეხნიკუმად გადაკეთებასთან ერთად, გამოკეთდა



ქ. ხონის 1905 წ. რევოლუციის სახელობის ინდუსტრიალურ-მექანიკური ტეხნიკუმის მექანიკურ-სახილის განყოფილება.

სასწავლებლის მატერიალური მდგომარეობა; თუ მენშევიკების მთავრობა ვერ აკმაყოფილებდა თანამშრომლებს ჯამაგირებით, ეხლა შესაძლებელი შეიქნა არამც თუ მათი დაკმაყოფილება საჭირო ჯამაგირებით, არამედ მთავრობა საგრძნობ თანხებს იძლეოდა, როგორც მასალა-იარაღების, ისე სამეურნეო ხარჯებისათვის. განათლების კომისარიატის გარდა, ტეხნიკუმის დაარსებილან ვე მატერიალურ დახმარებას უწევდა, აგრეთვე, ადგილობრივი აღმასკომი.

1923 წლიდან კი, როდესაც ტეხნიკუმის შეფად შეიქმნა თბილისის საბირჟო კომიტეტი, სასწავლებლის მდგომარეობა მთლად გამოკეთდა. საბირჟო კომიტეტის უხევა დახმარებამ შესაძლებლობა მოგვცა გაგვეფართოებია სახელოსნოებში მუშაობა; შეგვევსო კაბინეტ-ლაბორატორიები საჭირო ხელსაწყოებით და მოწყობილობით; შეგვეძინა სხვა და სხვა მოდელები, ატლასები და გაგვეფართოებია ბიბლიოთეკა.

მეხუთე წელია, რაც საბირეულო კომიტეტი მატერიალურ დანარჩენის კურსზე და
ტეხნიკუმს და, ამ დროის განმავლობაში, სასწავლებელს მიღებული იქნა **4000 ლარი**
მან. რასაკირველია, ასეთ თანხებით შესაძლებელი შეიქნა ტეხნიკუმის მკვიდრ
ნიადაგზე დაყენება; გაცხოველდა, როგორც თეორეტიული, ისე პრაქტიკული
მუშაობა, რის გამო სასწავლებელი თავის სიმაღლეზე სდგას და პირნათლიდ
ასრულებს თავის მოვალეობას.

ტეხნიკუმის ნაყოფიერ მუშაობას ადასტურებს ყოველწლიური ტრადი-
ცული გამოფენა, მოწაფეთა ნაწარმოების ასეთ გამოფენებს ყოველ სასწავლო
წლის ბოლოს ათვალიერებს რამდენიმე ათასი მნახველი.

ტეხნიკუმში თავისი 7 წლის არსებობის განმავლობაში გარდა ამისა, რომ
გააფართოვა და შევასო საჭირო მასალა-იარაღის სახელოსნოები, კბინეტ-
ლაბორატორიები და ბიბლიოთეკა საჭირო სპეციალური წიგნებით, მოწყო
მთელ შენობაში ელექტრო-განათება, დადგა რადიო მიმღები, შეიძინა კინკ
აპარატი, დადგა 10 ძალიანი „სკანდიის“ სისტემის მამოძრავებელი და რვა-
ლი ხერხი, და ყველა ეს დიდ მიღწევათ უნდა ჩაეთვალის სასწავლებელს.

1924/25 სასწავლო წელში გიოსნა. ტეხნიკუმის მეოთხე კურსი და ამავე
წლის ბოლოს მოხდა პირველი გამოშვება; კურსი დაასრულა 4 მოწაფემ. მეო-
რე გამოშვება კი შემდეგ 1925/26 წელს; კურსი დაასრულა 10 მოწაფემ და
მესამე გამოშვება კი 1926/27 წელში, კურსი დაასრულა 15 მოწაფემ (ამაში
1 ქალია).

ამრიგათ, სასწავლებელმა სამი გამოშვებით მოგვცა 29 წითელი მექანიკი-
ტეხნიკოსი. ამთვენ, 2 სწავლის გასაგრძელებლათ შევიდა სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტის საინჟინერო ფაკულტეტზე, დანარჩენი კი, ყველანი, უკლებლივ
მსახურობენ თავიანთ სპეციალობაზე,—როგორც საქართველოში, ისე მის გა-
რეშეც.

სამი წლის პრაქტიკის გავლისას მათ, დებულების თანახმად, გამოცდების
ჩაბარების შემდეგ, ენიჭებათ უმაღლესი კვალიფიციაციის მუშავის სახელწოდება.

მომდინარე წელს სულ ირცხება 109 მოწაფე (ამათში 5 ქალია). I კურსზე
41 მოწაფე, მე-II-ზე 26, მე-III-ზე 22, და IV-ზე 20. სოციალური მდგრა-
ძელის მიხედვით: გლეხის შვილი 72, თვითმშრომელების 14, პროფესიულის
წევრის 22, და არა მშრომელის 1.

მოწაფეები უმთავრესად არიან ადგილობრივი რაიონიდან, მაგრამ არიან
აგრეთვე მაზრის სხვა რაიონებიდან და აგრეთვე სენაკის, ლეჩხუმის, შორა-
პნისა და სხვა მაზრებიდანაც.

მოწაფეთა გარდა, ტეხნიკუმის ამჟავების დღიდან, არსებობს პრაქტი-
კანტა ინსტიტუტი; ესენი ისეთი ახალგაზრდები, რომლებმაც, უკიდურესი
სილარიბის გამო, ვერ შესძლეს სწავლის განვრძობა და კმაყუფილდებიან მხო-
ლოთ ხელობის პრაქტიკულად შესწავლით.

სამი წლის განმავლობაში ასეთი ახალგაზრდები ითვისებენ ამა, თუ იმ ხე-
ლობას (ზეონკლობას, დურგლობას) და, გამოცდების ჩაბარების შემდეგ, ღე-
ბულობენ სათანადო მოწმობას, რომ მათ შეოფენებული აქვთ ესა, თუ ის

ხელობა. ისინი შემდეგ შედიან რკინის გზის დეპოებში და ფაბრიკა-ქარხნებში
თანამშრომლებათ. ასეთების რიცხვი ყოველ წლობით 50-მდე აღწევს. აქციული დოკუმენტის
რეპელი მსურველი აწყვება ყოველ წლობით, მაგრამ სახელოსნოებში სიციურ-
როვის გამო მეტის მიღება შეუძლებელი ხდებოდა მიმდინარე სამოსწავლო წლი-
დან განსახუმის ნებართვითა და ნივთიერი დახმარებით, შესძლებელი შეიქ-
ნა, გარდა ხელობის პრაქტიკულად შესწავლისა, მათ ისწავლონ ხატვა, ხაზეა,
რაც უკილებელ საჭიროების წარმოადგენს ყოველივე ხელოსანისათვის.

ტეხნიკუმის ბიუჯეტი გასული 1926/27 წლის იყოთა.

1. მუშა-მოსამსახურების ჯამაგირები განსახუმიდან	20.745—20
2. სამეურნეო ხარჯებისათვის განსახუმიდან	3.500
3. ადგილობრივ აღმასკომიდან დახმარება სამნ. ხარჯე- ბისათვის	1.200
4. საბირუო კომიტეტიდან დახმარება მასალა-იარაღე- ბის შესაძენათ	2 500
5. სწავლის ქირა მთელი წლის	357
6. მოწაფეთა ნამუშევრიდან და სახელოსნოებიდან	2.303—34
კველი ეს თანხა დაიხარჯა ტეხნიკ. საჭიროებისათვის	29.505—54

სონის ცხრაწლიანი შროშის სკოლა.

ცხრაწლელი, როგორც ზოგადი განათლებით საშუალო სკოლის ტიპი
ჩამოყალიბდა ხონში თანდათანობით.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921/22 სასწავლო წელში ხდება
შეჯგუფება ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებისა ერთი სასწავლებელში—ჰუმანიტარუ-
ლი ტეხნიკუმის სახელწოდებით, ქვედა კლასები, მე-V კლასის ქვევით, გა-
მოყოფილია ცალკე შეიცავლებათ.

ამიგოთ აღნიშნული ტეხნიკუმი შესდგება მარტი ზედა კლასისაგან,
შეიცავს სულ 8 ჯგუფს, ყველა 22 მასწავლებელი და 234 მოწაფე, სასწავლე-
ბელს განაგებს საკუთარი აღმინისტრაცია.

1922/23 წელში სასწავლებელი განაგრძობს არსებობას ჰუმანიტარული
ტეხნიკუმის სახელწოდებით. ჯგუფთა რიცხვი იზრდება 14-დი რომლებიც
541 მოწაფემ, მასწავლებელთა პირადი შემადგენლობა შეიცავს 28 კაცს აღ-
ნიშნული წლიდან ჰუმანიტარულ და პედაგოგიურ ტეხნიკუმებს განაგებს სა-
ერთო აღმინისტრაცია.

1923/24 წელში სასწავლებლის ტიპი იცვლება ჰუმანიტარული ტეხნიკუ-
მის ნაცვლად არსებობა ცხრაწლედი, თუმცა ტეხნიკუმის კლასები განაგრძობს
შეთავსებულ არსებობას ცხრაწლედთან. იხსნება ცხრაწლედის მე VIII ჯგუ-
ფები და მას ემატება შეიცავლების კველი ჯგუფი. ჯგუფთა რიცხვი აღის 22-დი,
მოწაფეთა რიცხვი 876-მდი, მასწავლებელთა პირადი შემადგენლობა 30-მდე.

1924/25 წელში იხსნება ცხრაწლედის მე IX-ჯგუფები. ჰუმანიტარული
ტეხნიკუმის მე-III და მე-IV კლასები. ცხრაწლედის სალიკვიდაციო კლასებათ.

ამ წელში სასწავლებელი შეიცავს 20 ჯგუფს 767 მოწაფით. პირადი შემაღენლობა 27 კაცისაგან შესღება.

1925/26 წელში ცხრაწლედი ცალკეა გამოყოფილი და იწყებს დამოუკიდებელ არსებობას. მას თავისი საკუთარი აღმინისტრაცია ყავს. აღნიშნული წელში სასწავლებელში 14 ჯგუფია 585 მოწაფით. პირადი შემაღენლობა შეიცავ 15 კაცს.

1926/27 წელში სასწავლებელი 13 ჯგუფისაგან შესღება 523 მოწაფით პირადი შემაღენლობა უდრის 22 კაცს.

1927/28 წელში სასწავლებელში 12 ჯგუფი რჩება 479 მოწაფით პირადი შემაღენლობა ჩამოდის 18-მდე.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ცხრაწლედის ტიპის ჩამოყალიბების პროცესი შეიცავს ორ პერიოდს. პუმანიტარული ტეხნიკუმის არსებობის პერიოდი ხასიათდება თანამდებობითი ზრდით, ცხრაწლედის პერიოდი პირიქით, თან-



ქ. ხონის ცხრაწლედის შენობა.

დათანობითი შემოკლებით: ხონის ცხრაწლიანი შრომის სკოლას აქვს მიცემული აგრონომიული განხრა.

ორი წლის პრაქტიკა აგრონომიული განხრის არსებობისა სასწავლებელში მაჩვენებელია იმისი, რომ განხრას შეუძლია მიიზიდოს მოწაფეობა და მოიქციოს მშობელთა უურაღება, რადგანაც ხონის რაიონი, რომელსაც სკოლა ემსახურება, უმთავრესად სასოფლო მეურნეობის რაიონია და სკოლის მოწაფეობაც უმთავრესად გლეხის შვილებია.



აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მასწავლებელთა უზრუნველყოფა ჯერმავის მაგირით საქართველოს გასაბჭოების შემდეგ თანდათან იზრდება. ჯამში რომელი რაოდენობის საშუალო არითმეტიკული ხონის ცხრაწლედში 1923/24 წელში უდრის 36 ჩერვონეცის მანეთს, 1924/25 წელში 38 მან. 1925/26 წ. 41 მან. 1926/27 წ. 42 მან. და 1927/28 წ. 52 მან. ეს ციფრები, თუმცა და-ახლოებითი სურათის გამომსახველია, მაგრამ აშკარა მაჩვენებელია იმის, რომ მასწავლებელთა უზრუნველყოფაში საგრძნობ წინსვლის აქვს აღვილი.



ხონის ცხრაწლედის მოწაფეები აგრძონმიული განხრის ბალში სამუშაოზე.

აღსანიშნავია აგრძელებული მოწაფეთა სოციალური პარტიული შემადგენლობა. მუშარ-გლეხური ელემენტის რაოდენობა აღწევს სასწავლებელში 85% ხონის ცხრაწლიანი შრომის სკოლის პირველი საფეხურის ჯგუფებში უკვე გატარებულია კომპლექსური სისტემა, მეორე საფეხურის ჯგუფებში ტარდება და ფეხს იკიდებს დალტონ გეგმა. აღნიშნული სისტემები ამყარებენ სასკოლო ჯუშაობას შრომის პრინციპებზე და აჩვევენ მოწაფეობას დამოუკიდებელ მუშაობას.

საქართველოს „წითელი ჯგუფის“ სამსონის სონის სამართლებრივ მუნიციპალიტეტის წარმატებით საქართველოს მთხუთმომავალი ცერტილა 1921 წელი 1928 წლის 10 მარტი.

წელი- წარმომადები	თანამშრომა- დები	ჭამაგირები	ბიუჯეტი	ოთახების რიცხვი	ავათმყოფთა რაოდენობა	
					სააგათმყოფ- ტოში	ამბულატო- რიაში
1921	7	ბონებით	—	9	130	5402
1922	7	ბონებით	—	9	46	3082
1923	7	1154-40	—	9	70	3649
1924	7	1154-40	—	9	164	3807
1925	9	5332-80	10608	9	207	5685
1926	14	10806	22824	15	245	11284
1927	15	10500	22408-20	15	301	13039

1921 წლიდან 1925 წლიმდი სააგათმყოფო იმყოფებოდა ხონის ოლასკომის ხარჯზე.

1925 წლიდან კი სააგათმყოფოს შტატის შენახვა მიიღო თავის თავზე საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტმა, ხოლო 1926 წლიდან მანვე იკისრა მოელი ხარჯები სააგათმყოფოს და ამბულატორიის შესანახად.

ქ. სონის I-ლი შვიდწლიანი შრომის სკოლა.

1920/21 სამოს. წელში ქ. ხონის შვიდწლიანი შრომის სკოლა წარმოადგენდა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელს 4 კლასით 6 მასწავლებლით. 1921/22 სამასწ. წელში არსებულ სკოლას შეუერთდა ორკლასიანი სასწავლებელი და შეიქნა ხონის 8-წლიანი შრომის სკოლა 10 მასწავლებლით. 1922/24 სამ. წელში ხსენებულ სკოლას ჩამოსცილდა ყოფილი მე-IV შრომის სკოლა 8 ჯგ. და მის ნაცელად მოემარტა ივანდიდის ოთხწლედი, შეიქნა პირველი შვიდწლელი 20 ჯგ. 28 მასწავლებელით, მათ შორის გამგე და ორი მოადგილე.

1924/25 ჩამ. წელში ხონის I-ლი შვიდწლელის მე-II პარალელობან გაიხსნა კიდევ ერთი ჯგუფი და მოგვემატა ერთი მასწავლებელი. 1925/26 სამ. წელში ეგრეთ წოდებული ნოლ ჯგუფები გადაკეთებულ იქნა პირველ საანბანო ჯგუფად და, თანადათანობით, ნაცელად 8 წლიანი შრომის სკოლისა რჩება შვიდწლიანი შრომის სკოლა 19 ჯგ. 26 მასწავლებელი, მათ შორის ერთი გამგე და ერთი მოადგილე.

1926/27 სამ. წელში ჯგუფების რაოდენობა არ შეცვლილა. 1927/28 სეზონის სამ. წელში სკოლის მე-II პარალელებიდან იხურება მე-III ჯგ. ასე სტატისტიკა
მიმღინარე სამოსწავლო წელში ხსნებული სკოლა შეიცავს 18 ჯგ. 23 მა-
სწავლებელით, მათ შორის გამგე და ერთი თანაშემწე არის ორი სტული შვიდ
წლედი და ერთი ოთხწლედი.

1920/21 სამ. წელში მოწავეები სოც. მდგრძ. მიხედვით იყოფოდენ:

I—შეძლებულის შვილები	55 ⁰ / ₀
II—ხელოსნები	16 ⁰ / ₀
III—მოსამსახურეების	5 ⁰ / ₀
IV—ლარიბი და საშვალო გლ. შვილები	24 ⁰ / ₀
V—მუშის	0

1927/28 სამ. წელში კი ვხედავთ სხვა სურათს:

I—შეძლებულის შვილები	2 ⁰ / ₀
II—ლარიბი და საშვალო გლ. შვილები	75 ⁰ / ₀
III—ხელოსნების	9 ⁰ / ₀
IV—მოსამსახურეთა	8 ⁰ / ₀
V—მუშის	6 ⁰ / ₀

1920/21 წელში მოსამსახურეები ხელფასს ღებულობდნ ბონების სახით, რომელთა ღირებულება ყოველდღიურად ეცემოდა და თვიური ხალფასი არ უდრიდა დღევანდელ 4-5 მანეთს. თვით სკოლა არ იყო უზრუნველყოფილი საძურნეო სასწავლო და სხვა სკოლისათვის. საჭირო ხარჯებით, სასწავლო წელიც მეტად მოკლე იყო. მასწავლებელთა, მოწავეთა და მათი მშობელთა შორის არ იყო მცირებო კავშირი, სკოლის დისკიპლინაც შერყყული იყო. არ იშვიაბოდა შესაფერისი სახელმძღვანელოები, რითაც სწავლის საქმე თანდათან ეცემოდა. ეს მდგრძმარეობა 1921/22 სასწავლო წლიდან თანდათან უმჯობეს-დებოდა და დღეს 1927/28 სასწავლო წელში ჩვენ ვხედავთ შვიდწლიან შრო-მის სკოლის აგებულს ნამდვილ შრომის პრინციპებზე. სკოლაში დაარსებულია სასკოლო ორგანიზაცია, რომლის პრეზიდიუმის წევრები იღებენ მონაწილეობას 3/საბ. სხდომებზე. იცემა კედლის გაზრით, ჩამოყალიბებულია პიონერთა ორგა-ნიზაცია, კომუნიკაციის უჯრედი მე-II შრომის სკოლის მოწავეებთან ერთად, ყოველივე საგანი შექდება მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით. სწავლება პირველ 4 ჯგ. სწარმოებს კომპლექსური მეთოდით, ზედა ჯგუფებში კი საგ-ნობრივად. სკოლის მე-II პარალელებისათვის, რომელიც დღეს მოთავსებულია კერძო ბინაზე შენდება საკუთარ შენობა. დღეს შედარებით წინა წლებთან, სკოლის ეკონომიკური მდგრძმარეობა თითქმის უზრუნველყოფილია სამნეო, სა-სწავლო და სხვა ხარჯებით. პედაგოგიური და ტეხნიკური პერსონალი თავის დროზე იღებს ხველრ ჯამიგირს და მათი მდგრძმარეობა შედარებით უზრუნველ-ყოფილია. მაგალითად თუ მასწავლებელი 1920/21 წელში იღებდა 4-5 მან. თვიურიად—დღეს ის იღებს 34 მანეთიდან 60 მანეთამდე.




ქ. სონის პედაგოგიური ტეხნიკუმი.

ხონის პედაგოგიური ტეხნიკუმი, ასეთი სახელწოდებით ცნობილია 1921/22 წლიდან. მანამდი კი არსებობდა სოსტატი სემინარია, რომელიც დაარსებული იყო 1881 წელს. ტეხნიკუმს 1921/22 წელში ქონდა 4 კურსი და მოწაფეთა რაოდენობა უდრიდა 109.

ტეხნიკუმში სწავლება უფასო იყო. ამ დროს ტეხნიკუმში ექვსი მასწავლებელი ითვლებოდა.

1922 წლის, შემოდგომაზე, პედაგოგიურ ტეხნიკუმს შეუერთდა პუმანიტარული ტეხნიკუმი და დაერქვა სახელი—ხონის პედაგოგიური ტეხნიკუმი პუმანიტარული განყოფილებით. ამ 1922/23 ს. წელშიც ტეხნიკუმს 4 კურსი ჰქონდა. ამავე წელში მოხდა ტეხნიკუმის ტიპის ლიკვიდაცია.

1923/24 ს. წლის დამდეგს გახსნილი ინა წინა ტეხნიკუმის მაგისტრ ორ კურსიანი ტეხნიკუმი, რომელშიაც შემოდიან მსმენელებათ ცხრაწლედ დამთავრებულნი. სკოლა საშვალოზე უფრო მაღალ ტიპის სკოლად ითვლებოდა.



ხონის პედაგოგიური ტეხნიკუმი.

კურს დამთავრებულებს ეძლეოდათ შეიღწლების მასწავლებლის ხარისხი. სწავლა ძალის ტეხნიკუმშიაც უფასოდ სწარმოებდა. ამ ტეხნიკუმთან ამ დროს და 1924/25 ს. წელ. შემოქრებული იყო პუმანიტარული ტეხნიკუმის და ცხრაწლების ჯგუფები. მასწავლებლები ამ საანგარიშო წლებში (1923/24 და 1924/25 ს. წ.) ტეხნიკუმს ყველა რიცხვით 10 კაცი, მსმენელი კი პირველ წელს იყო 10 და 1924/26 წ. ორივე კურსზე 33 მსმენელი. ამათში 5 მსმენელი ღებულობდა სტაინდიას—თითო ათ მანეთს თვეში.

1924/25 ს. წ. ბოლოს მოხდა მასწავლებლების პირველი გამოშევება 7-წლის 1925/26 წ. შეორე გამოშევება და თანაც ტენიკულმის ტიპიც შეიცვალა განათლების კუმისარისატის ახალი განკარგულებით 1924/25 ს. წლის დასაწყისში გახსნილ იქნა 4 კურსიანი ახალი და ამჟამად არსებული ტიპის პედაგოგიური ტენიკული.

ეს ემსახურება ქუთაისის მაზრის უღრიბეს მოსახლეობას.

ამ ტენიკულმის პირველ კურსზე 1924 წ. შემოდგომაზე მიღებული იყო 25 მსმენელი, 1926 წლის შემოდგომაზე 30 მსმენელი და 1927 წლის შემოდგომაზე 35 მსმენელი, ხუთი დათხოვნილი იყო. ამრიგად ტენიკულში, რომელსაც დღეს სამი კურსი აქვს, ითვლება 85 მსმენელი.

ტენიკული ინახება სახელმწიფო ხარჯთა აღრიცხვაზე.

1924/25 წ. ღებულობდა 352 მან. 65 კაპ. თვეში.

1925/26 წ. 842 27 " "

1926/27 წ. 843 90 " "

1927/28 წ. 952 " "

ტენიკულში ამჟამად 16 თანამშრომელია.

ტენიკული ამზადებს 4 წლედის მასწავლებლებს, დროებით კი იძლევა 7-წლედის მასწავლებლობის ხარისხს. მომავალ წელში მეოთხე კურსი გაიხსნება და სასწავლო წლის ბოლოს პირველი გამოშვებაც იქნება. ტენიკული უზრუნველ ყოფილია ქარგი შენობით და სამეცადინო ხელსაწყობით, აქვს ქიმიური, ფიზიკური და ბუნების-მეტყველების კაბინეტები. აქვს სადურებლო და ბალი.

ქ. ხორის ჰაბათთა აღთანადი.

საქართველოს გასამართლებამდე, აფთიაქები საქართველოში და აგრეთვე ხონის აფთიაქი—კერძო მეპატრონის ხელში იყო, ხოლო უკანასკნელის უმთავრეს საზოგადო საგანს წარმოადგენდა ხალხის გატავებითა და მუშა-მოსამსახურის საშინელი ექსპლოატაციით, როგორმე მეტი მოგება ენახა. ასეთ მდგომარეობას ქონდა ადგილი, როგორც მეფის, ისე მენშევიკების დროსაც. უკანასკნელთა ხელში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა მით, რომ მენშევიკების დროს ფართო მასისათვის საჭირო წამლებიც კი არ მოიძებნებოდა. მუშა-მოსამსახურის საშინელ მდგომარეობას ნათლად ახასიათებს ის ხშირი გაფიცვები, რომელსაც მუშა-მოსამსახურენი მომართავდენ.

მენშევიკების დროს აფთიაქები ფაქტურად დაცარიელებული იყო, საკირო წმიდანი ხშირად მოიძებნებოდა, 10 შემთხვევაში ძლიერ სამს ვაკმაციუმი-ლებით და ასეთ ნაირად მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა მოსახლეობა.

მართალია, მათი წასკლის ხანში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, რაღაც წამლებისა ნაწილი გატაცებული იქნა, გვიხდებოდა ცობოლის მაგივრათ ჩალის გულით თავის მოცავა, სიგნატურების უქონლობის გამო გვიხდებოდა თვით ექიმის მიერ გამოწერილ რეცეპტის მიკრა და სხვ. შემდეგ კი

მდგომარეობა ერთბაშათ იცვლება, დღიდან გასაბჭოებისა, როდესაც სკოლებულებულების მთავარი ყურადღება ამ დარღს ექცევა და აფთიაქი სკოლების 1921 წელი წამლებით, რომლებიც სავსებით უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილებას. არსებულმა ხელისუფლებამ თანდათან შეუწყო ხელი გაუმჯობესებას და დარღვეული აფთიაქების გაჯანსაღებას. აღილობრივი ხელისუფლება აბმარდა თვით აფთიაქების შემოსავადს აფთიაქების გაუმჯობესებას და მედიკამენტების შეძენას, რამაც თვისი შედეგი გამოიღო და დღეს, 1928 წელს, საქართველოს გასაბჭოების შეიღი წლის თავზე, ვხედავთ იმ ამ სურათს.



ქ. ბონის საბჭოთა აფთიაქი.

დღეს აფთიაქში, მუშაობს სამჯერ-ოთხჯერ მეტი რიცხვი მუშა-მოსამსახურეებისა, ვინემ 1921 წელს; აქვს აფთიაქს შეძენილი ორთქლით მხარშეი პარატი, რაც არ იყო წინეთ; აგრეთვე აქვს აფთიაქს მთავარი საწყობი, სა-დაც ინახება წამლებულობა.

წამლებულობა აფთიაქს აქვს საკმარისი. აგრეთვე აფთიაქს აქვს მექანიზაცია ქმნილი წამლების საწყობი, რითაც მუშა-მოსამსახურეებს ეძლევა საშუალება დაუყონებლივ და რიგს გარეშე, მიიღონ აფთიაქიდან წმილი.

აქვს აფთიაქს, აგრეთვე, საპარტიულერიო ხანგრძის ცალკე საწყობი.

1921 წელს აფთიაქის წამლებულობის ღირებულება შეადგინდა 2500 მანეთს დაახლოებით. დღეს კი, შეიღი წლის თავზე, აფთიაქის წამლებულობის ღირებულობა 21000 მანეთს უდრის. და თუ კი 1921 წელში, 10 მომთხოვნელში შეიღი უარს ვეზნებოლით, დღეს იშვიათი შემთხვევა იქნება, რომ მოთხოვნილი წამილი არ მოგვეპობოდეს.

დღეს დაწესებულება სრული ასი პოლუნტით ნორმალურ მდგომარეობაშია, იმ მხრივ, რომ ფართო მოსახლეობა პპოულობს საბჭოთა აფთიაქში, ყოველგვარ მისთვის საჭირო წამილს.



ა. ფურცელაძე.

სამგებელის კვებელის მდგრადისამ.

საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავზე,

ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ა.კ. ს. ს. ფ. რესპუბლიკებისათვის, როგორც სათბობ მასალის ერთად ერთ მიმწოდებელს, არსებულ ყველა ცემენტის, ვეტრის, კირის, აბრეშუმის ქარხნებისათვის და აგრეთვე თვით რენის გზის მიმოსვლის საჭიროებისათვისცა. ყველ წლიურად ტყიბულის ნახშირის მოთხოვნილება ბაზარზე უდრის ჩ.დან. 6-ი მილიონ ფუთს. მაგრამ, ახალ წამოწყებათა ქსელის გადიდებისათან დაკავშირებით, მისი მოთხოვნილება უფრო ფართოვდება და დღითი დღე იზრდება. წარმოებაში ჩაბმულია 1500 მუშა. მათი ხელფასი, რიცხვი და საფრთხო გამოლების რაოდენობა საგრძნობლათ იზრდება: მოკლედ დახსიათება მაღაროების მოღვაწეობისა 1924—1927 წ. შეიძლება წარმოვიდგინოთ აქვე მოყვანილ ცხრილიდან:

	წლები.		
	1924/5	1925/6	1926/7
1. ნახშირის გამოლ. ტონ.	74947,6	87878,0	91083,4
2. გაზიდვა	72718,3	83205,4	88507,2
3. მუშათა რიცხვი წლ. პოლოს	—	809	1255
4. საშუალო დღიური ხელფასი	1,41	1,68	1,68
5. საშუალო ნაყოფ. თითო მუშაზე	445,2	438,7	332,7

მოყვანილი ცხრილიდან აშკარად სჩანს ხელფასის და მუშა-ხელის თვალ-მაჩინო ზრდა, მხოლოდ საშუალო ნაყოფიერება თითქოს თან-და-თან კლებულობს, მაგრამ სინამდვილეში ეს სწორი არ არის, ვინაიდან მუშების დიდი ნაწილი ჩაბმულია სამუშაოებზე, რომელიც, ჯერ-ჯერობით, პროდუქციის არ იძლევა. გამოანგარიშების დროს კი, საერთო გამოლება მათზედაც იყოფა. სამუშადის მუშაობის დამთავრების შემდეგ, დაახლოებით მე-III კვარტალის დამლევს, აუცილებლად ნაყოფიერება გაიზრდება. ნახშირის ლირ-სების გაუმჯობესების მხრით მაღაროებს აქვს დიდი მიღწევები: მოწყობილია სარეცხი (ინგ. ყიფიანის პროექტი), რის შემწეობით ნაცრიანობა ხრეში ხარისხის ნახშირისა 20-25% / დაყვანილი იქნა 12-14% / . ხრეში ნახშირის რაოდენობა შეადგენდა 70% / მთელი გამოლებული ნახშირისას და სრულებით ბაზარზე გასავალი არ ქონდა, მაგრამ სარეცხის მოწყობის შემდეგ ასეთის ნახშირს მომხმარებლებიც აღმოჩნდენ.

მეორე ტეხნიკურ მიღწევად უნდა ჩითვალოს მოწყობა ნახშერის რაიონის წერის, რის საშუალებითაც ნახშირის ნაღვკიდან კეოდება უმდგრადი აგურაკები. ყოველდღიურად მზადება 300 ფუთი აგურაკი, რომელიც ძლიერ კარგი ღირსებისაა და ძლიერ სწლება პაზრის მოთხოვნილების 10% -ს. ეს მოვლენა იმის მაჩვენებელია, რომ ტკიბულის ნახშირის აგურაკებს კარგი მობგალი აქვს და მომხმარებლითაც უზრუნველველყოფილია. გარდა ფხვნილი ნახშირისა, ნახშირის აქვს თანდაყოლილი ფისიანი ფიქალი, რაც 50% , შეადგენს და სრულებით იურებოდა. ამ საკითხის შესწავლის შემდეგ მოწყობილ იქნა ღუმელი, სადაც ფისიანი ფიქალის გამოწვიდა გაძლიერს შამოთი, რაც იმარტი შრომში, ცეცხლის გამძლე იგურის ქარხანაში. ცეცხლის გამძლე თხა-ში ერვა რა შამოთი, აგური უძლებს 1700° სიტბოს, იმ დროს, როდესაც შამოთის გაურევლად, მხოლოდ 1200° სიტბოსაც ძლიერ უძლებდა.

ნახშირის ბუდობისა და რაოდენობის გამორკვევის მიზნით 1926—7 წლებში სამოთ ტრესტმა ჩატარა დიდი გამოკლევითი მუშაობა აღმასის ბურლვით. გამურლვილ იქნა შეიცი ხერელი 1187,35 მეტრის სიღრმით. გამოირკვა გასინჯულ აღვილებში ნახშირის მარავი 300000 ფუთის რაოდენობით.

მიღებული დადგითი შედეგების შემდეგ, 1927 წ. ჩატრში და ინისტი მაღაროები შეუდგა ა) უბ. და ბ) უბ. ორი კაპიტალული გვირაბების გაყვანას, რომლისგანაც დასავლეთ უბანში გასულია გვირაბი 165 მეტრი სიგრძით და ა) უბანში კი 300 მეტრი. წლის მოლობს გთვალისწინებულია მისელა ნახშირის ფენებთან, რომლის დამუშავება უნდა მოწყობის ტენიის უკინასენელი სიტყვის მახედვით. მოწყობილი იქნება გიდრავლიური ქსები, რაც 80% -თ უზრუნველ ყოფს სამუშაოებს მიწის ქვეშ ცეცხლის გაჩერიდან, რომელიც დიდ ზიანს აყენებს ტყიბულის ბალარებს, ნახშირის თვით წესის თვისების გამო. გათვალისწინებულია მოკლე მომავლში ახალი სარეცხის, სარჩევის, ნახშირის აგურაკის ქარხნის (БРИКЕТНЫЙ прес) იგება და სხვა კაპიტალური სამუშევრები.

რაც შეეხება მუშაოთ ანაგებებს, აქ წინდაწინ შეიძლება ითქვას, რომ მაღაროებს დიდი მიღწევები აქვთ. 1926—27 წლებში გაკეთებულია 2—ორ-სართულიანი სახლი 120 მუშაოსათვის. არსებულ სახლების კვეშ გამოშენებული 19—თვალი ითახ 120—ეკისათვის, ორ თვეში დამთავრდება. 3—ორ-სართულიანი შენობა 180—მუშაოსათვის, 2—ერთ სართულიანი 18 კოლშევლიანებისათვის და 1 სახლი ინუნდერ-ტეხნიკოსებისათვის.

გაკეთებულია ანაგებანი საჭარბოო საჭიროებისათვის შემდეგი: 1) ცეცტრალური სამასალო საწყობი, 2) ორი შენობა საღურგლო და სიმჭდელო ცეცხებისათვის, აბანო, ცეცტრალური ტელეფონის სადგური, მთავრი საწყობი სასაფექტებელი მასალებისათვის და გაყვნილია ორი ახალი წყლის სადენი მიღებით 400 საე. სიგრძით. მომავლ საღმშენებლო სეზონისათვის გადადებულია 500000-მანეტი, რომელი თანხიდანაც უნდა გაკეთდეს 6 შენობა 48 —ულშილიანი მუშაოსათვის, გაფართოებული უნდა იქნეს ელსადგური, გაკეთდეს ცეცხლის დამცველი სადგური, აუზები, ბრიკეტის ქარხანა და შემოტანილი უნდა იქნეს სხვა და სხვა მანქანა სამუშაოების მექანიზაციის მიზნით.

ასეთია ჩატარებული მუშაობა მოკლედ და საპერსპექტივო გეგმა. რომელიც საქართველოს გასამჭერების შეიძლ წლის თავზე აქვს ტყიბულის ქვანაბშირის წარმოებას, რაც დიდ მიღწევად უნდა ჩითვალოს უთუოდ, რაღაც ასეთს ჩვენი მშრომელი მასები „ნეტარ-ხსენებულ“ მენშევიკურ ხელისუფლების დროს მთელი საუკუნოებითაც ვერ მიაღწევდენ.



2. պուհագոլուան.

გლობალური ეკონომიკის მახასიათი საქართველოს გენერატორის უზრუნველყოფა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ყველა დარგის მუშა-მოსამაშა-
ხურეთა შორის ჩამოყალიბდა პროფესიონალური კავშირები, რომელებმაც მიზ-
ნათ დაისახეს თავიანთი წევრების უფლებრივი და ეკონომიკური მხარეების
გაუმჯობესება. პროფ-კავშირების დაარსებისთანავე ყველა დარგის მუშა-
მოსამაშახურეთა შორის განალიდა პროფესიონალური მუშაობა. შეუკავშირებელი
მხელობ მშრომელი გლოხობა დარჩა, რომელსაც არა დროს არ ქმნდა არა-
კითხირი კავშირი და ცხოვრობდა სრულიად განცალკევებულათ. დღიდან საქარ-
თველოს გასაბორებისა, საქართველოში გლოხომების დაარსებამდი დიდმა დრომ
განვითარდა, დევრი სხვა და სხვა კავშირი დაარსდა და გლოხომები კი არ იყო
დაარსებული. საქოთა ხელისუფლების ინტერესები მოითხოვდა, რომ გლოხო-
ბაშიაც ყოფილიყო მთლიანობა. ამისათვის საჭირო გახდა დაარსებულიყო მათი
კავშირი—გლოხთა კომიტეტები.

თუმცა გლეხობა მიჩვეული იყო შეუკავშირებლობას, მაგრამ, როდესაც მათ შეიგნეს, რომ სოკილისტურ ქვეყანაში საჭიროა და შესაძლებელია კავშირის შექმნა, ისინი სიამოენებით შეხვდენ გლეხკომების დარსებას.

1923 წელს აგვისტოში, სოკ. უზრ. კომისარიატის ხელმძღვანელობით,
მთელ ქიმიასის მაზრის ყველა თამაში ჩამოყალიბდა გლეხთა კომიტეტები.

გლეხკომების დაარსებისთვის გლეხობა იქნა აყვანილი აღრიცხვაშე,
და შემდეგ დაყოფილი 4 კატეგორიათ.

მაკრობამ გლეხეომებს, ფონდების შესაქმნელად, გადასცა სხვა და სხვა წარმოება: აბანოები, წისქვილები, კლებთა სასახლე და სხვა.

1927 წელში გლეხვამების მუშაობა უფრო ჩამოყალიბდა. მთელი წლის განმავლობაში შესაძლო გახდა სხვადასხვა სკომის შესრულება.

1. ჩააბა გლეხემებში—35500 წევრი.
 2. მოაწვია ერთი იურისკონსულტი, რომელიც სპეციალურათ გლეხემებს დამუშავდებოდა.
 3. დანიშნა გლეხთა სახლის სპეციალური გამგე, რომელიც ჩამოსულ გლეხებთან ატარებს საუბრებს.
 4. მოაწყო გლეხთა სახლი 34 ლოგინით.
 5. გახსნა თემებში გლეხობის საკიროებისათვის პროფ.-სკოლები, სმჭვდლოები, თორნეები და სხვა.
 6. მისუა დაუბრუნებელი ფულადი დახმარება 2380 წევრს 12.210 მან.
 7. მისუა სესხის სახით უბრუცენტოთ 690 წევრს 8,470 მანეთი.
 8. გადააგზავნა ამბულატორიაში—1200 წევრი.
 9. მოათავსა საავადმყოფოში—516 წევრი.
 10. შტრომითი დახმარება გაუწია—55 წევრს—214 კაცს 95 დღით.
 11. მისუა იურიდიული რჩევა დარიგება განცხადებების დაწერით 1830 წევრს
 12. აღმოჩნდინა დახმარება შეშის მიცემით—136 წევრს



13. " " ბინის მიცემით — 6054 წევრს
 14. " " აბანოზე გაგზავნათ შეღვევითიან ფასებში 207 წევრს
 15. შეიძინა გლეხობის საჭიროებისათვის ახალი სისტემის სამუშაო იარა-
 ები — 200 კალი.

16. ჩაბა სას. სამ. მმსნაფობა — კონკრეტული ციფრი 195 — წევრი.
 ქუთაისის მაზრაში ამ ეამად ჩიმოყლიბებულია 1 სამაზრო 47 საოემო
 და 3 სასოფლო გლეხკომი. მათ განკარგულებაში არის შემდეგი წარმოებანი:
 ა) წისქვილები — 14, ბ) ბორანები — 2, გ) ფურნე — 2, დ) თორნე — 5,
 ე) სამკერვალო — 3, ვ) საპარიქმახერო — 1, ზ) სამკედლო — 2, კ) გლეხთა სახ-
 ლი (ბალდათის თემში) — 1, ლ) სახნავი მიწები — 53 ქცევა, მ) ბალები — 6 ქცე-
 ვა, ნ) ტუე და სხვა მიწები — 71.9 ქცევა.

გლეხკომთა ფონდები 30% იხარჯებოდა ადგალობრივ დახმარებაზე ოთ-
 გორუ მაგალითად საექიმო, დაუბრუნებელი სესხი და სხვა. 20% სამუშაო
 იარაღების შესაძლებათ. 15% იხარჯება ადგილობრივ გლეხკომების კანცელა-
 რისა და აპარატის შესანახად. 15% იგზავნება სამაზრო გლეხკომში სოორგა-
 ნიზაციით ხარჯების დასაფარვად. 30% გადაღებულია სტიქიურ უბედურებით
 დაზარალებულთა სასარგებლოთ და იხარჯება საჭირო შემთხვევებში.

୪. ଧର୍ମାଚାରୀଙ୍କର

საქართველოს სამართლებრივ გადაწყვეტილების დასაწყის საქართველოს

ପାଞ୍ଚାଙ୍ଗତ୍ୱ. କାଶାର୍ଥିମୁଖୀରେ 7 ମିନିଟ୍ସ ଦାସ୍ତଖ୍ତ.

სახელმწიფოს კუნძომისურ აღორძინებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ
სასამართლო მეორენაობის განვითარება.

სასოფლო, მეურნეობის, განვითარება დაკავშირებულია: დასამუშავებელ
მიწების არეს გადიდებასთან, მისი განყიტებასა და მის რაციონალურად და-
მუშავებასთან. ამ მხრივ სირწყავ არხების გაყვანა და წობიანი აღვილების გა-
შრობა: ორმელიმე მხარეში, ძირითადად სცვლის ამ კუთხის ეკონომიკას. ბევ-
რი უფროგისი აღვილი მორწყვის შემდევ საუცხოვო მოსახლის იძლევა. და-
მუშავებული აღვილები მორწყვით ერთი ორად მეტი მოსავლითი ხდება,
ჩნდება ჟესაძლებლობა. სხვა და სხვა მეურნეობის კულტურის შემოღების (ზა-
მბის, მებოსტნეობის და სხვა) ისპობა გვალვის საშიშროება და მორწყვით იზ-
რდება აღვილის ნოყიერება და ლირსება. წობების დაშრობით იზრდება საერ-
თო არე დასამუშავებელ აღვილების, რაც საქართველოს სინამდვილეში დიდ
მნიშვნელოვანია.

საქართველოში ისტორიის ცნობით, სარწყავი არხები მრავალი ყოფილია. აღმოსავლეთ საქართველოში: ამის მაჩვენებელი ნაშებიც ახლაც ბევრია დარჩენილი.

ნიკოლოზის შეფანის დროს თვილისში ოსებობდა კვეისისის წყალთა სამართველო. ამ უწყების დანიშნულება იყო მაშინდელი რუსეთის მონარქის-ტული მთავრობის მიზნების განხორციელება: ეს მიზნები გძმოთატებოდა ამი-ერ კვეისის გარსებაში, ე. ი. რუსის მკვიდრთა დასახლებაში. ამიტომ კვ-ეისის წყალთა სამართველო აშენებდა სარწყავ არხებს სრულიად დაუსახ-ლებელ აღილებში, როგორც არის მუღანის ველი (ვარანცოვის და შეკა მუ-ღანის არხები), პირაქის ველი და საქართველოში ყაჩის ველი (მარიამის არ-ხი), სადაც გადმოსახლებული იყო ათასობით რუსი მცხოვრები. იქ კი სადაც მკვიდრი მოსახლეობა არსებობდა და საჭიროებდა სარწყავ არხებს — იქ უკანას-კელოთ ეძლეოდათ ტეხნიკური დამარტინი მათვე ხარჯზე.


საქართველოს ფარგლებში, მეცნის დროის კავკასიის სამართველოს არა-ფერი თვალსაჩინო გაუკეთებია, მიუწვდოვათ სტრუქტურული არხების დღი მოთხოვნილებისა, მენტევიკების მთავრობასაც არაფერი გაუკეთებიათ ამ ფრიად მნიშვნელოვან სამეცნიერო დარგში, თუმცა გლეხების ფართო მოთხოვნილება, როგორც აღმოხველეთ, ისე დასაცავთ საქართველოში დღი იყო.

საბჭოთა ხელისუფლების დამყრების თანავე იშლება უზარმაშარი ფართო
მასიური ხასიათის მუშაობა საქართველოს წყალთა მცურნეობის სამშართველო-
ში (1921—22—23 წ.). მუშაობა მიმდინარეობდა გილრო-სტროის მუშაობით)
სარწყავა ოპების გასაშენებლად, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ სა-
ქართველოში.



აღმოსავლეთ საქართველოში წვრილმან არხების გაყვანის გარდა, დაწყე-
ბულია ისეთი დიდი მნიშვნელოვანი არხების გაყვანა, როგორიც არის
ნის და ტირიფონის ველის არხები: პირველი კახეთში და მეორე ქართლში.
აღაზნის არხის მავისტრალის სიგრძე ას კილომეტრამდე აღწევს და ამ არხით
მოირწყება 60.000 დღისატინა მიწა. ამ არხის მუშაობა მიმდინარეობს სამ წელ-
ზე შეტი და უნდა დამთავრდეს მომავალი წლისათვის, არხის გაყვანა ჯდება
ხუთ მილიონამდე. ტირიფონის ველის არხიც ასეთივე დიდია. მისი მავისტრა-
ლის სიგრძე 80 კილომეტრამდე აღის და მოირწყება 5.000 დღისატინას. არხი
იქნება გახსნილი მიმდინარე წელში, შედგენილია წყალთა სამართველოს მიერ
დამუშავებული გვერდის სამგორის ველის მოსარწყევად (ვარე-კახეთი თბილისის
აღმოსავლეთი მხარე). გარდა იმისა, რომ ამ არხით უნდა მოირწყოს 70.000
დღისატინამდე, ამ არხზე იდგმება კიდევ ორი დიდი ჰიდრო-ელექტრონეული
სადგური თბილისის მახლობლად ვაზიანთან.

ჭუთაისის მაზრაში, ერთი მხრივ მიწის სიკიტროებ და მეორეს მხრივ
მიწის გამოფიტვამ, გამოიწვია შშრომელი გლეხობის ფართ სურვილი მიწების
მორწყევისა; ჯერ კიდევ ამ ოცდა ათი წლის წინად ხონის რაიონის გლეხობამ
საძირკველი ჩიუყრი სარწყევი არხების გაყვანას; მიუხედავათ იმისა, რომ მაშინ-
დელი წყოლთა მმართველობა და მთავრობაც ხელს არ უშენობდა დასახლებულ



მაშველი არხის სათავე.

რაიონებში არხების გაყვანას. ყამის გარდა მემამულე ანანოვმა: „ომ მიწებიდან
შეტი საჯარო რენტა მიელო, გაყვანა აჯამეთის, აფხანურის და ვარციხის
არხები, რომლის აღილების თითოეულ ქაუევის მორწყევაში ამდევინებდა გლე-
ხობას 7—8 მანეთამდე (რენტა იყო 6 მან. მორწყევის შემდეგ 15 მან.) ამ არხების
გაყვანის შემდევ ბევრგან შეექნათ გლეხობას სურვილი სარწყევი არხების გაყვა-

ნისა, მაგრამ მათ სურვილებს მაშინდელი მთავრობა ანგარიშს არ უწევდა და გლეხობაზე მზრუნველობას არავინ ჩენდა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე გლეხობის მდ დიად სურვილს ჩაეყარა მკვიდრი საფუძველი.

დასაცლელ საქართველოში 1921 წელშივე იწყება ამ მხრივ გაფართოებული მუშაობა გლეხობის საბჭოთა ხელისუფლების დამმარებით და ხელმძღვანელობით.

ამავე წელში დაიწყო დიდი მნიშვნელოვანი არხების მუშაობა, როგორიც არის: 1—„მაშველი“ არხი, ქუთაისის მახლობლიდ. 2—პირველი საბჭოთა



საბჭოთა პირველი არხის სათავე.

არხი—გევუთი, ტყაჩირი, საყულია. 3—მათხოვის, ქარჩხაპ-ივანდიდის და ვუბის არხები, ხონის რაიონში. 4—ლინიტ-ულაშის არხი, სამტრედიის რაიონში. 5—დიმი-როკითის არხი, ბალდათის რაიონში და ხოხოულ-ქალების არხი, შორაპნის მაზრაში.

ყველა ზემოქმითვლილ არხის დასრულება შეიძლებოდა მხოლოდ დიდი ენერგიული მუშაობის წარმოებით და სათანადო ხარჯების გალებათ. ამ მხრივ ადგილობრივ ხელისუფლების მტკიცე მუშაობის წარმოებით, გლეხობის ენტუზიაზმის გამოყენებით და ცენტრალურ მთავრობის ფინანსურ და ტეხნიკურ ძალების დამმარებით, შესრულებულია ეს დიდი მნიშვნელოვანი მიღწვევანი ჩვენი სასოფლო მეურნეობის დარგში.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი დიდი სახალხო მეურნეობის მუშაობის ჩანაწერი მხოლოდ და მხოლოდ შესაძლო იყო ისევი მთავრობის მიერ, როგორიც არის ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება.

ამ უმაღ ამ არხების გეგუანით შექმნილია წყლის მოსარგებლეთა ხუთი მელიორატიული მშანავობა: 1—ხონი-სამტრედიის რაიონის; 2—„მაშველი“



არხის; 3 — საბჭოთა არხის; 4 — დიმი-როკიოსის და 5 — სვიტის რაიონის. ეს შე-
ლიქრატული ამნანგობანი თავთავისთვის რაიონებში აწარმოებენ არხების მოქმედების
უფლებაზე.

ახლად გაყვანილ არხების მთელი სიერდე თავის მნიშვნელოვან შტოებით
უდრის დახლოებით ექვსას (600) კილომეტრს. იყებულია ზედ რამდენიმე
ათეული მნიშვნელოვანი ხელოვნური ნაგებობანი, ორი პიღრო-ელექტრო სად-
გური: ერთი ხონ ში და მეორე ბაღდათში (ბაღდათში მხოლოდ შენობაა დამ-
თვერგმული). ზემოაღნიშვნული არხები გაყვანილია იმ ანგარიშით, რომ ფა-



დიმი-როკიოსის არხზე ელ-სადგურის შენობა.

ჭია მთლიანად დაახლოებით 40.000 დესიატინამდე არქს და ჯერჯერობით კი
რწყავს დაახლოებით ამ არხის ნახევარს. ძველ არხებთან შედარებით იხალი
არხები წარმოადგენენ ნამდვილ ინერციულ სისტემებს.

ამ უადან სწარმოებს ამ არხების ქსელის უფრო მეტი გაფართოება და სა-
ჭირო ხელოვნურ ნაგებობათა აგება. მომავალში კი განზრახულია ძველი იდ-
გილობრივი სისტემების რეკონსტრუქცია, რომ მათი სარგებლობა უფრო ნა-
ყოფიერი იქნება.

ოთვა ეს სამუშევრები ყველა სისურველიდ იქნება დასრულებული ქუ-
თისის შეალთა ოლქის რაიონში, მორწყული იქნება 50.000 დესიატინამდე-
მეტი, რაც მისცემს მცხოვრებთ დიდ ეკონომიკურ წარმატებას. წაწყით მოხდე-
ნილი ეფუძრის მხხედვით მოსავლის როადენობა გაზრდილი იქნება ერთი ორად,
რაც შედაგათ მისცემს დასავლეთ საქართველოს გლეხობას აღილის სიმკი-
რის კრიზისის განხლებით

საქართველოს შეალთა მეურნეობის მუშაობა არ ამოიწურება მარტო სარ-
წყავ სისტემების გაყვანაში. თუ ძეველად ჭობების დაშრობაზე მხოლოდ ლა-
პარაკი და მარტო გამოკლევები ხდებოდა, საბჭოთა ხელისუფლების დამკა-



რების თანვე დიდი მუშაობები იყო გაჩაღებული; ამ მხრივ მეტაზოგიული მუშაობები და საქართველოში, სადაც შავი ზღვის ნაპირები ჭობებათ არის მუშაობი, დაახლოებით 100.000 დესიატინიამდი. დასრულებულია ქობულეთის ჭობის დაშრობა ათას დესიატინამდე. მიმდინარეობს მუშაობა ფოთს და ანაკლის ჭუა მდებარე ჭობების დასშრობად. უკვე სამი წელიწადია, რაც ერთი მხრივ ხდება ჭობების ამოშრობა და მდ. რიონიდან გადაყვინილ არხების საშუალებით დალექვა-დასილვა—და მეორე მხრივ მიმდინარეობს გაძოკვლევები. ასეთი— ვე მუშაობა მიმდინარეობს სოხუმის ავტონომიურ რესპუბლიკაში. მოელი ამ ჭობების ამოშრობა გეგმით გათვალისწინებული ხაჯოთ-აღრიცხვით, რამდენიმე მილიონი მანეთი დაჯდება. სამაგიეროთ შექმნება რამდენიმე ათი ათასი დესიატინა დასმუშავებელი აღვილი, რაც გამოყენებული იქნება დასაკლევთ საქართველოში ბევრი უმიწაწყლო გლეხობის დასახლებლად.

გარდა ამ მუშაობისა წყალთა მეურნეობის სამართველო აწარმოებდა და აწარმოებს გადიდებულ მდინარეების მავნე მოქმედების საწინააღმდეგო ბრძოლას.

ამ მხრივ ძალიან ბევრია გაეთვალისწინებული დასაკლევთ საქართველოში.

ყველასათვის ცნობილია მდინ. ცხენის-წყლის, რიონის, ენგურის, უვილის და სხვ მდინარეების მავნე მოქმედება: ვაკე ჭილების მთელი რიგი მშაბლეობა იყრება ბევრ აღგიღის, მიაქვს სოუცხოვო ნოკიერი აღგიღები და ლეგავს, ან რიყავს ბევრ მოსაკლიან აღგიღის. ამ მდინარეების ნაპირების გასამაგრებელ მუშაობას უმთავრესი ყურადღება მიაქცია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებაში. თოქმის ყოველ წლიურად მიმდინარეობს მდინარეების ნაპირების გისამაგრებელი მუშაობა: ცხენის წყალზე, რიონზე, ენგურსა და სხვა მდ. ცხენის-წყალზე: სამიქაოს, გეხათის, ნაგოზითის თემების მცხოვრებთა მონაწილეობით, მათი აღგიღების დასაცავად. სენაკის მაზრაში და მათხოვების თემის, ქუთაისის მაზრაში გაეთვალისწინებული კილომეტრის სიგრძეზე ფართე დაყრილი პალალი მიწის ზეინები.

წვრილობინი სამუშევრებიც ბევრგან იყო შესრულებული სხვა და სხვა მდინარეებზე. ყველა ამ სამუშევრებზე წყალთა სამართველო ყოველ წლიურად რამდენიმე ასი ათას მანეთს ხარჯავს და უწევს ხელმძღვანელობას მცხოვრებთ ამ ბუნების საწინააღმდეგო ბრძოლაში.

ქუთაისის წყალთა ოლქი, ნაყოფერათ აწარმოებს დასაკლევთ საქართველოს ექვს მაზრაში ამ სამუშევრების უმთავრეს ნაწილს, მასვე დავალებული აქვს წყლის სარგებლობის ნიაღაზე ყოველოვე დავის მოწესრიგება მცხოვრებთა შორის. ამ მხრივ ძელიად ბევრ გაუგებრიობას და უსამართლობას ქონდა აღიღილი. საბჭოთა ხელისუფლების დროს გლეხეკაცობა გარკვეული და სამართლიანს პასუხს ღებულობს თავის დროზე.

საქართველოს გასაბჭოების შვილი წლის თავზე დასაკლევთ საქართველოს გლეხეკაცობას, მეტადრე ქუთაისის მაზრის მცხოვრებთ, თამამად შეუძლიათ იამაყონ ის დიდი მილწევებით მეურნეობის დაზღმი, რომელიც მისა მათ საბჭოთა ხელისუფლებაში, სარწყივ არხების გაშენებით და სხვა სამუშევრებით.

ქახანაში „გაღდათ“-ს როლი გავრცელებულ ღარეში.

ამხანაგობა „ბალდათი“ დაარსდა 1923 წელში. მის უმთავრეს მიზანს შეაღენდა მშრომელი გლეხობის დარაზმა ამხანაგობის ირგვლივ, მეცნიერობის გაძლიერება ჩვენს როონში და მისი პროდუქციისათვის ბაზრის მოპოვება. ხელსაყრელ პირობებში; მასთან სამეცნიერო იარაღ-მანქანების და საქმი მასალის მიწოდება გლეხობისათვის.

პირველი წლები ამხანაგობის მუშაობა-საქმიანობისა უნდა ჩითავალოს არა სისურველათ, ვინაიდან ამხანაგობას გამგეობამ სხვადასხვა დროს ვერ აუღო სწორი გეზი ამხანაგობის მტკუც კოოპერატიულ კალაპოტში ჩამოყალიბებას, რამაც ამხანაგობა „ბალდათს“ მიაყენა დიდი ზარალი.

1925 წლიდან იწყება ოლორძინების ხანა ბალდათის სასოფლო-სამეცნიერო საქმედიტო ამხანაგობისა.

ამხანაგობამ აირჩია ახალი გამგეობა; ეს უკანასკნელი შეუდგა, როგორც ძველი დავალიანების დაფარვას, აგრეთვე კოოპერატიულ ნიადაგზე ჩამოყალიბებას.

1926 წლიდან ამხანაგობა „ბალდათი“ გადაეცთდა სასოფლო-სამეცნიერო საკრედიტო ამხანაგობათ, რომელსაც დაეკისრა როგორც საქმედიტო ფუნქციები, იგრეთვე დამზადება საშუალებლო ოპერაციების.

თუ გადაეხედავთ ამხანაგობის მუშაობა-საქმიანობის დღეს დღეობით შემდეგ სურათს დაივინაბავთ: ამხანაგობაში კოოპერატიული შეკვეთის 1.400 წევრი; მათი საწევრო, სპაიო უდირს 19.000 მანეთს, რაც შეაღენს 90%. დანარჩენი 10% ირიცხება ულარიბეს გლეხობაზე, რომელსაც საშუალება ეძლევათ კოოპერატიულ წესდების თანახმად შეასრულოს სრული პაი სამი წლის განმავლობაში. წევრთა ზრდა გაცხოველებით სწარმოებს, რაც გამოიხატება ამხანაგობაში ყოველ დღიურათ ათი-თურთხმეტი წევრის ჩარიცხვით.

ზემო ხსენებულ ახალი გამგეობის ხელში 1926/27 საანგარიშო წლის საერთო ბრუნვა 2.238.000 მანეთს უდრის, ხოლო გასასაღებლად დამზადებულ საქონლის ბრუნვა 252.000 მანეთს, მისაწოდებლად მომარაგებული საქონლის ბრუნვა 46.000 მანეთია.

ამხანაგობას იქვე თავის წევრებზე გაცემული მიზნობრივი სესხები მოკლე და გრძელ ვადიანი 41.000 მანეთის რაოდენობით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამხანაგობის წევრები დიდ იქტივობას იჩენ თავისუფალი თანხების შემოტანით ანაბაზში, რაც წლის განმავლობაში 52.000 მანეთს უდრის.

ამხანაგობამ დაამზადა 1926/27 საანგარიშო წელში 18.000 ფ. ყურძნიდან 16.000 ველრო ღვინო და მასთან 300.000⁰ არაყი და შესყიდულია წევრებისაგან, როგორც კოოპერატიულათ, აგრეთვე ნაღდათ 20.000 ველრო ღვინო. რაც შეეხება 1927/28 საანგარიშო წელს შესყიდულია ყურძნი 39.000 ფუთი, რომლისაგანაც დამზადებულია 18.000 ველრო გამიგრებული „სუსლო“

და სუფრის ღვინო 19.000 ვეტრო, არაუ კი დამზადებულია ჩვენივე ცენტრალური ბის ვაჭილან 100.000⁰ და შესყიდულია 140.000⁰.

მხანაგობამ მიაწოდა წევრებს წარსულ საანგარიშო წელში 4.000 ფ. შებიძანი, 1500 ფ. გოგირდი. 30 ცალი კურინის საკულეტი მანქანა, 120 ცალი კერძორელი და სხვადასხვა სისოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები.

მხანაგობას აქვს თავისი კუთვნილი ქონება, მოძრავი და უძრავი, როგორიც არის კონიკის ქრისანი, ორი მარანი თავისი მოწყობილობით და სხვადასხვა ლირებული 80.000 განეთის.

მხანაგობამ გაანალდა წევრთა შორის მესამე საგლეხო მომგებიანი სესხის ობლიგაციები 3.700 მან. მანვე დაუმზადა საქართველოს აბრეშუმის ტრესტს 900 ფუთი ნედლი პარკ საკომისიოთ.

არც ერთი ხელისუფლება წარსულში არ მისდგომია ჩვენი მშრომელი ვლებობის მეურნეობის აუკავება-აღორძინების საქმეს ისე რეალურით, როგორც ეს შესძლო არსებოւლმა საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელსაც მიზათ აქვს დასახული გლეხური ინდივიდუალურ მეურნეობის კოოპერატიულ წესებზე ვაღაყვანა.

დ ჩ.

ქუთაისის თეატრი.

გზები ქუთაისის თეატრის განვითარების.

ქუთაისი თეატრის ქალაქია.. აქ დაიწყო მესხიშვილმა, კ. მესხმა კუთიაშვილმა, ვ. აბაშიძემ თავისი კარიერა. ქუთაისის ძველმა თეატრმა თავისი ძუძუთი გაზარდა ყველა ქართული თეატრის ძველი ქურუმი. ყოველთვის, როცა თეატრი ასრულებდა თავის მოვალეობას ქუთაისის თეატრი იყო გამტარებელი იმ დღიდან პრინციპების, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ჩაწერილი სისხლის სასერიო და წინ მიყავს იგი პროგრესისაკენ. ქუთაისის თეატრი არამდეს არ ყოფილი მარტო მატარებელი ერთი რომელიმე ვიწრო ტენდენციური აზრების. მართალია აქ იდგმოდა „სამშობლო“ და „ღალატი“. მაგრამ იქვე იდგმოდა: მირბოს „უან და მადლენა“ (მესხიშვილის დროს) პალპტმანის: „ფეიჭები“ და „როზა ბერნდ“, გორეს „ნა ქე“, გედევანიშვილის: „მსხვერპლი“. და სხ. ქუთაისის თეატრს უნახავს ცუდი დღეები, მაგრამ იგრევ მომსწრება მზიანი დადგმების, მისი კედლები მოწმეა იღვროთვანების და გატაცების, რომელიც წითელი სასერიო უნდა იღინიშნოს მისი ისტორიის ფურცლებზე.. რამდენჯერ გადაფრიალებულა მისი ქანდარიდან ხალხით გაქცედილ დარბაზში სარევოლუციური ლოტენგებით ხასქე პროკლამაციები ანტრაკტების დროს.. რამდენი გული ახვირთებულა სენიდან მოსმენილ სარევოლუციურ ფრაზებით. რამდენს უტირია ბარიკადებზე დალუპულ ფანის ბედზე (1905 წ.) (პიესა „უან და მადლენა“ მირბოსი) რამდენი ცრემლი დაუღვრათ „ქრისტინეს“ ბედზე, რამდენი წყვევა შეუთვლიათ—რომის პატრიციელებისათვის გრავების დაღუპისთვის!

ქუთაისის თეატრი იყო შეკონვენციური თუმცა, უნდა ითქვას, რომ ხშირად ივი ემსახურებოდა და იმადლიერებდა სხვა წრეებსაც ნაკიონალისტური პიესებით. ამ დღეს ქუთაისის მაზრის არისტოკრატიი იგონებდა: „წარსულთა დროთა, დიდების დროთა“. ივონებდა და ცრემლებსა ლერიდა ლევან ხიმშიაშვილებზე, სიმონ ლეონიძეებზე, მაგრამ ამასაც ქონდა ერთგვარი აღმზრდელობითი მნიშვნელობა იმ მხრით, რომ ქართულ ფნას ისმენდა ქართველი ადამიანი..

სხეთი იყო ქართული თეატრის იდეური მნიშვნელობა ქუთაისში რევოლუციამდი..

ეს მნიშვნელობა ყოველ შემთხვევაში იდეოლოგიურად მაშინდელი, დროისთვის შეიძლება 80% , გავამართლოთ. სხვაა მისი მხატვრული სახეობა, ფორმალური მიღწევები... ქუთაისის თეატრი როგორც საერთო ყველა თეატრები იმ ხანაში—1900 წლ, იყო ერთი სახეობის ინდივიდუალური ხასიათის, რესულ-ფრანგული ტიპის:—შჩეკინის, სარა ბერნარის და სხ. რომელიც სკენაზე გამოხატავდენ პიროვნების განცდას, იყო ანსამბლი, კუნტრი სიმძიმისა აწვა ერთ შესხივობისათვის

თვის იწერებოდა მთელი პიესები, და ფიქრი ამ დროს მხატვრულ გრაფიკულ გვებზე ზედმეტი იყო და თან შეუძლებელიც. სკენაზე გამატონებულ გრაფიკულ მესხიშვილი, ვ. აბაშიძე, ნატო ლაგარელი და სხ. იყო ტრადიცია ერთიანოვნული თამაშის.. სხვანაირად არც შეიძლობოდა, ეპოქაც ასეთი იდგა, როცა იყო ლტოლვა ინდივიდუალურ განდიდებისკენ, როცა კარიერა აბრამავებდა ადამიანს და საკუთარი „მე“ ბატონობდა კოლეკტივზე, როცა ცხოვრებაშიც პიროვნებანი ბატონობდენ და სხვები უბრალო „პეშკები“ იყვნენ.. ამ დროს მხატვრულ მიღწევებზე ლაპარაკიც ძნელი გახდა, რეეისორი ამ დროს ტუვე იყო პიროვნების, მას არ ქონდა გასაჯანი, მას არ შეეძლო შექმნა რამესი, რადგან ის არ სჩანდა შემომქმედათ; მაგრამ ხდება გადატეხა—თეატრი გამოდის პიროვნული თეატრის ჩარჩოებიდან, იბადება რუსეთში ჯერ სამხატვრო თეატრი, შემდეგ კამერული თეატრი, რომელიც ახდენს გავლენას ქართულ თეატრზე და, რასაკვირველია, ქუთაისის თეატრზეც.. ის რაც ვერ შეძლო მესხიშვილმა, რადგან მესხიშვილი იყო შეილი ძველი თეატრის, შესაძლებელი შეიქმნა ქუთაისში მ. ქორელის რეეისორობის დროს 1910-11, როცა მან საფუძველი ჩაუყარა ახალ თეატრს, გამოაცოცხლა იგი, შექმნა ახალი ძალები, ისარგებლა ახალი მიღწევებით და მაშინ მთელი ქართული პრესა აალაპარაკა.

შეიძლება თამამდ ითქვას, რომ ქორელმა პირველად შექმნა ქართულ სკენაზე ანსამბლი—ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით და ქუთაისის თეატრი დამზადესა ნამდვილ თეატრს—და კრიზისიდან გამოიყვანა. ეს მდგომარეობა გაგრძელდა შემდეგ ხანებში. ქორელი შეიქმნა მიმდევარი რეალისტური თეატრის, და იმდენათ, რამდენათაც შესაძლებელი იყო—ანთოლუიელებდა ამას ქართულ სკენაზე... ქორელი ამ მხრით შემქმნელია ჩვენში ახალი თეატრალური ტრადიციების, რომელის მიმდევნათაც იგი ითვლება დღესაც.

ქორელის დადებითი მხარე არის ის, რომ იგი რეალისტურ ხაზებში მოგცემთ ზღაპრულ დრამებსაც, (მაგ.: „პანელე“) მაგრამ ხშირად ვარდება ნატურალიზმის გავლენის სფეროში და ამით კარგავს მხატვრულ სახეობას... („იმედის დაღუპვა“). მართალია ამ სეზონში (1927-28 წ.) ეტყობა კონსტრუქტიული გადახრები, მაგრამ ეს აღბად მხატვარ გოცირიძის ბრალია...

ქორელმა თავისი თავი გამოფიტა ქუთაისში 1917-19 წლ., როცა მან ძლიერ დასთან ახალი ვერაფერი ვერ მოგვცა, როცა მასი დადგმები ამ დროს იყო გამეორება ყველა იმ ხერხების, რომელიც მან აჩვენა საზოგადოებას 1910 წლს. ქუთაისის თეატრს დაუდგა კრიზისი და მე მგონია ეს კრიზისი იყო საერთო ხასიათის, ვინაიდან ტფილისში მდგომარეობა უარესი იყო. ტფილისში ხეირიანი დასიც არ იყო ამ ხანაში და როცა მაშინდებლმა განათლების მინისტრმა ნ. რამიშვილმა, ქუთაისის თეატრში ყოფნის დროს, დიდათ მოიწონა დასის შემადგენლობა, შესანიშნავი თამაში მსახიობთა და გამოსთვევა ის აზრი, რომ ტფილისში იმიტომ არ მიღის ხეირიანად საქმე, რომ საქართველოს შესანიშნავ და მძლავრ მსახიობთ ქუთაისში მოყურიათ თავიო,— თან დასძინა, რომ—ვინმე მოვიდეს უცხოელი და გვითხრას დამოუკიდებელმა სახელ-

მწიფომ გვიჩვენოს თავის დრამაო, ჩვენ ვერაფერს ვაჩვენებთო.. ალბად ის იყო მიზეზი, რომ სეზონის დამთავრების შემდეგ მაშინდელი საუკეთესო ტალანტების ტფილისს მიღწვის, შესდგა დასი, შეიყიდეს რესთველის თვატრი (მაშინ „Aptro“) მოძვიეულის რეესისტრები: ფალავა, ჯაბადარი და სხ. ლაპარაკობდენ ახალ დადგმებზე, მაგრამ იყო მხოლოდ თქმა..

ქუთაისში მოკვდა თვატრალური საქმე.. მაშინდელმა დრამატიულმა საზოგადოებამ, რომელიც ქუთაისში აწარმოებდა სეზონს 1920-21 წ. რეესისორიდ მოიწვია შალვა დადიანი. მან შეაგროვა გეორგ ხარისხოვანი მასხიობები, რომელთანაც დაიწყო სეზონი, მაგრამ სეზონი ჩაიშალა. საზოგადოება მიწვეული პირველ-ხარისხოვან მასხიობებს, რიგიან დადგმებს, თვატრის ჩამოშორდა. ამ მდგომარეობას მოუსწრო გასაბჭოებამ და ქუთაისში დასი გადავიდა სხვა მდგომარეობაში..

სახეცდრო კომუნიზმისა და ეკონომიკური ნეტევის დროს—უხადია, თვატრის საქმე, პირველ ხანებში. როგორც ყველგან, ისე საქართველოშიც დაცუმის პერიოდს განიცდიდა... ისეთ მდგომარეობაში იყო საქმე სანამ ტფილის ეწვეოდა გენიალური მარჯანიშვილი, რომელმაც თავისი ჯადოსნური ნიჭით მოახდინა მთელი გარდატეხა ქართულ თვატრში. მარჯანიშვილმა დაიპყრო ქართული თვატრი. მან აჩვენა ტფილისის საზოგადოებას და 1923 წელში მთელ საქართველოს თავისი ჯადო დადგმები, რომლითაც ქართული თვატრი აიყვანა ისეთ სიმაღლეზე, რომელზედაც იგი არ მდგარა არაოდას. მან გაწვრთნა ახალგაზრდა ნიჭიერი ძალები, შემოიტანა ახალი ტეხნიკა, მხატვრულ მიღწევების მხრით თვატრი გადააქცია სანახობათ და გაიტაცა საზოგადოება... როგორი იყო ამ დროს საქმე ქუთაისში? ქუთაისის თეტრი შეუდგა ახალი გზების ძებნას, იგი ხშირად უერთებდა ერთმანეთს ძველსა და ახალს, სცდილობდა საქმის სათანადო ღონებები და არც საქმით თანხები ქონდა... ამიტომ აქაური დადგმების უწროვლესობა ხალტურას ვერ სცილდებოდა. ეს ასახსნელიც არის, ვინაიდან თუ ტფილისი თითო წარმოდგენის მომზადების ხშირად თითო თვეს უნდებოდა, ქუთაისს ახალი პიესა ერთ კვირაში უნდა დაედგა. ისიც ახალგაზრდა ძალებით; ამას რაც უნდა კარგი რეესისორი ყოფილიყო ვერ შესძლებდა... ამიტომ მიუხედავათ დიდი სურვილებისა, თვატრი ქუთაისში მაინც კრიზისს განიცდიდა. ვერც ბარველმა, რომელსაც უთუოდ შეუძლია მუშაობა, და აქვს ამის უნარი, ვერც იმედაშვილმა ვერ შექმნა ის, რაც უნდოდა ქუთაისს... ხალხი დაიარებოდა ახალ დადგმებზე პირველად, მეორედ არავინ იყო, იმიტომ, რომ თვატრალური საქმე კოჭლობდა. ორიოდე სიტყვა 1926—27 წლის სეზონზე. ეს სეზონი განსაკუთრებული იყო. რეესისორებმა, ბარველმა, მანაგაძემ, გოძავშვილმა მოინდომეს არა ჩეულებრივი საქმის შექმნა, ჯადოსნებათ ვრცელდებოდა. მცირე თანხებით, ახალგაზრდა ძალებით დაიწყეს თვატრალური სეზონი. არაჩვეულყებრივი ჯადოსნური საქმე უნდა ჩაედინათ... საზოგადოებისათვის ყოველ კვირაში ახალი დადგმა უნდა მიეცათ... ეს იყო მეტად ძნელი, მაინც სცადეს... მაგრამ მიუხედავათ სამი ახალი დადგმის, რომლითაც

რეუსისორებმა დაამტკიცეს თავისი ფრიად თვალსაჩინო ნიჭი: „მეფე პრინცესული ნი“ ბარეველის, „გეთქილი“ მანაგაძის და „კონტრაბანდისტები“ გუშტმეტევის ლის იყო სრულიად ახალი ქუთაისისათვის. მით რეუსისორებმა შექმნეს აზრი, რომ ხელსაყრელ პირობებში ისინი შეძლებენ ახლის გაკეთებას. და ეს ახალი უთუოდ იყო მათ დადგმებში... მაგრამ ეს იყო და ეს... სხვა არ შეიქმნა ქუთაისის თეატრში და არ შეიქმნა იმ მიზეზით, რომელიც მე ზევით დავისახელე... დადგა 1927—28 წ. სეზონი. საჭირო იყო ძელი შეცდომების გამოსწორება. საჭირო იყო ახალი გზები და მათ ახალ გზებს უთუოდ ცხოვრება თვით წამოაყენებდა.

მაშინ, როცა მთლიანად საბჭოთა კავშირში გამაგრდა ეკონომიური და პოლიტიკური პოზიციები პროლეტარიატის, ქვეყანა წინ წავიდა სოციალისტურ აღმშენებლობისაკენ, ეს დაეტყო ჩვენს ქვეყანასაც და მით უმეტეს ქუთაისის, სადაც ჩაეყარა საფუძველი „რიონქეს“, სადაც დაიწყეს წყალსადენი, აშენებს საქსოვი ფაბრიკა, აშენებენ ბარიტის ქარხანას, აშენდა საგრძნოებ სადგური, აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა და მრ. სხ., სადაც გამოცუცხლდა ეკონომიური ცხოვრება და მან ფეხი მაგრად შედგა სოციალისტურ რელიგიზმი, ცხადია ქუთაისი დაიწყებდა ფიქრს მრავალ ახალი გაეკეთებია კულურულ ფრონტზე. ქუთაისი და მისი მაზრა, რომელსაც პირველი ადგილი უჭირავს მთელს საბჭოთა კავშირში განათლების მხრით, სადაც 42 ათასი მისწავლება, ცხადია კულტურულ მშენებლობას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული და საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავზე ამ მხრით ქუთაისმა შექმნა სარო კულტურული ფრონტი, რომელიც საგრძნობად გამაგრა. სწორედ ამიტომ ქუთაისის მაზრის აღმასკომის პრეზიდენტმა გაიღო საქმიად დიდი თანხა თეატრისათვის, და საქმის მეთაურად მოიწვია ქუთაისისათვის ცნობილი რეუსისრი — მიხ. ქორელი. შემადგენლობა დასის არის შეჩრეული. გულის ფანქალით მოელოდა ქუთაისის თეატრალური საზოგადოება სეზონის დაწყებას და საქმის რიგიანიდ დაყენებას. ახლა, როცა თითქმის, სეზონი მთავრდება, საჭიროა ორიოდე სიტყვის თქმა მასზე და მომავალი პრესენტიცების გათვალისწინება, საჭიროა მიუთითოთ თეატრის მუშაობის დამტკიცებითი და უარყოფითი მხარეებზე.

დავიწყოთ სერთო ხაზიდან — იდეოლოგიიდან.

მიუხედავთ ჩვენი რეპერტუარის ნაკლულოვანებისა, ამ მხრით იყო აღმული მტკიცე ხაზი და დადგმულ პიესების თითქმის 60%, გამართლებულად უნდა ჩაითვალოს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ: „მედეის“, „იმედის დალუპვას“, (მისტიური გადახრა) „ელენ ლეის“, „ქალთა ბრძოლას“, „ალლუმას“ და სხვ., რომელთა დადგმა გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს თანამედროვე საზოგადოებრივი თეალსაზრისით. მისაღებია „მგლები“, „სიგარეტი“, „სიყარული ძეწნებში“, „წმინდა ქურდი“ მზადდება ლავრენცის „რღვევა“ და სხ. ახლა ფორმალურ მიღწევებზე: ამ მხრით ქარელმა და მისმა თანარევისორებმა უთუოდ იმუშავეს. ქორელმა მუშათა თეატრში განცდილი მარტის შემდეგ თავი გმოისუანა „ობლომოვენიდან“ და გააშლევნა ფრთები თავის ნი-



ჭირ შემოქმედებას და დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ მონდომება და შემოქმედება უთუოდ აღსანიშნავია მისი მუშაობა და დადგმები: „მგლები“, სიგარეტი „წმინდა ქურდი“ და სხ. აღსანიშნავია მისი თანარევისორების დადგმებიც, განსაკუთრებით მ. გელოვანის „ელენ ლეი“, რომლის დადგმაში უთუოდ გამოიჩინა ნიჭი და ახალი თქვა. მისი „ელენ ლეი“ გაიშალა პისკატორისცებური მანერით და რომ პიესის სისუსტეს ხელი არ შეეშალა იყი უთუოდ ერთ სამაგალითო წარმოდგენათ ჩაითვლებოდა...

რეჟისორის მუშაობას ხელს უწყობს ნიჭიერი მხატვარი—მ. გოცირიძე, რომელმაც სავსებით გამოიყენა დადგმებში თავისი დეკორატიული შემოქმედება. ძელია რეჟისორისთვის ქუთაისის პირობებში მაღ-მაღლ ახალი პიესების მიცემა, ისიც თანმედროვე რეპერტუარის სიძუნწის დროს. ბევრი შემთხვევითი პიესები დაიდგა, დაიდგა სრულიად უცნობი ავტორების, მაშინ როცა შეიძლებოდა დაედგათ უფრო ცნობილი პიესები, რომელთაც შემოიარეს რუსეთის სკენები მაგ. გლადკოვის „ცემენტი“, ივანოვის „კიშკრიანი მატარებელი“, ტრენევის „ლიუბოვ იაროვაია“ და სხ. ამასთან ერთად ქართულ თეატრში არ დადგმულა ერთი ორიგინალური ქართული პიესა, რომელიც, აღნად, უნდა აიხსნას ჩვენი დრამატურგიის სიძუნწით...

კარგი კი იყო ქუთაისის თეატრს ამ მხრითაც გაეშალა ფრთები; უნდა აღინიშნოს, რომ ქორელის რეჟისორის ხელს უწყობს ის კადრი მსახიობებისა რომელიც სათანადო სიმაღლზე სდგას. ამ მხრით დასი უთუოდ პირველ ხარისხიანია.

ასეთი დღეს ქუთაისის თეატრი, იგი საუნჯეა ქუთაისის კულტურული სალაროსი, რომელიც ფეხზე დგას და მომავლისათვის კი საჭიროა შემდეგი:

1. გადაყენა მთელი დასის მომავალ სეზონში წლიურ ხარჯზე, რაც შეძლებას მისცემს ხარისხობრივად მისი დონის აწევას და გეგმიან მუშაობის ჩატარებას.

2. აქიდანვე მტკიცე რეპერტუარის შემუშავება იდეოლოგიურად და მხატვრულად მისაღები პიესებისას.

3. ხელი შეწყობა ქართულ, ორიგინალურ მხატრულად და იდეოლოგიურად მისაღებ პიესების შეძნისათვის.

4. გაუმჯობესება ქუთაისის თეატრის ტეხნიკურ შესაძლებლობათა: განათება, რეკვიზიტი და სხ.

ვიმედოვნებთ, რომ ქუთაისის მაზრის ხელისუფლების ორგანოები ხელს შეუწყობენ იმ ფრონტის ზედმეტათ გამაგრებას, რომელსაც ხელოვნება ეწოდება და პროლეტარიატისა და გლეხების ძალა-უფლება მტკიცე ნიადაგზე დააყენებს ქუთაისის თეატრს, რომელსაც აქვს უფლება იყოს—თუ პირველი არა, მეორე კერა მელპომენისი მთელს საჭარველოში...

იღ. აგაშიძე.

მუსიკის საქართველოს მასეპოზების გვიდი ტლის თავზე.

საჭიროა ვიცოდეთ, რომ მუსიკალური საქმე ფრიად განვითარდა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ.

ცარიშის დროს ტფილისის სამუსიკო სასწავლებელში შეეძლო სწავლი მხოლოდ მდიდართა შეილებს.

ორმოცდა ხუთი წლის განმავლობაში ტფილისის სამუსიკო სასწავლებელი დაასრულა მხოლოდ ექვსმა ქართველმა. სასწავლებელს ჰქონდა მარტო ადგილობრივი — ქ. ტფილისის ხასიათი და ემსახურებოდა ბურუჟაზიულ წრეს.

აი, ამ შიზების გამო, დაარსდა ქართული ფილარმონიული საზოგადოება, რომ დარიბ ხალხს და მშრომელს საშვალება მისცემოდა ხელმისაწდომ ფასებში მიეღო მუსიკალური სწავლი.

ამ საზოგადოებამ პირველ წლებში დიდი ენერგია გამოიჩინა, ნაყოფიერად ჩაატარა ხალხურ სიმღერების შეკრება-გამოცემა, ოპერების ქართულად თარგმნა და დადგმა, კონცერტების გამართვა, მუსიკალური სასწავლების გახსნა და სხ.

1918 წ. მოხდა რეორგანიზაცია ფილარმონიულ საზოგადოებისა და მის ნაცვლად დაარსდა ქართული სამუსიკო საზოგადოება.

ამ ახალშა საზოგადოებამ ჩაიბარა ხუთი როიალი, ხუთი ოთახი და 132 მოწაფე.

დაიწყო ახალშა გამგეობამ მუშაობა. შეიმუშავა წესდება, ფართო გეგმა, განიზრახა სამუსიკო სასწავლებლების დაარსება პროვინციებში და მუსიკალური ცოდნის გავრცელება მასებში და სხვა და სხვა.

მაგრამ ყოველივე ამის განსახორციელებლად ფული არ აღმოჩნდა. ქ. თელავში და ქ. ქუთაისში გახსნილი სამუსიკო სკოლები უნდა დახურულიყო უსახსრობის გამო.

ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო მუსიკალური საქმე 1921 წლიმდი.

მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა საქ. გასაბჭოების შემდეგ. საბჭოთა მთავრობამ მუსიკა გამოაცხადა სახელმწიფო საქმედ. შეიქმნა ქ. ტფილისში სამუსიკო სამწავლებელი (მე-II კონსერვატორია), რომელიც იყო მთელ საქართველოს სამუსიკო საპროცეგანდო სახლი.

მეორე კონსერვატორიას მისცა მთელი ოთხსართულიანი დიდი სახლი (ახლანდელი ფინანშემსახურის შენობა).

გააფართოვა საკონცერტო დარბაზი და სამუსიკო სასწავლებლები, როგორც ტფილისისა, აგრეთვე თელავის და ქუთაისის გადაიყვანა სახელმწიფო მომარაგებაზე. ვიტყვით მეტს: თანამშრომელთა ვალად დარჩენილი რამდენიმე თვის ჯამზირები, მთავრობამ დაარიგა და სხვა.

ფართოდ გაიხსნა მუსიკის კარგი მშრომელ მასისათვის და დაარსდა მეორე კონსერვატორიაში პროლეტართა კურსები 1.600 მოსწავლით. გაცხველდა მუსიკალური მუშაობა მთელ საქართველოში. გაიხსნა პროვინციებში სამუ-



სიკო სკოლები—როგორც მაგალითად: სიღნაღში, თელავში, ქუთაისში, გორიში, ტბილისში, თბილისში, ფოთსა და ახალ სენაკში.

ქ. ტფილისის ყველა რაიონში დაარსდა სახალხო მუზესასწავლებლები—მუზები, დაიწერა და დაიდგა საგრძნობი რიცხვი ორიგინალური ქართული ოპერების, შეიქმნა კადრი მომღერლებისა, მუსიკოსებისა, ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების სიმფონიური ორკესტრი და სხვა.

ერთი სიტყვით, ამ შეიდი წლის განმავლობაში გაკეთდა ის, რაც საქართველოს დღემდი არ უნახავს არც ერთ დროს.

6

Վրութիւն և Ցուցանշանական գրադարանի հանրական գրադարան

ფილ. გავაშლის.

თანამდებობის პროცესში.

მთ. ჯავახის დამამა.

—ჯავახის ბიზნესი—მთავარ გმირთა დახასიათებით.

მიხეილ ადამაშვილი (ჯავახიშვილი) დაიბადა¹⁾ 1880 წ. გლეხის ოჯახში, ბორჩალოში, ს. წერაქეში (შემდეგ ეს ოჯახი გადასახლდა მიხეილის მამის მიერვე გაშენებულ ს. სიონში, ისევ ბორჩ მაზ-ში). პირველი განათლება მი-იღო სოფ. პრივოლნოეში, ჯელალ-ოლღაში, შემდეგ წინამძღვარიანთ-კარში და ნიკიტინს სამეურნეო სკოლაში (ყირიმში). დედ-მამა რომ დაეხოცა (1900 წ.), საქართველოში დაბრუნდა და 1903 წელს იმსახურია ალავერდის სპილენძის ქარხანაში. მავე წელს სამსახურს თავი დაანება და ლიტერატურის გზას და-იდგა. 1906 წ-დის მუშაობდა ქართ. უკრ.-გაზ-ში, ბოლოს რედაქტორიად იყო კვირ. უკრალის „გლეხი“-სა. ლიტერატურულ მოლვაშვილისთვის სამართალში იქნა მიცემული, რის გამო მ. ად-ლი გარდინევეწა პარიზს, სადაც სორბონა-ში სწავლობდა ეკონომიკურ მეცნიერებას, ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიას, იქ ყოფნა უხვად გმილიუნი და მრავალი კვეყნა დაიძრა. 1909 წ. ისევ საქ-ში დაბრუნდა და სცხოვრობდა სხვისი პასპორტით. მახლობელი თა-ნამშრომელი იყო უკრალი „ერი“-სა და „საქ. მოამბე“-სი. 1910 წ. დააპა-ტიმრეს, მოუსავავს ერთი წელიწადი უხვე და ხუთი წლით გადასახლება. 1913 წ. ისევ საქ-ში დაბრუნდა. 1915 წ. რედაქტორი იყო იმ წელს დაარსებულ გაზ. „საქართველო“-სი. 1916—1918 წ. მსახურებდა წითელ ჯვარში. 1918—1921 წ.—ერთი დამარსებელთაგანი და დფიცანი საქ. სავაჭრო-სამრეწველო პალატი-სა. 1921—1923 წ. იყო ს. სახ. მეურ. უმ. საბ. ცენტ. საწარმოო განყოფი-ლების წევრათ. ამ ეტადი ცხოვრობს ტფილისში და ეწევა სალიტერატურო მუშაობას, თუმცა, სამწუხაოოთ, არა ისეთის ღირსებით, როგორსაც „ჯავახის ბიზნების“ ხანა აღნიშნავს.

2.

ჯავახიშვილის პირველი ნიმუშები დიდი მანძილითაა ჩვენგან დაცილე-ბული, მაგრამ უნდა ვიულდეთ, რომ მისი შემოქმედება შხოლოდ უკანასკნე-ლი შვიდი წლის მანძილზე გადაიშალა. მისი ზოგი ტიპის სახელწოდებამ სა-ზოგადო გარეულება მიიღო, მის გარშემო სჯა-ბაასი გაცხოველდა და მწე-რალი საერთოდ მეტად პოპულიარული შეიქნა.

ასედაც უნდა მომზდარიყო, რადგან ჯავახიშვილი ეკუთვნის იმ სალიტე-რატურო მიმართულებას, რომელიც კველაზე უფრო ობიექტური,—საზოგა-დოებრივია, იცავს ჰარმონიას ფორმასა და შინაარსს შორის, რაც აუცილებე-ლია ლიტერატურული ფაქტის ღირსებულების აღსანიშნავად, აქვს სიუჟეტი და იყის ამ სიუჟეტის ხელოვნურად განვითარება, იდეოლოგიურათ სწვდება

¹⁾ უკრ. „თვატრი და ცხოვრება“. 1923 წ.

საზოგადოების თითქმის ყოველ ფენას, და ახასიათებს სტილის ორიგინალობას⁴⁾ უკავშირის განსაკუთრებით საყურადღებოა, ეს უკანასკნელი ჩვენს კლასიკებთან შედარებით, რომელთა სტილი რაღაც მოღუნებულია სჩანს ჯავახიშვილის სტილთან) და აქვს ნიჭი შეისწავლოს „ცხოვრების რეალური პროცესები და ინდივიდთა მოქმედება ეპოქის მიხედვით“ (კ. მარქსი), განიცადოს გმირი—პიროვნება ყველა თვისებით, ჩადგეს მის მდგომარეობაში, ალაპარაკდეს მისი ენით, იცხოვროს მისი ცხოვრებით და სხვა. მისი, თითქმის ყველა ტიპი (უმთავრესად უარყოფითი ხასიათის) ცოცხალი და სინამდვილის შეიღილი.

ნათქვამი მართალია ჯავახიშვილის მთავარ ნაწარმოებთა შესახებ. მეოთხეულის ყურადღებას ამ ერთდღი, მხოლოდ ერთ მათგანზე შევაჩერებთ. ეს „ჯაყოს ხიზნები“-ა, რომლის მხევასი, მართალი ითქვას, ჯავახიშვილს ბევრი არა აქვს:

3.

მხატვრულ შემოქმედებას ვერავინ წაართმევს არსებით მოთხოვნილებას. ეს არის ეპოქის განცდა მისაწყდომ სიღრმემდი და, შემდეგ, ამ განცდის ვადარიანა მკითველ საზოგადოებაში მკეთრი სახეებით, და ცხოველი ასურათებით; — მის თვალწინ გაშლა, მისი ათრთოლება იმავე გრძნობებით და გაქანებით, რაც პოეტის არსებაში გამოქას— „ცხოვრების რეალურ პროცესებს“ ჩაითვარია.

მეორე მხრივ მართალია ისიც, რომ ყოველი შემოქმედი—რეალისტი ეპოქის განცდის სინამდვილეში, კონკრეტული სახეებით, რომელშიც მეღანდება თანადროულობა. მწერალი, სწავლობს ამ სახეებს, ამ სახეებში ინიშნავს საზოგადოების ეპოქის, თანდროულობის სიერთო თვისებებს, უფრო დამახასიათებელ ნიშნებს, რასაც აკეთებდა, რასაც განცდის და იმდენი პოეტური ძალა შესწევს, ხსნებული საერთო თვისებანი, ერთ პიროვნებაში მოათავსოს, მხატვრულის ღულაბით შეადულოს და ჩამოაყალიბოს. შეიძლება ითქვას რომ კონკრეტული სახეები ავტორისათვის იგივე, რაც მოდელი—პირველი ნიმუში მხატვრის თუ მოქანდაკისათვის: სურათი არ დაიხატება, ქანდაკება არ გამოიკვეთება მოდელის გარეშე, მაგრამ განა ყველამ არ ვიცით, რომ დაბატული სურათი და დამთავრებული ძეგლი იგივე მოდელი აღიარა არამედ იგი მხოლოდ მის „თანახმადაა“ დახატული და გამოკვეთილი?

ნათქვამი მართალია რეალისტ. შემოქმედებისათვის, რომელიც ზოგჯერ იმასაც გვიხატავს, რაც შესაძლებელია მოქმედ პირის მდგომარეობაში ამის მიხედვით ეძლევა აზრი თქმას, რომ რეალისტ. ტიპი სინამდვილეს გვისურათებს, ამა სინამდვილის, „რეალური პროცესების“ თანახმად შექმნილი, მისი კარნახით მოცემული და გამომზიურებული.

⁴⁾ მხოლოდ ერთის პირაბით: მა ჯავახიშვილი უნდა განთავისუფლდეს ხშირი განშეორებისა და ზედამხმარებელი სახელთა მიჯრით ხმარებისაგან. აბა რა საჭიროა ერთი რომელმე ცნების გამოსახულები რამდენიმე ზედამხმარებელი სახელი, რაც სსენიტულ ავტორს უთუოდ ახასიათებს? მაგრამ ამაზე დაწვრილებით ცალკე წერილში,



4.

ყოველივე ზემონათქვამის გახსენება აუცილებელია ჩვენი მე-XX საუკუნის
მწერლობის ერთ-ერთ საყურადღებო ნაწარმოების — „ჯაყოს ხიზნები“-ს გასა-
გებათ. ამ ნაწარმოებით ჯავახიშვილი კიდევ უფრო მეტათ გაიზარდა ჩვენს
თვალ წინ. „ტყისკაცია“ და „კვაჭი კვაჭიანტირამის“ შეძლევა¹⁾.

„ჯაყოს ხიზნები“ აალაპარაკა ჩვენი საზოგადოება.

გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა დაიწყო მის გარშემო და მაზედ
ხშირად ნერვიული, კილო აწეული შჯელობა დღესაც კიდევ არ შეწყვეტილა.

ჩანს ჯავახიშვილი საქმაოდ ჩაწვდა ცხოვრებას, თანადროულობას და მისი
გამომშეურებით ისეთი ოსტატობით, გაქრიახობითა და მხატვრული გატაცე-
ბით იგი თანადროულობა 1921—23 წ.წ. ჩვენ თვალწინ დააყენა, ჩვენ
გვაგრძნობია.

ცხოვრების მრავალფეროვანებაში მთავარი ხაზის შემჩნევა, იდამიანის სუ-
ლიერი ვითარების ცოდნა, მისი ათროლების, დაცემის, თუ ამაღლების ანა-
ლიზი, ცხოვრების სინამდვილით აზრაფორიქებულ პიროვნების შეფასება, მის
ტკივილებზე, ხშირათ სავსებით დაჩირქიანებულზე, საზიზღარზე, საშინელზე
ლაპარაკი დაშვიდებით, ხშირად ღიმ მოჩეული ირონითა და ჩუმი დაცინით,
რაც ფხასხმულ თქმაშია მოცემული — ია დამახასიათებელი ნიშნები ჯავახი-
შვილისა, როგორც მწერლის „ჯაყოს ხიზნების“ მიხედვით.

ნათქვამის საილიუსტრაციოთ შევეხოთ ნაწარმოების გმირებს.

4.

თეიმურაზ სევდისთავი.

თეიმურაზ სევდისთავი — „ჯაყოს ხიზნები“-ს მთავარი ტიპია ასეთი ტიპი
აუცილებელია ყოველ საზოგადოებაში მაშინ, როდესაც გარდატეხის ხანა დგება
და ეპოქა ეპოქასა — სცენის. ამ დროს ხდება ბრძოლა ახალსა და ძველს შორის.
ახალის წესები აუცილებლობის სიბასრით იქრება ცხოვრებაში. სისხლ დაცლილი,
ხავს მოდებულ და წარსულის იბით გამოიყოფული „რაც იყო“ ტროის დენაში
იჯერფლება ხოლმე. ადგილი აქვს ღირებულებათა გადაფასებას. შინაგანი
ბრძოლა თითეულ პიროვნებაშიც იწყება. ადვილი შესამჩნევია გაორებაც
პიროვნების. ვინ მას, ვინც გადაფასების პროცესს ვერ გაუძლებს: მანც წარ-
სულის ქიმეტებს გაედევნება და განახლების, ახალ ღირებულებათა ცხოველ-
მყოფელი მზის სხივებით არსებას ვერ გიოთბობს.

სწორედ ასე მოუვიდა თეიმურაზს.

სწორედ მან ვერ გაუძლო შინაგან ბრძოლას, ვერ შესძლო ღირებულე-
ბათა გადაფასება.

აქედან დაიწყო თეიმურაზის ტრალი-კომედია, რომელსაც ავტორი ძარღვებ
დაჭიმული მოთმინებით შლის შეშფოთებული მკითხველის წინაშე. თქვენც
მიიყვებით მწერალს თეიმურაზის ცხოვრების ლაბირინტში. ბნელია ეს ლაბი-

¹⁾ „მართლ აბდულაზ“-ს, „ყბაჩამ დაიგვიანა“ და „თეთრი საყელო“-ს არ გასახელებთ, რადგან
ესენი შემდეგაა გამოქვეყნებული.

რინტი, ბნელია ეს ცხოვრება, მაგრამ იგი სიბნელე მკაფიო სურათებაზე და რეალურად რება თქვენი შეგნების სინათლეზე, შეგუბებული ბრაზმორევა თანდათან დარღმაფერია დება და ხშირად მზადა ხართ ულონოდ ხელები დაუშვათ, ან და თემისურაზის სახით ღრმა ზიზღი გამოუყენადოთ ადამიანს, რომელიც სრულიად უპიროვნო გამხდრა, დაუკირგავს ლირსება, შეგნება და პატივისცემა ჯერ თავის თავის და შემდევ კი ყოველივე იმისა, რაც მის გარშემო ტრიალებს, მოქმედებს იღწვის და სკოცხლობს.

თემისურაზის თრია არსება: ცოცხალი და მკვდარი. ცოცხალი არსება ფიქრობს იცხოვროს, იმოქმედოს, იტიროს და გაიხაროს, დატებეს და შეწუხდეს, მოიღალოს და მოისვენოს, იმოლვწეოს, იყვეს ნაყოფიერი. მაგრამ ამ ცოცხალს, იმავე დროს, ეს მკვდარი არსება „ძალის მყრალ ლეშით“ აჰკიდებია და გასაქინს ორ აძლევს, წინ ეღლება, სისხლს სწუწნის და მიწად ანარცებს. სწორედ ამიტომ თემისურაზი ხშირად საკოდაი არის, შესაბალისი, როგორც მე-XX საუკუნის დონკიხოტი, რომელიც, ქარის წისქვილების ნაცვლად, თავის თავს ებრძევს ხოლმე.

თემისურაზის არსებაში უფრო მეტია და დიდი აღილი უქირავს თეორიას, რეფლექსიას. უკანასკნელის ანგარიშზე შემცირებულია მისი ნების-ყოფა, მას არა აქვს პრაქტიკული ცხოვრების ცოდნა¹⁾, მის მოთხოვნილებათა განცდა და ალლოს აღება. ეს უკანასკნელი თვისება სრულიად მომსპარია მასში და ამ მხრით ნამდვილ დამბლა დაცემულს მოგაბონებთ.

თემისურაზი ძველი დროის ინტელიგენტია, ძველ შეკლაში აღზრდილი, ძველის მეთოდებით განსწავლილი. თემისურაზ გონება უკითარებია მხოლოდ, თეორიების დიდი მარავით გამდიდრებულა და მოქმედიანობის პრინციპისათვის არც უკრადლება მოუქცევია და არც დასაჭიროებია მას. თემისურაზი ხალხს, ცხოვრებას იცნობს მხოლოდ კაბინეტიდან, წიგნებით და თეორიებით, რომელიც ძალზე ბევრი დაგროვილი თემისურაზ ხევისათვეის გონებაში.

სანამ კაბინეტური მოღვაწეობა ფასდებოდა, თემისურაზი „წიგნის ჭია და მისი მსხვერპლი“ სცოცხლობს კიდევ და ამ სიცოცხლეს აზრიც აქვს თოთქო, ნაყოფიერადაც ატარებს მას.—რედაქტორია, მოწინავებება სწერს, საზოგადოების თავჯდომარება, კვექილობს კიდეც—ერთი სიტყვით სწორედ ისე, როგორც შეშვენოდა ჩივენს ზოგ ძველს ინტელიგენტს ერთგამო დახურდავება, დაქუმაცება, კველგან და კველაფრის კეთება და არსად ღრმად გავლებული კვალი.

თემისურაზი ძალიან კვიინიც არის, ნიჭიერიც, მაგრამ ამ ნიჭის გამოყენებაში, კუუის მოხარებაში უფრო ბედოვლათობს.

ცხოვრებას მის ნამდვილ დენაში არ უკირდება და ადამიანის ზნეობრივ ავლა-დიდების იმავე წიგნებიდან ამოკითხული ფრაზების აღლითა ზომავს.

სინაული უფრო ეხერხება, ვინემ დროზე ზომების მიღება და მოქმედება; უკანასკნელს უფრო გაუტბის, ვინემ უშინაარსო, უსიცოცხლო და

¹⁾ ამ შერივ მის პრინტორისათ არის ილ ჩათვლება—ილ. პავჭავაძის „ოთარაპი ქრიფთან“. დან.

უმსგავსო ქადაგებასა და კუუის დარიგებას. საჭირო შემთხვევებში „პოლიტიკურული რი მოღვაწე“ და ნაშინდარის დიდათ გულკეთილი მემამულე, თავის შეკვეთისათვის ჯაყოს მოუსმენდა და, შემდეგ გაიცინებდა, ბრძანების ნაცვლად, ჯაყოს კვლავ დარიგებით გამერავდა, მერმე მარჯვნივ და მარცხნივ ნასწავლი კაცის რჩევის უხვად გააძნევდა, გლეხებს ათას იმედს მისუმდა, მიწების განაწილებას დაპირდებოდა და სინდის დამშვიდებული ისევ ტფილისისკენ მოაშურებდა, სადაც „მას ელოდა მეჭლე გაზეთი, კოტრი კაპერატივი, ძილმორეული კულტურული საზოგადოება, სახალხო სახლი, უფასო კურსები და ათასი უთავბოლო ჩინირედლობა, ფუსფუსი, ჩურჩული, ლაყბობა და ენის მოსაფხნი ამბავი“. გაზეთები მაინც ძალიან უყვარდა. „თუ დღეში ათხე ნაკლებს გაზეთს წაიკითხავდა ის დღე დღეთ არ მიაჩნდა... რწმენით უკიდურესა რადიკალი და ხალხსანი იყო. ქონდა ცოდნა ყველასი და ყველაფრის. ზრდილი, დინჯი პატიოსანი“.

ამ ეს ის ზრდილი და პატიოსანი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწე გახდდათ, რომელმაც იცოდა ბასი „სულანის ირრიგაციაზე, ინგლისის ეშმაკის კუნძულზე, გერმანელების დამკვიდრებას აფრიკაში, პორტ ჯიბუტის ოტებილ დავაზე, ზანზიბარის სულთანის გარდაცვალებაზე“ და სხვა მრავალ „მაღალი ხარისხის“ მატერიებზე მოგელაპარიკებოდათ თეიმურაზი, შეეძლო ახსნა-განმარტება და დალაგებით მოყვლა—და იმავე დროს, ამ უყვლად პატიოსანმა საზოგადო მოღვაწემ არ იცოდა, თუ რა ხდებოდა მის ირველივ, რა სტკივა, რა აწუხებს, რა უხარის იმ ხალხს, იმ მასის, რომელიც მის გარშემოტრიალებს, კხოვრობს, მოქმედებს და იღწვის. არ უწყოდა თეიმურაზმა, თუ რა აამუშავებს და როგორ, ან ვისი მეოხებით უნდა ძმუშავდეს მისი ქვეყნის ბუნებრივი და ეროვნული სიმღიდრე. ხალხის, მასის, სინამდვილესა და ცხოვრების ნიადაგს იყო მოკლებული თეიმურაზ ხევისთვაველი და ვინ არ იყის, რომ ასეთები ბევრი, და ძალიან ბევრი გვყავლენ ჩვენ წინეთ?

ჯაებიშვილმა ისინი, ერთხელ კიდევ გააცოცხლო ჩვენს წინ იმისთვის, რომ სამუდამოა დავიციშვილთ ამიერკიდნ.

თეიმურაზი რევოლუციონერობდა კიდეც, რასაკვირველია რამდენათაც ეს რევოლუციონორობა პრტყელ სიტყვებს, „ქადაგებას“ გულისხმობდა ერთ-დროს და პირადი სარგებლობის თვალსაზრისითაც გაიზომებოდა ხოლმე. ის დიდი სიხარულითაც კი შეხვდა რევოლუციას — „სიხარულით ცა დაეწია, სიცოცხლის ნატრა შეუსრულდა... დღე და ღმი ქუდმოგლეჯილი დარბოდა, წითელ ბაირაძის იქნევდა და ჩახლებილი ხმით გაჰკიოდა.

— თავისუფლებას გაუმარჯოს!.. ვაშა!.. რევოლუციას გაუმარჯოს! მაგრამ თეიმურაზმა მაღლე დაინახა, რომ მის მიერ ნანატრი რევოლუცია და თავისუფლება „მისი გასართობი და სათამაშო“ აღარ გამოდგა.

გვიდა ხანი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ენის ქავილისა, კაბინეტური სჯა ბაასის და უსისხლხორც არსებობის ხანა მოისპო. ქვეყანა

სოციალისტური აღმშენებლობის გზას დაადგა და სამეურნეო ცხოვრების განაყოფიერება დღის წესრიგში დადგა.

ცხოვრებამ მოითხოვა გაძლიერებული პრაქტიკული მუშაობა.

სწორედ ამ დროს „წიგნების ჩრჩილი, წიგნების კი“ ჩვენი თემურაზი დაიჩრდილა, დაიფუფქა, დაზიანდა და განივდა და იმიტომ, რომ იგი ვერ მივიღა ხალხთან, მშრომელ მასებთან.

მარტო სიტყვები, მარტო ქადაგება აღარ კმაროდა.

საჭირო იყო კოცხალი საქმე, მოღვაწეობა. თემურაზმა კი ეს ვერ შეძლო, — რადგანაც არ იყო ამისათვის მომზადებული და იმავე დროს „პოლიტიკური მოსაზრებამც“ ეხმარებოდა მას.

თემურაზი გიორიყა, „ამ ქვეყანამ და თემურაზმა თანდათან შეიძულეს და შეიზიზდეს ერთმანეთი“. თემურაზი „ოცდა თევეტეტი წლის მოხუცებული“ ბავშია პრაქტიკული საქმიანობით. როგორც ასეთმა, მან გაანიავა ერთ დროს თავის საჩრი-საბადებელი.

ეხლა კი მწიგნობარმა და საზოგადო მოღვაწემ ჯერ გაზეთის გამოცემა შეწყვიტა. შემდევ, სტიბენდიებზე აიღო ხელი, მერე მარგოს (თავის მეულლის) თვალთმარებალიტი გაყიდა და ბოლოს თავის მამაპაპეულ განძეულობას დაადგა თვალი, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ეს განძეულობა „მოეპარათ“. დარჩა თემურაზს მხოლოდ ის, რომ იგი „კვირაში ერთხელ წიგნებს აუხუცებული ხელით გადარჩევდა და საკომისიო მაღაზიას ჩალის ფასათ მიყიდდა“. აქვე ავტორის მიერ ცხოველი სურათებია მოცუმული იმისა, თუ „სულ აფორიაქებული და სასწაულის მომლოდნე“ თემურაზი როგორ ათვალიერებს („ხშირად ცრემლებსაც იწმენდს“) ათასს უცნობ თჯახიდნ გამოტანილ ნივთებს. ამ ნივთების მიხედვით „ის ხედავდა და კითხულობდა თავის საუთარ ბედის წიგნს“.

დამშართოთ ერთხელ დაქინებული თემურაზი თავბრუდმხვევი სიჩქარით წავიდა ფსკერისაკენ მის წუმპეში მოყო თავი, ნაკაცი შეიქნა, სრულიად დაკარგა პიროვნება და გათასხირდა. მან არ ინდომა ვითომდა „პოლიტიკური სიკვდილი“. ზნებრივად რომ მოკვდა ამის ანგარიშს აღარ უწევდა. ერთ დროს ლირებსაც ვაჭრობდა, დალალობდა ყოფილი მწიგნობარი.

არაფერმა უშველა.

დასასრულ იძულებული შეიქნა ქალაქიდან სოფლად გადასახლებულიყო და ხიზნათ თავის ნამოურაველ ჯაყო ჯივაშვილთან ეცხოვრნა იმ სასახლეში, რომელიც ჯაყომ ქურდობითა და მოტყულებით დაიპატრონა.

აქ თემურაზმა თვალნათლივ ნახა თავის სიკერპისა და უნიათობის საშინელი შედევი, რომლის აღწერაში ნაწარმოების ივტორი თითქო შეცბრალებლობასაც კი იჩქნს, იმდენათ ცხადათ არის ნაჩვენები და გულშემზარევად დახატული, თუ ცხოვრების აუცილებლობა როგორ უმორჩილებს პიროვნების ულმობელ კანონებს.

თემურაზი ჯაყო ჯივაშვილს ნოქრად დაუდგა, მაგრამ ვერ იხეირა, ვერ გაძლო, რაღაც სულში ქარიშხალის გრძნობა გაძლიერდა. გრძნობდა მის დაცემა გაშამებას, როს დაკარგა საუკეთესო და უკანასკნელი განია თავის ულ-

ზათო, გაკერპებული ყოფა-ცხოვრებით. ეს იყო მარგო, მისი მარგუში გახდა დათ. მარგო ნამოურავალმა დაისაუთოა. კიდევ ერთხელ გადაიტან უფლურებელი რაზმა სულის საძირკვლების შეჩერება, როდესაც მარგოსა და ჯაყოს ჯვარის წერას დაისწრო, ქორწილშიც მიიღო მონაწილეობა, დატოვა მარგოც და მერჩე წავიდა ვითომდა სიმართლის საძებრად, რომელიც, როგორც თეიმურაზი არის დარწმუნებული „ურმით დასდევს ბოროტებას“. წავიდა ნაკაცარი იმისთვის, რომ „ან ალარ დაბრუნდეს ან გამარჯვებული დაბრუნდეს“.

განა აქც მისი ქიმერებისადმი დამორჩილება, მისი დონკიხოტობა არა სჩანს უნიადაგო თეიმურაზმა ვერ აუღო ალღო დროს, ცხოვრებას, ვერ გაიგო რომ მარტოოდენ პიროვნებას „თუნდაც ყოფილ მწიგნობარს, პოლიტიკურსა და საზოგადო მოღვაწეს“ არაფრის მიღწევა არ შეუძლია მარტოოდენ თავის ძალებზე დაყრდნობით.

მალე დარწმუნდა ამაში და რამდენიმე ხნის შემდეგ, ოთხოც წლის მოხუცივით დაბრებული თეიმურაზ ხევისთვი, დაგლეჯილ ტნსა ტმელითა და ნახევრად ფერშიშველი, კვლავ ნაშინდარში მოვიდა.

მაგრამ რა ნახა?

სიმართლე დაწეროდა ბოროტებას. ჯაყოსთვის, რომელიც, მრავალ უკანონობას ჩადიოდა, პასუხი მოეთხოვა ხელისუფლებას და იგი კალაბოტში ჩაეყენებია. მარგოს მიერ გაპარსული ჯაყო კვლავ ბანჯვლიან დათვს დამსგავსებოდა. შეცვლილიყო კველაფერი, მაგრამ ვისით?... აუცილებლობამ თავისი გიორიანა: „რამდენიმე დღის შემდეგ თეიმურაზი თავისი მამა-პაპეულ ნასახლარში გადასახლდა“. „დილიდან სალამომდი კონკრეტურატივში ტრიალებს და მუშტარს ემსახურება. ზოგჯერ გლეხებს ესაუბრება, ზოგჯერ ეზოში მოწაფეებთან ბაასობს“ და სხვა.

დაწენარდა თეიმურაზი. პრაქტიკას გაურბოდა, ქიმერებს ეთამაშებოდა, დამარცხდა. დამარცხებაში მყოფმა ნახა სიმართლე, ბოროტებას დაეწია. ხან მარგოზე ოცნებობს. ხშირად კი ნუგეშცემული თეიმურაზი ფანჯრიდან იხედება:

— ალარ ჩანს ძალის ძორი.

— არც სიმყრალე მოუდის მისგან იმედმოცემულ ნაკაცარს.

ჯაყო ჯაყოშვილი.

მ. ჯაყოშვილმა არ დაიშურა ნიჭი და გამოცდილება, რომ ჯაყოს ტიპიც ცხოვლად დაესურათებია და სრულყოფილ ექნა. აკვირდებით ჯაყოს, თვალ-ყურს ადევნებთ მის მოქმედებას, მის სიტყვებს, მისი ყალბი სიმაგიოთ აღსასე— „მაშ, მაშა, ასევ იცის ჯაყომა“-ს და ეჭვი გებარებათ: ნუთუ ეს სინამდვილეა?

მაგრამ ცოტა ხნის დაფიქრება საჭირო, და გაგანსენდებათ რომ ჯაყოსთანა „ბალშენიკები“ ბევრი იყვნენ იმ დროს. როდესაც ხელისუფლება ახლად შემოსული იყო ჩვენში და იგი ჯერ პოზიციებს ამაგრებდა, სამეურნეო აღმშენებლობას იწყებდა მხოლოდ. ჯაყო ძლიერი პიროვნებაა (რაც განსაუთრე-

ბით თემურაზის ვაინაჩრობის ჩრდილზე ჩანს), მაგრამ ველური; ჯაყოს საქართველო
აინაკეთა ადამიანის სტიქია, რომელსაც კულტურის „ლაგამი“ არ ამოსტრდება. ჯაყო
ცხოვრების თვით შუაღულში ტრიალებს, მიწაზე ორივე ფეხით გაბაჯგა-
ჯებით დგას და თავი დამბალი თეორიებით სავსე არ აქვს.

მან იცის შეგუება, მაგრამ არა იმიტომ, რომ ეს რიმ პრინციპიდან გა-
მოდიოდეს, არა საზოგადოებრივ ან სახალხო ინტერესებისათვის, არამედ იმი-
ტომ, რომ თითონ იყოს კაყაყოფილი, თითონ „გაძლენ“. ასებითი ჯაყოში—
ცბიერებაა, და ამ აზრით ივი, თუ გნებავთ, კეკიანიცაა და გამჭრიახიც.

სანამ ქორდანის მთავრობა მას უჭერს მხარს და გაიძახს:

„გაგიმარჯოს ქორდანის მთავრობას—საწყალი ხალხი მიწა მოვეცი“. დროზე ჯაყო ხერხიანია, დროზე თავს მოიკატუნებს, თუ საჭირო იქნა
გულკეთილობასაც გამოიჩენს და ამ გზით ხელთ ჩაიგდებს, დაეპატრონება თე-
მურაზის ადგილ მამულს და კარ-მიდამოს, „როგორც უპატრონო ქონებისა და
თვისი ნაოფლარის კანონიერი მემკვიდრე“.

ხშირად ჯაყო მუქარას მიმართავს, ძალას გამოიჩენს, იარაღს არაჩეულებს
და ლელო დაშინებით გააქვს. თავისიანებიც თანა ყავს—ქეშელა, გიბა, ტურა,
მეშთა და ბრინჯა, „რომლებიც მის გაბერილ მადას იარაღთ ადასტურებენ“.

ჯაყოს ცხოვრების გეგმა არ შეცვლილი მერეც, როდესაც „ვარდის ფე-
რი საქართველო გაშუქდა და გაშითლდა“, ახალ მთავრობას უმტკიცებდა ჯა-
ყო, რომ „ქართველი ხალხი ძალიან რევალცია ხალხია—შენი წირი მე“ იძახდა
იყი. ღრეულით და ათასაზი ხრიებით ჯაყო სოფლისთვის შეღავათს მიიღებ-
და და შემდევ სოფლისაგან თვითონ თხოვლობდა სამაგიეროს. ასეთი გზით
ჯაყო გახდა ახალი დროის კულაკი—რომელიც მღეროდა: „ღმერთმა გაკურ-
თხოს ბალშევიკები, აღიარ გინდა ჯაყოსა ბურჟუაზიის მთავრობა“.

ჯაყო გატატჩიდა, გაიძერა, გამეტიჩარდა, „გააზნაურდა“ და ეს ბინძური
მხეცი თითქმ მბრძანებელი „შეიქნა ყველასი და ყველაფრისი. თავის წინანდე-
ლი ბატონები მიიწვია „თავის სახლში“. თემურაზს—აჩრდილად ქცეულ თე-
მურაზის გარეოს დაეპატრონა, უკანასკნელის სიტყვით ტრნსაცმელიც გამოი-
ცვალა და გასულფთვდა. თითონ თემურაზი კი მასხურიდ გაიხდა; სასაცილო-
დაც აიღო და ყოველივე ზნებრივ შეგნებას მოკლებული ყოფილი „მწიგნო-
ბარისა“ და მისა მეუღლის პიროვნება ფეხქვეშ გათელა, თავის სასიმოთ გაი-
ხდა და საკუთარი სარგებლობის წყაროთ შექნა.

6.

ყოველი ასეთი მოქმედების დროს ჯაყო ერთი მოსაზრებით ხელმძღვა-
ნელობს, რაც ავტორის მიერ ცხოვლად არის ნაჩვენები ჯაყოს დასურათებაში
და სავსებით ლოგიურია ამ ახალი ყაიდის კულაკის არსებაში.

სახელდობრი ის, რომ თითქმ მას უფლება აქვს ყოველივე იმისა, რასაც
სჩადის. მისთვის, თითქმ ყველაფერი არის ნებადართული, რასაც მისი ბინძუ-
რი გული განიზრახავს და ზღარბივით აჩერილი თავი მოიფიქრებს.

ნებადართული გონია მას ის, რომ მარგოს თავის დაუშრეტეცუქ ცნებების საგნათ გაიხდის, ნება დართულად მიაჩნია, რომ საზიზღარი დაცინჭიდა მარგოს თოს ხშირად, ნაკაცა თეიმურაზი—და მას თავის ერთ-ერთი, მასხურის—ნათესავის სახელი—ბრინჯა უწოდოს. ჯაყოს გონია, რომ მას რევოლუციამ მისუა ცველაფერი—მარგოს ცოლობაც, თეიმურაზის „ნოქობაც“, მისი აღგილ-მამულის დაპატრიონების ნებართვა და გლეხებისადმი უდიერი მოპყრობაც, რაც მის გარშემო უქმაყოფილებას ანვითარებს.

იმავე დროს იმდენათ გონება დაბნელებული და გაუგნებელია, რომ სოციალ აღმშენებლობის უაღრესად მნიშვნელოვან დაწესებულებას—კომპრატიკის უარყოფს და გაიძახის: „ქიორტუ კოპრატიკა“!

მაგრამ მოტყვილდა ჯაყო, მოტყვილდა საზინლად და ის სტრიქონები, სადაც ჯაყოს დამარტებაზეა ლაპარაკი, ნაწირმოების უმნიშვნელოვანეს აღილებათ უნდა ჩაითვალოს.

აღმშენებლობითი სარმიელზე დაწყებულმა მუშაობამ ცეცხლის ტალღათ დაკურა ჯაყოს: რევოლუციონური ხელისუფლების კინოიერება მისწვდა მას და სანამ თეიმურაზი მოგზაურობდა „ჯაყოსთვის თეიმურაზის ნასახლარი და ბალ-ცვნახიც ჩამოერთმიათ, დარბაზის ზემო სართული შეკლიად გადაექციათ, ხოლო ქვემო სართულში კომპრატიკი მოეთვესებით“ ჯაყოსაგან ცველაფერი წაიღეს, რაც ხალხის კუთვნილება იყო და იმავე ხალხის სასახლებლოდ გადააქციეს და ორი ბინძური მხეცის გასანებიერებლიად, რომელიც ამის გამო ხშირად ასე აჭიხვინდება: „სახლი წაგართვეს და შეკლიად გაგიკეთეს, რა ახრად გინდა ჯაყოსა შეკლიო?“—და ვინ იჯობა ჯაყოს, ვისი მეონებით მოხდა მისი დამარტება—მისი კალაპოტში ჩაყენდა და აღგილის მიჩენა? თემმა—კოლექტივიმა, თვით სოფელმა,—ნინიკამ, ილამ, თომამ, თედომ და თანდილამ, რომლებსაც იგი ასეთი ზიზლით იხსენიებს ხშირად და სამაგიეროს გადახდის პირდება.

პარტ სუვისთავისა.

ჩვენი მწერლობა არ არის მდიდარი ქართველ ქალის ტიპებით.

მ. ჯავახიშვილმა, „ჯაყოს ხიზნებში“ დასურათებული მარგალიტა-მარგო ყაფლანიშვილის სახით მოინდომა ამ დანაკლისის შევსება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ჯავახიშვილი დამარტებდა ამ თავის განზრახვაში და საქართველოში, ქართველ ლიტერატურაში ქართველი ქალის ტიპის საკითხი გადაუქრედი რჩება.

მ. ჯავახიშვილის მარგო უფრო ქალის ზოგადი ტიპია და ქართველი ქალის პიროვნება ძალიან მკრთალად არის მასში მოცემული.

მართლაც, ნუთუ ქართველი ქალი, როგორიცაა მარგო, მე-XX საუკუნეში, საბოთა ხელისუფლების დროს, მხოლოდ ჯაყოსებური კულაკების ცოლი უნდა შეიქნეს, მის მხეცურ ვნებას უნდა აკმაყოფილებდეს და სხვა არაფერი? სინამდვილე სხვას ლაპარაკობს. ამ სინამდვილის თვალსაზრისით თუ განვიხილავთ ვნახავთ,

რომ მარგოში ქართველი ქალის დასურათებულია მხოლოდ გარეგნობაზე და დაუგდოთ ყური: „მას ეცა სუფთა და სადა ტანისამოსი, ქონდა პიროვნებით და ბუნებრივი მიხვრა-მოხვრა, თავდაცერილი სიტყვა პასუხი, ზომიერი თავმოყვარეობა, მოკრძალებული მორცხობა, თავიდან ფეხებამდი მიტანებული ნა-ტიფი გემოვნება და ცულლური ოზავად დასანახვი არშიყობა თვალებით.

„კვერიანი კი არის მარგო, დაკვირვებული და გამჭრიახი. მაგალითად გაეცნობა და დაუჯახლოვდება თეიმურაზის იმიტომ, რომ მის წერილებს კითხულობს და მოსწონს ისინი. არის დრო, რომ „თეიმურაზის შუქით და სახელით იკვებება, მასზე ლოცულობს, მიხვდება, რომ უსიცოცხლო თეორიების „ქადაგის“ და კაბინეტიზმის დრო წავიდა და ურისხდება თეიმურაზის, რომელმაც „ნაცარერქიაობა“ გამოიჩინა და მიუხედავთ მარგოსაგან არა ერთგზით გაფრთხილებისა არ წავიდა და ჯაყოს მიერ მოპარული განძეულობა არ ჩიმოიტანა.

ამის გამო იყო სწორედ, რომ მარგომ ბრაზით მიახალა თეიმურაზის უკანასკნელისათვის სავსებით დამხასიათებელი სიტყვები: „მერმე სამი დღით კამათი ვერ შესწყვიტე? შენ, როგორც გატყობ, არც კი გესმის დანაკარგის ფასი. ყოველთვის ბერლევლათი იყავი და შემდეგშიაც ასეთი დარჩები“.

ამასთან ერთად აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მარგო ურჩევს თავის თეიმურაზის იშოვოს სამსახური, რაღაც მარგომ ძალიან კარგიდ იცის, რომ თეიმურაზი დაიღუპება, — დაიღუპება რაღაც ბრძოლასა და დამოუკიდებელ შემოქმედების არა ჩვეული; დარწმუნებულია მარგო, რომ თეიმურაზის „ხარჯვა უფრო შეუძლია და შეუნა კი მისი საქმე არ არის“. მიუხედავდა ყოველივე ამისა, მარგო მაინც ვნების ამყოლია (და მე ვიტყოდი ოტრო ვეინინერის ტიპის) უფრო შეტყიობას მოითხოვს და აღერის.

გაისხენეთ აბა ის ადგილები, როდესაც მარგო გაზეთებს წაართმევს ხოლმე თეიმურაზის და, „ბავშვივით აცელებული“ ერტყვის: „გეყოფა კითხვა, აბა, გამოფხილდი, შემომხედე; განა მე შენს გაზეთებს არა ვჯობიერა“.

ხშირად მარგო იძლერებდა კიდეც, როიალზე დაუკრავდა, იცემვებდა, „ვნებით დნებოდა“, „ეინით გიდებოდა, თეიმურაზის ენვერდა“. ეს უკანასკნელი კი მაინც თავისის გაიძიხოდა: „მარგო მომეცი გაზეთი“. მართალია, ასეთი თეიმურაზი, მაგრამ, მაინც სისუსტეთ უნდა ჩაეთვალოს მარგოს, რომ იგი ასე ადვილად დაემორჩილო ნიშინდარის ველურის — თეიმურაზის ნამოურავალს — ჯაყო ჯიფაშეილს. კიდევ მეტი. მარგო იძლენად სუსტი, იძლენად უილაჯოა, რომ პირდაპირ თავის მხრით ვერ ბედავს პროტესტის განხორციელებას, ჩერით ქცეულ თეიმურაზის მიმართ; მხოლოდ ჯაყოს „აქტიობას“, ჯაყოს „სიძლიერეს“ აედევნება.

ის კი არა და მარგოს (ისიც არსებულ პირობებში) თითონ უნდა მოეხდინა გარდაქმნა თეიმურაზის პიროვნებაში, თითონ უნდა გაეტაცნა იგი, თავისი ცოცხალი მაგალითთა და მჩქეფარე საქმიანობით, საზოგადოებრივ ასპარეზზე; ამის კი მას შეძლებაც ქონდა და სრული შესაძლებლობაც — პირიქით, მარგომ დაიგროვა რაღაც შხამი გულში და მერმე გითომდა შური იძია მით, რომ უბრალოთ თუ ვიტყვით უდალატა თეიმურაზის, უკანასკნელი პიროვნებათ აღარ მიინია,

მას ლაპარაკის დროს ზურგს შეაქცევდა ხშირად და „ჯაყოს მკლია შეატენის ფაუვებოდა“. მასთან ეკლესიაში დადგა და „ეროვნულება“ შეფიცა, წვიმით შექმულ თავის სატრიტოს ჯაყოს თბილვერი გააპარსია და ტანსაცმელი გამოაცვლევინა.

უკველივე ამის შემდეგ სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია ჩენ წუწუნი და ყვედრება თეიმურაზისადმი: — „შენ დამლუბე მე“ და სხვა.

არა, მარგო თეიმურაზმა კი არა და თავის სისუსტემ დალუპა.

რომ მეტი ანგარიში გაეწია არსებული პირობებისათვის და ნაკლებ აყოლდა ვნებას — თავის თავსაც გაღირენდა ფეხქვეშ გათელისაგან ჯაყოს მხრით, რომელმაც მას საარსებო ძალებისაგან დაწურვის შემდეგ ტომრები აკიდა და თავის ცოლების ძველ დავთარში ჩაწერა, და, შეიძლება, თეიმურაზსაც იხსნიდა დამამკირებელი ყოფაცხოვრებისაგან.

დანარჩენ პირთაგან ნაწარმოებში აღსანიშნავია ივანე — კაცი შრომის მოყვარე, უნარის მქონე, ენერგიული, კუთა დამჯდარი, გამჭრიახი და პრაქტიკულით მოქმედი. იგი დაემორჩილა აუცილებლობას, ახალის თაყვანის მცემი შეიქნა და ძველი, თავის ანაფორასთან ერთად, წარსულის სიდამბლეს გააყოლა.

ვ. სტოელი.

II. ნიმუშდაიგვიღვ „ქართული ენის მრავალებელი“. სახალხო 1927 წ.

ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა იქნა ქართული ენის შესწოვლის. სათანადა ყურადღებაც ექცევა მას, როგორც სახელმწიფო ებრივ ენას, რომელზედაც ისწოვლება ყველა საგანი სკოლებში და მიმდინარეობს საქმის წარმოება რეპსუბლიკის ორგანიზაციებში. სამწუხაოთ, ამავე დროს, ერთ მეტად სავალალო გარემოებასთან გვაქვს საქმე. ჩვენს ენაში არაა მკაფიოდ ჩამოყალიბებული, საერთო და ყველასათვის სავალდებულო წერის ფორმები. ვის, როგორც სურს, ისე სწერს. მთლიანს, გამართულს ორთოგრაფიასა და უმეტესად სტილს, სწორ—ენას ვერ აღმოჩენთ ვერც ერთ ჩვენს მკველევარს, ვერც ერთ მეცნიერს და, წარმოიდგინეთ, ხშირად ქართული ენის მასწავლებელისაც კი. თავი დავანებოთ სადაც ფრთხებს: შეთანხმებული არა ვართ თვით ელემენტარული კანონების შესახებაც. ამს თან ერთვის ის გარემოება, რომ არა გვყავს მწერალი, რომლის ენაც სანიმუშოდ გამოდგეს, არა გვყავს ენის კლასიკი. ამავე დროს მათი ნაწერები ქართული ენის ქრესტომატიკებში ხშირად უცვლელად შეაქვთ.

ყველივე ზემოაღნიშნული უნდა ჩაითვალოს დაბრკოლებათ ქართული ენის შესწავლის საქმეში. იგულისხმება ამის შემდეგ, მოსალოცია პირდაპირ ისეთი სახელმძღვანელოს გამოცემა, რომელიც მოსწავლე ახალგაზრდობას ქართული ენის შესწავლას გაუადვილებს, ამ საქმის დაბრკოლებათა დაძლევაში დაეხმარება.

საუბედუროთ, ეს არ ითქმის ი. ნიკოლეშვილის ავტორობით გამოცემული „ქართული ენის გრამატიკას“ შესახებ. (შეტანილია განათ. კომისარიატის სახელმძღვანელოთა სიაში მე-VI დ VII ჯგუფ. იხ. „კომუნისტი“ № 211, 17/IX).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გაადვილების მაგიერ ხსნებული წიგნი უფრო გაართულებს ენის შესწავლას, რადგან მას ბევრი ნაკლი იქნა.

1. სახელმძღვანელოში მასალა სრულიადაც არაა დალაგებული კონცენტრიულად, რასაც კომისარიატის პროგრამა მოითხოვს და ისტრუქტორთა სახელმძღვანელო დებულებითა ნაკარნახევი. (კონცენტრი კი არა—სადაც ისაა საზოგადოთ რომელი წესითა მასალა განრიცებული ამ წიგნში)?

2. ეტიმოლოგიურ ნაწილში ბრუნვათ თანრიგი შეცვლილია და ბევრი ფორმა მოყვანილი აუხსენლად. მაგ. სახელობით ბრუნვას მისდევს მოქმედებითი; წოდებითი, კი არა. რატომ?—არ ვიცით.

ავტორის აზრით (იხ. გვ. 15) ასო რ—საუბრის დროს იკარგება; წერის დროს კი უნდა შევინარჩუნოთ. რატომ, რომელი კანონის ძალით?—პასუხი არაა. ზრდა, თუ ზრდა? გაზრდა, თუ გაზრდა?

3. ნახმარის აუარებელი უცხო და შვიდწლედის მოწაფეთათვის გაუგებარი, ძნელად შესათვისებელი ტერმინი. მაგ. რელუქცია, ასიმილაცია, აბიექტიური, სუბიექტიური, კონცენტრივი I, II, III, დისიმილაცია, პრე-

ვერბი აბსოლუტური ფორმა, ოცნიატიური, სათავისო, ქცევები, საჭირო და სხვადასხვა.

4. ბევრი, გრძელტიკის სანიშუშო-სავარჯიშო მასალა, სრულიად არა ნა-
 გულისხმევი მე VI, თუ მე-VII ჯუფის პროგრამით (მაგ. „მგელი და წერო“, „ლამური“, „დაოვის წვეულება“, „გაზაფხული“, ღრ. პოემა „ღედა და შეილი“, „განდევგილი“ ს. შესავალი, ილ. ჟმუშა“ (არა მე VI ჯგ.) „ვირი და ვეფხი“—
 სულხანის, „ჩრდილი“-დან— „შრომის სუფევა მოვა მაშინა“, „პატარა მათხო-
 ვარი“ და სხვა.

5. ბევრი განმარტება— კანონი გაუფებარია, ორ სართულიანი პერიოდითაა
 გამოთქმული და მოწაფისათვის ძნელია გასაგები და შესათვისებელია მაგ..
 „რედუქცია შეეხება ფუძისეულ ხმოვნებს და გამოწვეულია სუფიქსების
 გაფლენით და იმაში მდგომარეობს, რომ უკეთუ სუფიქსი ხმოვნით იწ-
 ყება და, მაშასადამე, ღიაა თავში, ამ შემთხვევაში იგი წინამაგალ ფუძი-
 სეულ თანხმოვანს მიიკრავს (!?) და მის წინამდლოლ ხმოვანს ამოაგდებს“. (იხ. მე-20 გვ.) სწორედ რომ „ხელი-ხელ საგოგმანები“ განმარტებაა და ასე-
 თი რამდენ ადგილის!— ყველას ხომ ვერ ამოვწერ ..

6. პირდაპირ დაუშვებელია სახელი არსებითის განმარტებიდან გამომდი-
 ნარე დასკვნა მოყვანილი მაგალითების მიხედვით. იქ ნათევამია: „არსებითი
 სახელი მიუგებს კითხვებზე¹⁾ ვინ? რა? კითხვა ვინ?²⁾ იხმარება აღამიანისა და,
 საზოგადოლ³⁾ გონიერი არსების შესახებ ვინ?— კაცი, ქალი, ბავში,
 ღმერთი, ანგელოზი, ეშმაკი“ (იხ. გვ. მე-80, მე-10 სტრიქ. ზევიდან).

მაშ— დასკვნა ნათელია: არსებობს ღმერთი, ეშმაკი, ანგელოზი და ისიც
 გონიერულობის იარღიერით! გაუგებარია...

ერთისიტყვით, ვფიქრობთ, რომ თავის მიზანს ეს წიგნი ვერ შეასრულებს.

1) თუ შეკითხვებზე—შეკითხვებს?

2) თუ შეკითხვა ვინ?

3) თუ საზოგადოლ?

ს ა რ ჩ ვ 3 0 .

23.

1.	ორი დიდი დღესასწაული	5—9
2.	ორეზელაშვილი — ს. ს. რ. კ. ინდუსტრ. დ. კულტ. რევოლუციის მოცანები	10—28
3.	სევ. მინდაძე — საქართველოს გასაბჭოების შეიდი წლის თავი	29—37
1.		
4.	ანაზარლი — საქართველოს შეიდი წლის თავზე	41—43
5.	ბესოშვილი — ელ-ძახილი (ოდა-პოემა)	43—51
6.	შ. ფოფხაძე — გრიგალი	52
7.	სამტრედიელი — ქაშა ათ წელს	53
8.	ა. კიჩუა — წითელ მხედრებს	54
9.	მუშა ბურჯანაძე — სალამი წითელ ორმიან	55
10.	ანაზარლი — ქართულ წითელ ლაშქარს	56
11.	კ. თავდებრიძე — შეიდი წლის თავზე	57
12.	შაჰრიუს ჩარქვიანი — რიონცესს!	58—61
2.		
13.	ლ. ბზვანელი — სურათები	65—67
14.	ჯ. ჯორჯიანა — გარდატება	68—70
15.	დ. ჩიანელი — გიონ-დარანა	71—85
3.		
16.	მ. ფრუნზე — ლეიინი და წითელი ორმია.	89—94
17.	ა. კ. — მტკიცედ ს. ს. რ. კ. თავდაცვის სადარაჯოზე!	95—97
18.	დ. მელაძე — საქართ. საბჭ. სოც. რესპ. შეიარაღებული ძალები	98—106
19.	დ. დიდიძე — წითელი ორმია სოც. მშენებლობის სადარაჯოზე	107—111
20.	ს. გეგია — ქულტურულ მუშაობის ფრონტზე	112—116
4.		
21.	ს. მამაჯანოვი — სამრეწველო მშენებლობა საქართველოში გასაბჭოების შეიდი წლის თავზე	119—122
22.	ა. გოლეთიანი — წერილი სოფელზე	123—127
23.	მ. კ. — საქართ. გასაბჭოების შეიდი წლის თავი.	128—129
24.	ნ. კაკაბაძე "	130—131
25.	ს. ტ. მუშა კ. ბახილაძე — საბჭ. საქართვ. შეიდი წელი.	132—133
26.	ბ. ძველაია — სალამი სოფელს	134—135
27.	ა. ლ. სტურია — კოოპერაციის ირგვლივ	136
5.		
28.	ლ. გრიგოლია — ძველი და ახალი ქუთაისი	139—141
29.	კ. კალანდაძე — წითელი ორმიის ათი წლისა და საქართველოს გასაბჭოების დღიულან შეიდი წლის თავზე	142
30.	" " ჭუთ. საქოთვი ფამრიკის მიღწვევები	143—145



31. 6. ფერაძე—ქუთ. ოღმ. კომ. მეურნ. სტამბა	146—148
32. ევ. ლოსაბერიძე—კურორტები ქუთაისის მაზრაში	149—157
33. ხ. მ—ვი—ქუთაისის ელექტრონტეხნიკუმი	158—163
34. მელ. დ. მდინარი—მეცნახეობა და მელვინეობა ქუთ. მაზრაში ძველი და საქ. გასაბჭოების შვიდი წლის თავზე	164—170
35. ირ. ნინიკაშვილი—გან. მუშაკთა კავშირი	171—172
36. ხ. გეგია—ეპ. და კულ. მდგომარეობა სამრ. რაიონში	173—176
37. ხ. ნადარეიშვილი—ხონის ეკონ. და კულტ. მიღწევები საქ. გასაბჭოების შვიდი წლის თავზე	177—196
38. ა. ცურცელაძე—ტყიბულის ქვანაბშირის მაღაროები	297—198
39. მ. უორულლანი—გლეხეომები ქუთ. მაზრაში	199—200
40. ზ. ბიჭაშვილი—წყალთა მეურნეობის სამართველოს მეშვიობა დასაყლეთ საქართველოში	201—205
41. ხ. თავხელიძე—ამბ. „ბალდათის“ როლი მევენ. მელვინეობის დარგში	207—207
42. დ. ჩ.—ქუთაისის თეატრი	208—212
43. ილ. აბაშიძე—მუსიკის საქმე საქ. გასაბჭოების შვიდი წლის თავზე	213—214
44. ც. შავგულიძე—თანამეგზავრთა პროფესილები — მ. ჯავახიშვილი.	217—227
45. ც. სტოელი—ი. ნიკოლაიშვილის „ქართული ენის გრამატიკა“	228—229
46. სარჩევი	231—232